# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 11 მაისი 2001 №85 (1358) | ფასი 50 თეთრი


# ბასკო ორგზის ჩემპიონია!

## ბათუმში ორი ზღვა არის, შავი და შამპანურისა

საქართველოს ჩემპიონატი



საქართველოს 2001 წლის ჩემპიონი ბათუმის „ბასკო“

გუშინ მოლოდინის და პროგნოზის მიხედვით დასრულდა საქართველოს მეათე საკალათბურთო ჩემპიონატი: ბათუმის „ბასკომ“ შინ, ფინალური სერიის მეორე მატჩში 112:78 დაამარცხა თბილისის „სტუ-ჯეოსელი“ და ქვეყნის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

„ბასკომ“ მძლავრად განვლო მეათე ჩემპიონატი და ღირსეულად დაისაკუთრა ჩემპიონის ტიტული.

„სტუ-ჯეოსელმა“ თავი არ დაზოგა, მაგრამ ფინალში გაცილებით ძლიერ მეტოქესთან ვერას გახდა. მიუხედავად ამისა, სტუდენტურ გუნდზე საყვედური არ ითქმის: მისთვის მეორე ადგილი რიგიანი და სადღეისოდ მაქსიმალური შედეგია. სამომავლოდ კი...

მომავლის დადგომამდე კი ბათუმში ზეიმია: „ბასკო“ ჩემპიონია, თანაც ზედიზედ მეორედ!

რეპორტაჟი ბათუმიდან იხილეთ მეთერთმეტე გვერდზე

ტყებუჩავას ბიჭები და მერე... მერე



საჩემპიონო რიტუალი: „ბასკოს“ კაპიტანმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა კალათს ბადე შემოაჭრა

## დანია

თასის 1/2 ფინალი

მეორე მატჩები

ვიბორგი 0:0 აკადემისკი

სილკებორგი 3:0 მიდტიულანდი

## შვედეთი

XXVII ტური

იურგორდენი 0:0 ტრელეორგი

თასის 1/2 ფინალი

მალმიო 0:2 აიკ

## იტალია

სერია B. XXXIV ტური

ტორინო 2:0 კალიარი

## ჰოკეი

მსოფლიოს ჩემპიონატი

მეოთხედფინალი

ჩეხეთი 2:0 სლოვაკეთი

ფინეთი 4:1 გერმანია

შვედეთი 3:4 (3:3) რუსეთი

კანადა 3:4 (3:3) აშშ


REUTERS

კანადა — აშშ. კანადელებს რემ მიურეის (№17) ამ, მესამე გოლმაც ვერ უშველა

# ეროვნულზე ესპანელები, ბუდაპეშტში გერმანელები

**ბევრიც** არაფერი დარჩა საქართველოს ნაკრების კიდევ ორ შესარჩევ მატჩამდე. 2 ივნისს ქართველები ჯგუფის ლიდერ იტალიელებს უმასპინძლებენ, 6-ში კი ბუდაპეშტში უნგრეთს ეთამაშებიან.

სწორედ ამ მატჩებისთვის ფიფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმ მსაჯებისა და კომისრების ვინაობა აცნობა, რომლებიც ზემოხსენებული თამაშების მომსახურეობისთვის შეარჩია.

საქართველო — იტალიას ესპანელები განსჯიან გონსალეს იტურალდეს თამადობით. მას ალონსო გერერო, რივერა ჩირინო და სანტიაგო როდრიგესი დაეხმარებიან. ამ შეხვედრის კომისარი ინგლისელი კენეტ რიდენი იქნება, კონკრეტულად მსაჯებს თურქი საბრი ჩელეკი გააკონტროლებს.

ოთხი დღის შემდეგ კი უნგრეთთან გერმანელები იმსაჯებენ: არბიტრი ჰელმუტ სტრამპე იქნება, მისი ასისტენტები ფრანკ შუმახერი და მარკუს შაიბელი, მეოთხე მსაჯი — ედგარ შტეინბორნი. ფიფამ კომისრობა ფრანგ ჟან ფურნიეს დაავალა, მსაჯთა კონტროლი კი ბელგიელ ჟან კლოდ ჟორკენსს.

იტალიის ნაკრები თბილისს 31 მაისს ესტუმრება საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაციით და სასტუმრო „შერატონში" დაბინავდება. ქართველები კი დაახლოებით 60 კაცით ბუდაპეშტში 3 ივნისს გაფრინდებიან ჩარტერული რეისით.

გუშინ ისიც გადაწყდა, რომ საქართველო — იტალიის მატჩი ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება. ფედერაცია არ არის დარწმუნებული, რომ მშენებარე „26 მაისზე" სამუშაოები 2 ივნისამდე დამთავრდება.

**ლუკა თალაკვაძე**

# გამოჩნდა...

## რა უნდა ხმელიძეს ეროვნულ ჩემპიონატში?!



**გუშინწინ** საქართველო — აზერბაიჯანი იყო... მოიგეს ქუთაისში ჩვენებმა, სხვა საქმეა, როგორ და არც იმ მატჩის პერიპეტიებზე ვაპირებ რაიმეს მოყოლას.

ის კი გამიხარდა, რომ ვიღაც გამოჩნდა... ბიჭი, რომელმაც ცოტა ხანში მეკარის პრობლემა უნდა მოაგვაროს ეროვნულ გუნდში.

...მას დალვინებამდე ჯერაც ბევრი უკლია, მაგრამ ვერავინ შემედავება იმაში, რომ დავით ხმელიძე ხალასი საფეხბურთო ნიჭის პატრონია.

აზერბაიჯანთან მატჩში ის ორი ფეხბურთელი შევამოწმეთ, რომელთა იტალიასთან ძირითადში თამაშსაც ვაპირებთო, თქვა რევაზ ძოძუაშვილმა.

მწვრთნელი სხვა თვალით უყურებს ფეხბურთს, მან უნდა დაინახოს და ამბობს კიდეც, ვნახეო. მწვრთნელი უკეთ ხედავს, ვალდებულია დაინახოს...

მე კი დავინახე ხმელიძე, არა „ტორპედოზე", არამედ ჯერ კიდევ დილმის საწვრთნელ ბაზაზე, როცა ახალგაზრდულ გუნდში პირველად გამოძახებული და მუხლმტკივანი თავს არ ზოგავდა, სიქას იცლიდა და ტკივილს არ იმჩნევდა.

...ჩემზე ადრე სხვამ ნახა, ოღონდ არა მწვრთნელმა, არამედ... თუმც რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იყო, მთავარია, ფეხბურთთან ახლოს ტრიალებდა.

...და დღეს მე ვიცი, რომ დავით ხმელიძე იტალიასთან სასტარტოში არ იქნება. ეროვნული გუნდის მწვრთნელებს ვერც ვერავინ შეედავება და არც უნდა ანდონ ძირითადში ადგილი. არა, მოედანზე გასვლისა დათოს არასოდეს შეეშინდება, მაგრამ ახლა, როცა გამოჩნდა, ხმელიძის ფსიქოლოგიური მდგომარეობა სათუთად მოსავლელია.

ჩვენს მწვრთნელებს კრძალვით მხოლოდ ერთ საყვედურს შევკადრებ: ახლა, ბოლო წამს რომ გაგვახსენდა თავისი ერისთვის თავგამოდებული პლასტუნკელი ბიჭი, უმჯობესი იქნებოდა, გაცილებით ადრე გამოგვეძახებინა, ეთამაშა აზერბაიჯანში, სომხეთში, ირანში და ყველგან, სადაც ამხანაგურად უთამაშია ეროვნულ გუნდს.

ასე რომ ყოფილიყო, დათოს იმიჯი თავისივე კლუბშიც ამაღლდებოდა, ძირითადშიც გაიკვლევდა გზას და საიტალიოდაც მეკარე გვეყოლებოდა, თუმც რაც იყო, იყო, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო...

დავით ხმელიძე, ნაღდი ქართველი ბიჭი იმაზე მეტადაა დასაფასებელი, ვიდრე მავანს ჰგონია. ფაქტობრივად რუსული საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა, რუსები კალთებს რომ ახევდნენ ჩვენს ნაკრებებში ითამაშეო, ერთი უბრალო არათი მოიშორა თავიდან ყველა მთხოვნელი და მომთხოვნელიც.

„რატომ უნდა ვითამაშო რუსეთის ნაკრებში, მე ხომ ქართველი ვარ" — სიამაყის გრძნობით ამბობდა ამ სიტყვებს.

გუშინწინ ბევრი უყურებდა ათლეტური აღნაგობის ქართველ გოლიათს. სიმაღლე, ხელების სიგრძე შესაშური, რეაქცია არ დაეწუნება და რაც მთავარია, ფეხით ისე თამაშობს, ვერც ერთი ჩვენებური მეკარე ვერ დაიკვეხნის.

სამჯერ მოიგერია რთული დარტყმა დათომ. აქედან ორჯერ აზერბაიჯანელის, ერთხელაც თანაგუნდელის ფეხიდან საკუთარი კარის ცხრიანში წასული ბურთი გადააგდო კუთხურზე. ორჯერ ითამაშა გამოსვლაზე, მაგრამ არცთუ დამაჯერებლად. მიუხედავად ამისა, თამამად ვიტყვით, ხმელიძემ გუნდი გადაარჩინა.

...ის ჩინებული მეკარე დადგება, ოღონდ არა ჩვენში. ეროვნულ ჩემპიონატში მისი გადმოყვანა, დათოს, როგორც მეკარის დაღუპვის ტოლფასი იქნება. უმჯობესია, ყოველნაირად დავეხმაროთ, რათა მუდმივი და სერიოზული სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს.

განა მარტო ხმელიძეს, უცხოეთში უნდა მოაწყონ და სისტემატურად ითამაშონ ლომაიამ, ასლანაძემ და მერლანმა. თუ კეთილისმსურველები ამას მოახერხებენ, მაშინ ნაკრებში მეკარე სანთლით საძებნი არ იქნება.

**გამუკა ძგანტალიანი**


# 20 მაისს თბილისის ღია ჩემპიონატი კომპიუტერულ ფეხბურთში

ვიწვევთ ყველა მსურველს 20 მაისამდე სპორტის სასახლეში, სადაც გაიმართება მსურველების გაერთიანება ფედერაციაში. ისინი გადაიხდიან საწევრო 10 ლარს, გახდებიან რა ფედერაციის წევრები, მიიღებენ ფედერაციის მოწმობას და უფლებას, ჩაებან ჩემპიონატის შესარჩევ ტურში

## ჩემპიონატის პროგრამა




1. ჩემპიონატი ტარდება კომპიუტერულ ფეხბურთში SOCCER 2000-ში.
2. ორი ასაკობრივი კატეგორია 17 წლამდე და 17 წლის ზევით.
3. ჩემპიონატის შესარჩევი ტური ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, რომლის შემდეგ გამოვლინდება 16 უძლიერესი მოთამაშე, ხოლო მათ შორის გათამაშდება ჯგუფური ტურნირი.
4. გამოვლინდება ტურნირის ჩემპიონი, რომელიც დაჯილდოვდება ფულადი პრიზითა და სიგელით ჩემპიონის წოდებით. ასევე დაწესებულია მეორე და მესამე ადგილები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.
5. დაწესდება საკვალიფიკაციო რეიტინგი I ჯოისტიკი, II ჯოისტიკი, III ჯოისტიკი და ა.შ. მე-16 ჯოისტიკი.
6. საასპარეზო გუნდის არჩევა თავისუფალია. ჩემპიონატში მონაწილეობის დროს მონაწილეს შეუძლია ითამაშოს საკუთარი ჯოისტიკით, რაზედაც მან წინასწარ უნდა განაცხადოს.
7. ჩემპიონატის სიგელით დაჯილდოვდება 32 მონაწილე, რომლებიც მომავალ საქართველოს ჩემპიონატში აღარ მიიღებენ მონაწილეობას შესარჩევ ტურში და პირდაპირ ფინალურ ეტაპზე ჩაერთვებიან ჩემპიონატში.
8. საპრიზო ფონდისა და მისი განაწილების შესახებ ცნობილი გახდება ჩემპიონატის დაწყების პირველივე დღეს.

ტურნირის საფინალო ეტაპის დღეს განზრახულია სარეკლამო დაფების განლაგება. რეკლამის მსურველ ორგანიზაციებსა და ფირმებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ჭავჭავაძის №49 ა. სპორტის დეპარტამენტის შენობა IV სართული. საქართველოს კომპიუტერული თამაშების ეროვნული ფედერაცია. ტელ 23-56-93 8(99) 15 48 97

ასევე ფირმებს შეუძლიათ წაახალისონ ჩვენი მონაწილეები და გაზარდონ საპრიზო ფონდი ან დააწესონ ფასიანი საჩუქრები. მათი მოღვაწეობისა და დახმარების შედეგები გამოქვეყნდება პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

აქვე მადლობას ვუხდით სპორტის დეპარტამენტსა და სპორტის სასახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.

საქართველოს კომპიუტერული თამაშების ეროვნული ფედერაცია



1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო

1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო პლეხანოვზე

1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე

2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის

**ცენტრალური კლინიკა**



მისამართი

380109. ვაჟა-ფშაველას 29

ტელეფონები

კანცელარია: 39 23 89

ცნობათა ბიურო: 39 22 89

მიმღები განყოფილება: 39 26 32

**საუკუნოვანი გამოცდილება უახლესი ტექნოლოგიები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
8 ტური
ანონსი

# მცხეთაში ლიანდაგი აყრილია

## I–VI ადგილები

მცხეთა. არმაზი. 12 მაისი. 18 საათი

### ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მალალურაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო
**დისკვალიფიცირებულნი:** შელია, ბალაშვილი (ლოკომოტივი)

**სავარაუდო შემადგენლობები**
**ვიტ ჯორჯია:** ქურაძე, საჯაია, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ჟ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დოლმელაშვილი, გოგობერიშვილი, ყიფიანი, ლ. მელქაძე, ადამია
**ლოკომოტივი:** ლომაია, რ. ონიანი, ცხადაძე, სალუქვაძე, გილაური, ბაქრაძე, ქიქველაშვილი, გოგიჩაიშვილი, დათეაძე, ანჩაბაძე, კაიდარაშვილი

პრინციპული მატჩის წინ პრობლემები მოსძალებია „ლოკომოტივს". ხვალ მცხეთაში ვერ ითამაშებენ ძირითადისა და დაცვის ბურჯები — მურთაზ შელია და გიორგი ბალაშვილი. მათი სრულფასოვანი შემცვლელები რკინიგზელებს არ მოეძებნებათ.

გოგიჩაიშვილმა ტრავმის გამო ნაკრების თამაში გამოტოვა. მართალია, კახამ გუშინ ივარჯიშა, მაგრამ ამბობენ, სრულიად ჯანზე ჯერაც არ მოსულაო.

„ვიტ ჯორჯიას" კი არავინ ჰყავს დისკვალიფიცირებული და ტრავმირებული. მეტოქესაც სრული საბრძოლო შემადგენლობით დაუხვდებიან და თავგანწირულ ბრძოლასაც ჰპირდება.

წლეულს უკვე ორჯერ დაამარცხა „ლოკომოტივმა" „ვიტ ჯორჯია", ორჯერვე ვაკეში და ერთი და იგივე ანგარიშით 2:0. რაც შეეხება „არმაზზე" ჩატარებულ თამაშს, იქ ვიტელებმა იმარჯვეს 1:0, თუმც ეს შარშან იყო.

მცხეთა და „არმაზი" მაინცდამაინც ფეხბედნიერი ალაგი როდია რკინიგზელთათვის. „ლოკომოტივს" ერთხელაც არ მოუგია ვიტელთათვის. ესეც ერთგვარი ტრადიციაა.

დღეისთვის ვეტერინარებს ოთხი ქულა აშორებთ რკინიგზელებისგან. ეს არც ისე ბევრია, როცა წინ კიდევ სამი ტურია. ჩვენი აზრით, ვინც მცხეთაში მოიგებს, საპრიზო სამეულშიც ის მოხვდება. ასე რომ, ხვალ მცხეთაში წასვლა ნამდვილად ღირს.

ფოთი. ფაზისი. 12 მაისი. 18 საათი

### კოლხეთი — დინამო

**მსაჯები:** ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

**სავარაუდო შემადგენლობები**
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ფანჩულიძე, შალამბერიძე, კვირკველია, ქობულაძე, ე. გვასალია, მუმლაძე, ხუჭუა, ნარსია
**დინამო:** ხაჩირაშვილი, სვანაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, ა. სახვაძე, მაჩხაკავა, გაბიდაური, ბურდული, იაგორაშვილი, ზირაქიშვილი, გ. ვ. მიქაძე

„დინამო" იბრძვის... ოქროსთვის, ვერცხლისთვის, ბრინჯაოსთვის. სამიდან ერთი ხომ მაინც შერჩებათ ათგზის ჩემპიონებს. საღეისოდ იკლო ტრავმირებულთა და დისკვალიფიცირებულთა რიცხვმა, თითქმის ყველა მწყობრშია მეკარე გრიშიკაშვილის გარდა.

„დინამო" გამარჯვებისთვის ითამაშებს. სამი ქულისთვის ყველაფერს გაიღებენ ტყებუჩავას ბიჭები და მერე... მერე ვნახოთ, ოცნება უსასრულოდ შეიძლება.

„კოლხეთმა" რისთვის უნდა იბრძოლოს? არაფრისთვის, უბრალოდ, სპორტული პრინციპი უნდა დაიცვათო, ფიქრობს იქნევს ფეხბურთის ფედერაცია.

მეთორმეტე ეროვნულში სამჯერ შეხვედრიან ერთმანეთს ათგზის ჩემპიონები და კოლხები. სამჯერვე „დინამოსი" ყოფილა უპირატესობა. ორი საშინაო თამაში „ეროვნულზე" „დინამომ" 3:2 და 2:1 მოიგო. „ფაზისზე" 0:0 იმყოფინა „კოლხეთმა". ხვალ მათი ბოლო დაპირისპირებაა მეთორმეტე ეროვნულში, არაფრისმომცემი „კოლხეთისთვის" და სასიცოცხლო „დინამოსთვის". ალბათ, სტუმარი მოიგებს...

თბილისი. სინათლე. 12 მაისი. 18 საათი

### მერანი — ტორპედო

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); მ. ელიკაშვილი (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია
**დისკვალიფიცირებულნი:** აბრამიძე, თოდუა, აშვეთია (ტორპედო)

**სავარაუდო შემადგენლობები**
**მერანი:** დევაძე, გოგიტაძე, გუჯაბიძე, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, ზ. კვეკვესკირი, დევიძე, მუხინი, ქინქარაული, გოდერძიშვილი, მინაშვილი
**ტორპედო:** ზოიძე, ზ. არჩვაძე, ლევან სილაგაძე, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, გუჩუა, დიდავა, მახვილაძე, კვეტენაძე, იონანიძე, იმედაძე

ხვალინდელი მატჩი ბოლო (გნებავთ, გენერალური დაარქვით) რეპეტიცია იქნება „მერანისთვის" სათასო ნახევარფინალის საპასუხო მატჩის წინ. ავჭალელთათვის ყველა თამაში ხომ ამ კონტექსში განიხილება.

ალბათ, ხვალ დაუბრუნდება „მერანს" ტრავმამოშუშებული აკაკი დევაძე. ოთარ გაბელია „ლოკომოტივთან" სწორედ გამოცდილი მეკარის დაყენებას აპირებს და 15 მაისამდე ერთ თამაშში მაინც ხომ უნდა შეამოწმოს შეგირდის საბოლოო მზადყოფნა.

თითქმის არც ერთი ტრავმირებული და არც ერთი დისკვალიფიცირებული... ასე ეგებება „მერანი" „ტორპედოს": ერთიცაა, სეზონის უპრინციპულესი მატჩის წინ ოთარ გაბელიას გუნდი ყვითელ ბარათებს (მსაჯებსაც) უფრთხის და არ გამოვრიცხავთ, რომ მასპინძელთა შემადგენლობა ხვალ გადახალისებულ-გაახალგაზრდავებული ვიხილოთ.

„ტორპედოს" ძირითადის სამი ფეხბურთელი — აბრამიძე, თოდუა და აშვეთია დისკვალიფიკაციის გამო არ ეყოლება, თუმც ეს ქუთაისელთათვის თავშისაცემი ამბავი სულაც არ გახლავთ. რიონისპირელთა განაცხადში დისკვალიფიცირებულთა შემცვლელი მთელი დუჟინი ფეხბურთელებია. ასე რომ, აბრამიძის, თოდუასა და აშვეთიას არყოფნა „ტორპედოს" არც უნდა დაეტყოს. სტუმრებს მოგება ესაჭიროებათ, თუმც წაფორხილების შემთხვევაშიც შეინარჩუნებენ ადგილს გათამაშების ცხრილის სათავეში.

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 7 | 4 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 38 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 |
| 2 დინამო | 7 | 2 | 4 | 1 | 11:7 | 4 | 34 | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 5 | 8 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 |
| 3 ლოკომოტივი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:9 | -3 | 34 | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 2 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | -5 | 0 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 7 | 3 | 2 | 2 | 11:8 | 3 | 30 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 2 |
| 5 კოლხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 23 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 1 |
| 6 მერანი | 7 | 1 | 2 | 4 | 1:11 | -10 | 18 | 3 | 2 | 1 | 0 | 1:3 | -2 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:8 | -8 | 1 |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბათუმი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:3 | 5 | 26 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 6 | 4 | 1 | 3 | 0 | 5:2 | 3 | 6 |
| 2 სიონი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 4 | 24 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 4 |
| 3 დილა | 7 | 3 | 1 | 3 | 13:6 | 7 | 19 | 4 | 3 | 1 | 0 | 13:2 | 11 | 10 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 |
| 4 გორდა | 7 | 3 | 1 | 3 | 9:10 | -1 | 19 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 10 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 5 თსუ | 7 | 3 | 0 | 4 | 7:14 | -7 | 19 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:11 | -9 | 3 |
| 6 იბერია | 7 | 0 | 1 | 6 | 5:19 | -14 | 3 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | -10 | 0 |



„ეროვნულზე" მიხეილ ქობულაძის „კოლხეთმა", კოკა მიკუჩაძის (№15) „დინამოს" შეჩერება ვერ შეძლო



„ვიტელთა" მეკარე მირზა მერლანმა და გიორგი ჭანკოტაძემ რკინიგზელთა ფორვარდ ალეკო კაიდარაშვილს (№9) არ გაატანინეს, მაგრამ ვაკეში მაინც დამარცხდნენ

## VII–XII ადგილები

მცხეთა. არმაზი. 11 მაისი. 18 საათი

### თსუ — გორდა

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯავარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე
**დისკვალიფიცირებულნი:** ზ. გვაზავა, ახალაძე (თსუ)

თბილისი. შევარდენი. 11 მაისი. 18 საათი

### იბერია — დილა

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, ლ. სილაგავა; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ყიფიანი
**დისკვალიფიცირებული:** ამისულაშვილი (იბერია)

ბათუმი. დინამო. 11 მაისი. 18 საათი

### ბათუმი — სიონი

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), კ. გაბრიაძე, გ. კოკაჩიშვილი (ორივე ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი
**დისკვალიფიცირებული:** კ. გოდერძიშვილი (სიონი)




# დინამო VS კარლ ცაისი

## აჟიოტაჟი გულშემატკივარზეა, თამადობა ივანიშვილზე



ნიკა ივანიშვილი და რევაზ არველაძე

*ახლოვდება 13 მაისი, ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვების თარიღი. ადრეც გაუწყეთ, რომ საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ საგანგებოდ აღნიშნავს ამ დღეს „დინამო“ — „კარლ ცაისის“ ვეტერანთა მატჩი ჩატარდება. შოუ 21 საათზე დაიწყება, ვეტერანები 35-35 წუთიან ტაიმებს ითამაშებენ.*

*გუშინ კი „დინამომ“ 13 მაისის ზეიმთან დაკავშირებით პრესკონფერენცია მოაწყო.*

***ნიკა ივანიშვილი, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავჯდომარის მოადგილე:***

— როცა ქვეყნის პრეზიდენტმა „დინამოს“ ხელახალი რეგისტრაციის საკითხი გადაწყვიტა, 13 მაისის საზეიმოდ აღნიშვნის იდეაც მყისვე გაგვიჩნდა. „კარლ ცაისთან“ ურთიერთობაში პრობლემა არ გვქონია, მაგრამ სპონსორების მოზიდვა გაგვიჭირდა. უკვე იცით, რომ დახმარების ხელი შოთა და არჩილ არველაძეებმა გამოგვიწოდეს. მერე რამდენიმე კომპანიაც ჩაერთო საქმეში ჩვენი პირადი ურთიერთობების საფუძველზე, თორემ ფინანსურად ეს არავის ინტერესებში არ შედიოდა.

— იმედია, კარგი სანახაობა მოეწყობა. ბილეთის ფასი 2 ლარია და ეს თანხა, ალბათ, არ უნდა იყოს ხელმიუწვდომელი ჩვენი გულშემატკივრისთვის — ჩვენ ხომ იმ ადამიანებს ვიხილავთ მინდორზე, რომლებმაც ამხელა სიხარული მოგვიტანეს, ბილეთები ეროვნული სტადიონის გარდა სპორტის სასახლის სალაროებშიც გაიყიდება.

— შეგვეძლო, ბიუჯეტიდან თანხების მოზიდვის საკითხიც დაგვესვა, მაგრამ უარი ვთქვით ამაზე და უფრო თანამედროვე მეთოდებს მივმართეთ. ბიუჯეტში იქით შევიტანთ დამატებითი ღირებულების გადასახადს.

— მატჩი ამხანაგურია, მაგრამ ისიც კია, რომ „კარლ ცაისს“ რევანშის შანსს ვაძლევთ.

***რევაზ არველაძე, საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ პრეზიდენტი:***

— ამ ზეიმს მარტო იმიტომ არ ვაწყობთ, რომ ჩვენ ახლა „დინამოს“ ვხელმძღვანელობთ, ეს უბრალოდ დამთხვევაა — ინიციატივა ჩვენს ხელთაა. ბედნიერი ვარ, რომ ამაში ჩემი ოჯახის წევრებიც მონაწილეობენ. გვსურს, ხალხს გავახსენოთ თბილისის „დინამოს“ საუკუნის გუნდი და დიდი სიხარული.

— ეს შოუ შესაძლოა ფინანსურად წამგებიანი გამოდგეს, მაგრამ ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას წაადგება. ამ მატჩის მერე, ალბათ, უფრო მეტი დაინტერესება იქნება ფეხბურთით. აჟიოტაჟი კი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენი გულშემატკივარი მოვა 13 მაისს სტადიონზე. თუ ხალხი არ მოვიდა, ესე იგი ეს ქვეყანა არ სუნთქავს და ძარღვებში სისხლი არ გვიდუღს.

***სერგო კუტივაძე, 1981 წლის თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი:***

— განა ხელისუფლებისთვის ეს თარიღი არაფერს არ უნდა ნიშნავდეს? ან „ახალ ქართველებს“ სამორინეში ერთხელ დასახარჯი ფული მაინც არ უნდა გაემეტებინათ?

***გია იხიანი, „დინამოს“ მენეჯერი:***

— თამაში იმ ბურთით დაიწყება, რომლითაც გუნდებმა 20 წლის წინ ითამაშეს დიუსელდორფში. მერე ამ ბურთს შევცვლით და ძველი წესებით, ერთი ბურთით ჩავამთავრებთ მატჩს. ბურთთან პირველ შეხებას ვიტალი დარასელია უმცროსს და ნოდარ ახალკაცის შვილიშვილს მივანდობთ.

პრესკონფერენცია ასე დამთავრდა, თუმც სათქმელს სხვასაც გეტყვით. მატჩის შემდეგ, რა თქმა უნდა, ბანკეტი გაიმართება, ჩვენებურებსა და გერმანელ სტუმრებს რესტორანი „არაგვი“ უმასპინძლებს, თამადობას კი ნიკა ივანიშვილი იკისრებს.

**დავით თავართქილაძე**

ზუსტად ოცი წელიწადი გავიდა იმ დღიდან,
როცა თბილისის „დინამომ“
ითამაშა თავისი ერთადერთი
ევროპული ფინალი...
1981 წლის 13 მაისის დარი
თარიღი ბევრი არ არის
გასული საუკუნის არათუ სპორტის,
არამედ მთლიანად ქვეყნის ისტორიაში...
იგონებს ოცი წლის წინანდელი
თბილისის „დინამო“.
უკეთესად ვერც მოიგონებს ვინმე!
ფასი მხოლოდ
1 ლარი





☎ (231) 7 17 58
იყიდება
ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.
ქუთაისში
ირაკლი აბაშიძის ქუჩა № 4 ლიცეუმთან „ოლიმპოსთან“

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. რესპუბლიკური საავადმყოფო. I სართული
ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

# დიდი გუნდი. მწვრთნელი. ექიმი

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

## ბაიერნი 2:1 რეალი (1:0)

მიუნხენი. «ოლიმპიაშტადიონი». 60 000 მაყურებელი

1:0 ელბერი (8), 1:1 ფიგუ (18), 2:1 იერემისი (34)

კანი, კუფური, ანდერსონი, ლინკე, სანიოლი, იერემისი (სფორცა 70), ჰარგრივსი, ლიზარაზუ, შოლი (სანტა კრუზი 59), სალიჰამიჯიჩი, ელბერი (ციკლერი 85)

კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, კარანკა (მორიენტესი 66), იერო, ელგერა, მაკელელე, მაკმანამანი (სავიო 61), ფიგუ, რაული, გუტი

გაფრთხილება: იერემისი, სფორცა, ელგერა, გუტი, იერო

მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

| | | |
|---|---|---|
| 4 | კარისკენ დარტყმა | 25 |
| 5 | კარში დარტყმა | 21 |
| 19 | ჯარიმა | 20 |
| 5 | კუთხური | 14 |
| 3 | თამაშგარე | 11 |



„რეალი“ მადრიდშიც და მიუნხენშიც ელბერისგან (№9) დაიკოდა

**გამართლდა** ოტმარ ჰიცფელდის სიტყვები. ვნახეთ მისი „ნათელი ტაქტიკაც“.

გახსოვთ მატჩამდე რას ამბობდა? რას და, ჩვენ ნათელი ტაქტიკა გვაქვს, ფინალში მოსახვედრად ერთი ან ორი გოლი უნდა გავიტანოთო. გაიტანეს კიდეც. „რეალს“ 2:1 მოუგეს და ფინალში გავიდნენ.

მაშ ასე, ლიგის გადამწყვეტ მატჩში ბოლო ორი წლის ფინალისტები შეხვდებიან ერთმანეთს — შარშან „ვალენსიამ“ 0:3 წააგო „რეალთან“, ხოლო შარშანწინ „ბაიერნმა“ 1:2 „მანჩესტერ იუნაიტედთან“.

„ბაიერნი“ კაპიტნის, შტეფან ეფენბერგის გარეშე თამაშობდა. აი, მეჰმეტ შოლი კი ბევრი ჭორ-მართლის მიუხედავად მაინც გავიდა მინდორზე და არცთუ ურიგოდ გარჯილა. „რეალს“ ყველა ჯანზე და მწყობრში ჰყავდა, მაგრამ

ჰიცფელდმა ისევ აჯობა დელ ბოსკეს. „ბაიერნმა“ ტაქტიკურად მოუგო „რეალს“. ისე, როგორც პირველ მატჩში. ბურთს თითქოს სტუმრები აკონტროლებდნენ, მაგრამ მიუნხენელთა მწყობრი დაცვა და უსწრაფესი კონტრშეტევები უფრო ნაყოფიერი გამოდგა.

მისცა თუ არა მსაჯმა თამაშის დაწყების ნიშანი, „ბაიერნს“ ანგარიშის გახსნა შეეძლო. შოლი ცენტრიდან წამში მიუახლოვდა მადრიდელთა საჯარიმოს და ეშმაკურადაც დაარტყა, მაგრამ კასილიასმა იმარჯვა. ამ დროს 27 წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა: ამავე „ოლიმპიაშტადიონზე“, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გფრ ჰოლანდიას ეთამაშებოდა. ჰოლანდიელებმა ცენტრიდან დაიწყეს და იოჰან კრუიფი მყის შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში, ცბიერ ბერტი ფოგტსს მეტი აღარაფერი დარჩენოდა და მოცელა. პენალტი იოჰან ნეესკენსმა გაიტანა. ეს ყველაფერი პირველივე წამებზე მოხდა...

თამაშს იმ მატჩის მონაწილეები, „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი, გენერალური მენეჯერი ული ჰიონესი და პირში სიგარაგაჩრილი პაულ ბრაიტნერიც ესწრებოდნენ. ვინ იცის, ეგებ ის ეპიზოდი მათაც გაახსენდათ...

პირველი მატჩიდან გამომდინარე, „რეალს“ აუცილებლად უნდა გაეტანა, მაგრამ ანგარიში „ბაიერნმა“ გახსნა: გერმანელებმა მე-8 წუთზე მარჯვნიდან კუთხური მოაწოდეს, რასაც ხალხმრავალ მადრიდელთა საჯარიმოში ძიძგლაობა მოჰყვა, ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა, მერე კი ჯოვანი ელბერმა ყველას დაასწრო და თავით გაიტანა.

„რეალმა“ მალევე უპასუხა. 10 წუთში რაულმა მასპინძელთა საჯარიმოში გრძელი გადაცემა ოსტატურად მიიღო, ტომას ლინკეს დაასწრო და ბურთი ფიგუს დაუგორა, ამანაც შეუჩერებლივ შორეულ, მარცხენა კუთხეში შეაგდო. ეს იყო, ალბათ მატჩის ყველაზე ლამაზი ეპიზოდი.

მერე „რეალი“ ბევრს უტევდა, მაგრამ „ბაიერნი“ მოულოდნელად ისევ დაწინაურდა. მასპინძლებმა ჯარიმის უფლება მიიღეს, შოლმა იერემისი მოძებნა და 2:1. მეკარე კასილიასმა კი ნახტომი ისევ დააგვიანა.

მეორე ტაიმი სტუმრებმა ლამის სულ მასპინძელთა ნახევარზე გაატარეს. მოძრაობდნენ, უტევდნენ, მაგრამ ამაოდ. საქმეს ვერც სავიოსა და მორიენტესის მინდორზე გამოჩენამ უშველა. მხოლოდ ორი მომენტი შექმნეს. ერთხელ რაულის ძლიერი დარტყმა კანმა მოიგერია, მეორედ სავიოს ჩაწოდებულს მორიენტესმა თავი დაუხვედრა, მაგრამ კარს ზემოდან გადააცილა. უფრო მწვავე კონტრშეტევები ბავარიელებს გამოუვიდათ, მაგრამ ელბერმა და სანტა კრუზმა ვერ ივარგეს.

„ჩემმა გუნდმა ჩინებული ფეხბურთი აჩვენა. ასეა, შინ ყოველთვის გაგვაქვს. უფრო დიდი ანგარიშითაც შეგვეძლო მოგება — თქვა ჰიცფელდმა — ბედნიერები ვართ, რომ „რეალს“ ორჯერ მოვუგეთ და კვლავ ფინალში გავედით. ამ გრძნობის გადმოცემა შეუძლებელია. შესაძლოა, ზოგს გაუკვირდა კიდეც ჩვენი წარმატება, მაგრამ მე თავიდანვე ვიცოდი ჩემი ბიჭების შესაძლებლობები“.

დელ ბოსკე: „ცუდად არ გვითამაშია. უკეთაც შეგვეძლო, მაგრამ მოწინააღმდეგემ არ დაგვანება. „ბაიერნი“ ხუთი მცველით დაგვიპირისპირდა, ჩვენ კი ვერაფერი მოვუხერხეთ“.

ფრანც ბეკენბაუერს პირველმა გვერდით მჯდომმა „რეალის“ პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა მიულოცა. მერე კი ბეკენბაუერმა თქვა, ფინალში „ვალენსიას“ დამარცხებაც შეგვიძლიაო: „ფრიად გახარებული გახლავართ. თუ გუნდი ორ-ორჯერ უგებს „მანჩესტერსა“ და „რეალს“, ფინალში თამაშის ღირსი ნამდვილადაა. მაგრამ ახლა „ვალენსიას“ უნდა მოვუგოთ. მჯერა, მეოთხედი საუკუნის შემდეგ ჩემპიონთა თასი კვლავ ჩვენი იქნება — „კაიზერ ფრანცმა“ ჭაბუკი ინგლისელი ოუენ ჰარგრივსიც შეაქო, რომელიც დისკვალიფიცირებული ეფენბერგის ნაცვლად თამაშობდა — განცვიფრებული ვარ. ძალიან თავდაჯერებულად ითამაშა, თანაც „რეალთან“ - ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი“.

ჰიონესმა თქვა, რომ ბოლომდე ტრავმამოუშუშებელ იერემისს, შოლსა და ელბერს სხვა დროს მინდორზე არ გაიყვანდნენ, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მატჩი იყო და თანაც სამივეს ძალიან უნდოდა თამაში. აბა, უარს როგორ ვეტყოდით, თუმცა სარისკო საქმე კი გავაკეთეთო. მერე კი, იცით რა დაამატა? ფიგუს გოლი ჩვენს სამატჩო კონცეფციაში არაფრით ჯდებოდა. კარგია, რომ პირველ ტაიმში გაიტანა. მეორეში დაცვა უფრო გავამაგრეთო.

ესეც თავდაჯერება...

ჯოვანი ელბერი: „ჩემს გოლს სამედიცინო ჯგუფს ვუძღვნი. ჩემი პატივისცემა დოქტორ მიულერ-ვოლფარტს. უამკაცოდ მე და იერემისი ვერ ვითამაშებდით.

ესპანური გაზეთები წერდნენ, „ბაიერნი“ 60-იანი წლების იტალიური გუნდებივით დაცვით ფეხბურთს თამაშობსო. კვლავაც წერონ გერმანულ კატენაჩოზე. მიგვიფურთხებია. ფინალში ჩვენ ვართ და მთავარიც ეს არის“.

მეჰმეტ შოლი: „ლიგა ჯერ არ მოგვიგია. „ვალენსია“ ძალიან სახიფათოა. მშვენიერი ფეხბურთელებიც ჰყავს. მოკლედ, ძალიან რთული მატჩი გველის“.

მაშ ასე, 23 მაისს მილანის „სან სიროზე“ „ბაიერნი“ „ვალენსიას“ წინააღმდეგ დადგება. ორი დიდი მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი და ექტორ კუპერი თავისი უპირატესობის დამტკიცებას შეეცდება. შესაძლოა, თამაში მაინცდამაინც ლამაზი არ გამოდგეს, მაგრამ საფეხბურთო აზროვნების მხრივ ნამდვილი კლასიკა იქნება.

**სოლომონ გულისაშვილი**



გერმანელები ჯოვანი ელბერისგან ფინალშიც გოლს ელიან



ვალენსია — ლიდსი. ალან სმიტის უსაქციელობამ შინაურებიც აღაშფოთა

# აზრზე მოდი!

## ღია წერილი ალან სმიტს

**ვერ იქნები,** ძმაო, ახლა ამ წერილის კითხვის ხასიათზე, მაგრამ მაინც უნდა გაგაცნო ჩემი აზრი შენს „გმირულ“ საქციელზე. ესაა, ჭკუას მოვეგეო? წინა კვირას იყო, ჯერ „დეილი ტელეგრაფის“, მერე კი ჩვენი გაზეთის მკითხველები დააიმედე, კაცი გავხდი და აწი ცუდად აღარ მოვიქცევიო. ესაა კაცური სიტყვა?

მაგრად კი შეუჯორიხარ დევიდ ოლირის გასახდელში. მართალიცაა — ძალადობის აქტებს მე ვერ წავახალისებო, ასე გვითხრა ჟურნალისტებს. თუ გგონია, უეფა დაგინდობს, ძალიან ცდები: მინიმუმ სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია ზედ გაქვს. აქეთ „ლიდსი“ გიპირებს ორკვირიანი ხელფასის ჩამოჭრას. გგონია, 30 ათასი გირვანქა ქუჩაში ყრია? ეჰ, ცოტა ხნით აქ მოგვცა შენი თავი, მაშინ დააფასებ თითოეულ თეთრს.

ჰო, თეთრზე გამახსენდა. რომ ამბობ, ინგლისის ნაკრების მაისურა ჩემი ოცნებააო, ეგრე აპირებ ერიკსონის გულის მოგებას? ვალენსიაშიც არ დაიზარა შენს და შენი მეგობრების სანახავად ჩამოსვლა და რა მიიღო. ეროვნულ გუნდში ასეთები არავის სჭირდებაო — უთქვამს ალან კლარკს.

დაუგდე ყური ამ კაცს. სეხნიაა ბოლო-ბოლო და „ლიდსის“ ლეგენდას უწოდებენ. 9 წელი ითამაშა მაგ გუნდში და მსგავსი არაფერი ჩაუდენია. სმიტის ნიჭის დიდი პატივისმცემელი ვარ, მაგრამ რაც მაგან გააკეთა, დიდი სირცხვილი და სისულელე იყოო, ასე თქვა.

თამაში იცი, მოედანს ხედავ, არც ეგ აგრესიაა ცუდი, მაგრამ სწორ კალაპოტში რომ მოაქციო, არ ინანებ. ხომ გელაპარაკა ამაზე ოლირი ჯერ კიდევ სეზონის დაწყების წინ, მაგრამ ფეხზე დაიკიდე. აბა, სხვა რა ვუწოდო შენს საქციელს, როცა ცხრა თვეში უკვე მეოთხედ გააწბილე.

მოკლედ, ძმაო ალან — აზრზე მოდი და დიდი ფეხბურთისკენ მიმავალ ხიდზე გადი. ასე აჯობებს შენთვისაც და ჩვენთვისაც.

**გიგა კობახიძე**

Copa Toyota Libertadores '2001

### ლიბერტადორესის თასი 2001

1/8 ფინალი. I მატჩები

**ამერიკა (კოლუმბია) 2:0 ნასიონალი (ურუგვაი)**

1:0 ფერეირა (48), 2:0 გონსალესი (74)

ამერიკა: ბარბატი, ხ. გონსალესი, კ. გარსია, ნავარო, მაზირი, ლ. გარსია, ვარგასი, ბეტანკური (მაფლა 68), დ. ფერეირა (მ. რომერო 82), ვასკესი, ხ. ერერა (კასტილიო 67)

ნასიონალი: რომაი, დელ კამპო, ლემბო, და კოსტა, ბატისტა, კამეიო, ვანძინი, ო. მორალესი, და სილვა (კოელიო 80), რ. მორალესი (გუტიერესი 84), ვ. სანჩესი (ვარელა 55)

8 000 მაყურებელი

**სან კაეტანო (ბრაზილია) 1:0 პალმეირასი (ბრაზილია)**

1:0 მარლონი (80)

სან კაეტანო: ს. ლუისი, ფაბინიო, დანიელი, სერჟინიო, ნელსინიო, სიმაო, ადაოზინიო, აილტონი (ვინიციუსი 86), გრიგიო (მარლონი 75), ვაგნერი, სინვალი

პალმეირასი: მარკოსი, არსე, ალეშანდრე, ლეონარდო, ფელიპე (ბასილიო 81), მაგრაო, გალეანო, ლოპესი, ალექსი, ტუპა (ტადეი 57), ფაბიო ჟუნიორი

20 000 მაყურებელი

**ემელეკი (ეკვადორი) 2:0 რივერ პლეიტი (არგენტინა)**

1:0 აგირესი (20), 2:0 კანდელარიო (67)

ემელეკი: ვიტერი, კორონზო, პოროსო (კარაბალი 75), აგირესი, კაგუა, ბორხა (კაისედო 83), იდალგო, კანდელარიო, ვ. სანჩესი, ხუარესი, აიოვი

რივერ პლეიტი: ბონანო, დიასი, აიალა, იეპესი, სარაბია, კუდე, პერეირა, საპატა (ალვარესი 65), ორტეგა (კუევასი 46), კარდეტი, სავიოლა

15 000 მაყურებელი

**დეპორტეს კონსეპსიონი (ჩილე) 1:3 ვასკუ და გამა (ბრაზილია)**

1:0 ვედრუგო (8), 1:1 ჟუნინიო პაულისტა (19), 1:2 რომარიო (64), 1:3 ჟუნინიო პაულისტა (90)

დეპორტეს კონსეპსიონი: მონტოია, ტორესი, კ. ლოპესი, ბაუტისტა, დ. პერესი (ლობოსი 67), სანეტე (იბანესი 56), არავენა, გარიდო, ალმენდრა, ვედრუგო, მონტესინოსი

ვასკუ და გამა: ელტონი, კლებსონი, გედერი, ალეშანდრე ტორესი, ჟორჟინიო, მირანდა, პედრინო (ვიოლა 72), ელერი, ჟუნინიო პაულისტა, ეულერი, რომარიო (დედე 90)

30 000 მაყურებელი

**ელ ნასიონალი (ეკვადორი) 1:2 კრუიზეირო (ბრაზილია)**

0:1 სორინი (26), 1:1 ერერა (50პ), 1:2 ჟოვანი (77)

ელ ნასიონალი: იბარა, კორონელი, გუაგუა, ბ. გომესი, რ. ბურბანო (ლარა 67), ხ. ბურბანო, კალა, ვალენსია (პრესიადო 74), ფერნანდესი, ორდონესი, დ. ერერა (ბორხა 79)

კრუზეირო: ანდრე, ნენემი (მარკოს პაულო 64), კრისი, ლუიზაო, სორინი, მონტეირო, ვინისიუსი, რიკარდინიო, ჟეკსონი, ოსიასი (მ. რამოსი 88), ჟოვანი (ალექსანდრო 84)

12 000 მაყურებელი

**კობრელოა (ჩილე) 2:3 როსარიო სენტრალი (არგენტინა)**

1:0 აბდალა (15), 1:1 ლოეშბორი (48), 1:2 კუბერასი (56), 2:2 ტალიანი (83), 2:3 გონსალესი (85)

კობრელოა: მელე, პოცო, ი. დიასი, ფუენტესი, რ. პერესი, აბდალა, კორნეხო, ბალდივიესო, დინამარკა (სელედონი 67), ვივარი (მადრიდი 46), ტალიანი

როსარიო სენტრალი: ტომბოლინი, მარა, დ. დიასი, ლოეშბორი, ლეკუე, ეროსი, კონტეროსი (კაპელეტი 77), დე ბრუნო (მორენო ფაბიანესი 74), კუბერასი, ე. გონსალესი, პიცი (დ. პერესი 89)

10 000 მაყურებელი

# განტევების ძროხა
## ერიდეთ ჰოლანდიურ ხაშლამას!





რონალდ დე ბური და ედგარ დავიდსი: ეს რა გვჭამეთ...



**ედგარ დავიდსს** და ფრანკ დე ბურს ორგანიზმში ნანდროლონის გვარიანი დოზა აღმოუჩინეს. ნანდროლონი პრეპარატია, რომელიც სპორტსმენს იმაზე მეტს აკეთებინებს, რაც მას რეალურად შეუძლია, ამიტომაც მისი გამოყენება ხანგრძლივი დისკვალიფიკაციით ისჯება.

გუშინწინ, დოპინგის ხმარებაში მხილების შემდეგ, ფრანკ დე ბურმა თქვა, გაოგნებული ვარ, შეგნებულად არაფერი მიმიღია და თუ ლაბორატორიაში არ შეცდნენ, გამოდის, რომ ვიღაცის ბოროტი „ხუმრობააო". ცოტა ადრე იგივე ედგარ დავიდსმაც განაცხადა.

გავიხსენოთ, რომ მათი მხილება საეჭვოდ დაემთხვა ჰოლანდიის ნაკრების ამხანაგურ მატჩს თურქთა წინააღმდეგ. ედგარ დავიდსს ანალიზი 4 მარტს აუღეს, ფრანკ დე ბურს 15 მარტს, ხოლო სანაკრებო მატჩი 28 თებერვალს გაიმართა. უმალ გაჩნდა ეჭვი, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მოთამაშე ჰოლანდიელთა სისხლში ნანდროლონი ერთდროულად მხოლოდ სანაკრებოდ სამშობლოში დაბრუნებისას მოხვდებოდა.

ამაზე მიანიშნებს ბარსელონელი ტყუპისცალის ნათქვამიც, ედგარს დავურეკე და გადავწყვიტეთ, ერთად გამოვიკვლიოთ, სად და როდის შემოგვაპარეს დოპინგიო. დე ბური და დავიდსი მხოლოდ ნაკრებში ხვდებიან ერთმანეთს.

მაგრამ გაჩნდა საპირისპირო ეჭვიც. რომელ ჭკუათმყოფელ მწვრთნელს თუ ექიმს მოუვიდოდა აზრად, ფეხბურთელთათვის სტიმულატორი ამხანაგური მატჩის წინ მიეცა. მნიშვნელოვანი მატჩი რომ ყოფილიყო, ცხადია, მაშინაც გაუმართლებელი იქნებოდა, ოღონდ, გასაგები და ახსნადი, მაგრამ ამხანაგური? ლოგიკური ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს აშკარად სიმტკიცე აკლია. სხვათა შორის, იმ პერიოდში „ლივერპულის" ჰოლანდიელ მეკარე სანდერ ვესტერფელდსაც აუღეს ანალიზი და ვერაფერი აღმოუჩინეს.

და ამ დროს ალაპარაკდა „რეინჯერსის" ჰოლანდიელი ბერტ კონტერმანი. უფრო სწორად, მან მომხდარზე საკუთარი ვერსია გამოთქვა, რომელიც სხვებთან შედარებით სიმართლესთან ახლო უნდა იყოს.

თბილისის ბაზრობებზე გასულს რამდენჯერ გაგიგიათ, ესა თუ ის თურქული და ირანული პროდუქტი ჯანმრთელობისთვის მავნეაო? ალბათ, ბევრჯერ და თუ ბაზარში არ დადიხართ, ოჯახის სხვა წევრებს დაეკითხეთ.

ბერტ კონტერმანი ამბობს: „ჰოლანდიაში ფერმერთა უმრავლესობა ძროხებს ნანდროლონის ინექციებს უკეთებს, რაც მათ ზრდას უწყობს ხელს. როგორ ფიქრობთ, დე ბურმა და დავიდსმა ჰოლანდიური ძროხის ხორცი თუ შეჭამეს, ნანდროლონი მათ ორგანიზმში არ აღმოჩნდებოდა? სხვისი არ ვიცი და მე კი ვფიქრობ, რომ ყველაფერი სწორედ ასე იყო".

აღსანიშნავია, რომ „რეინჯერსში" კონტერმანის გარდა ოთხი ჰოლანდიელიც თამაშობს, მათ შორის ფრანკ დე ბურის ტყუპისცალი რონალდი და ამათგან ოთხს ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ დოპინგ-შემოწმებაზე გასვლა სთხოვა. გამონაკლისია არტურ ნუმანი, რომელიც ეროვნულ გუნდში ევრო 2000-ის მერე აღარ მიუწვევიათ.

ბერტ კონტერმანის განცხადებამ დიდად გაახარა ნაკრების ექიმი ფრიც კესელი, რომელიც, ცხადია, ერთ-ერთ უმთავრესი ეჭვმიტანილი იქნება ფეხბურთელთათვის დოპინგის მიცემაში. უეჭველად საკვების ამბავი იქნებაო, ირწმუნება ექიმი, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია დამოუკიდებელ გამოძიებას იწყებს.

**გიორგი დარჯანია**

# მიქელ გაბრიელს აფრიკის სტადიონების აბონემენტი აქვს

**ოთხშაბათ** საღამოს აფრიკის საფეხბურთო ისტორიაში კიდევ ერთი სისხლიანი ფურცელი გადაიშალა. განას დედაქალაქ აკრაში გამართული საფეხბურთო მატჩის დროს ამტყდარმა ჩხუბმა 120 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. არადა, თამაშის მსვლელობა თითქოს ცუდს არაფერს მოასწავებდა. მასპინძლები „ჰართს ოფ ოკის" ფეხბურთელები, პირველ ტაიმს იგებდნენ, მაყურებლებიც მხურვალე შეძახილებით ამხნევებდნენ თავიანთ ჯილებს, მაგრამ სტუმრების საქციელმა სტადიონზე შექმნილი იდილია ხელის ერთი და ფეხის ორი დაკვრით უმალ ჯოჯოხეთად აქცია. „ასანთი კოტოკომ" დედაქალაქელებს ერთმანეთის მიყოლებით ორი გოლი შეუგდო.

მაყურებელიც აღშფოთდა და პლასტმასის აღმოდებული სკამების მოედანზე სროლით გამოხატა თავისი გულისწყრომა. საქმეში უმალ პოლიციელებიც ჩაერთნენ და წესრიგის აღდგენას შეუდგნენ.

აღდგა თუ არა წესრიგი, თავად განსაჯეთ — გაზით რამდენიმე გულშემატკივარი მოიწამლა, ხოლო უმრავლესობა დაიბნა, შეიქნა ერთი ზედახორა და ჭყლეტაში 120 კაცი დაიღუპა. ჰოსპიტალსა და ქალაქის ორ კლინიკაში კიდევ 50 ადამიანი გადაიყვანეს. საბედნიეროდ, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ტრაგედიის ადგილს, შემდეგ კი ჰოსპიტალს, ამ ამბის შეტყობისთანავე ეწვია განის პრეზიდენტი ჯონ კუფური. თვითმხილველთა თქმით, იგი ბავშვივით ქვითინებდა. ჯონ კუფური ადრე სწორედ ამ სისხლიანი ისტორიის ერთ-ერთი მონაწილის, სტუმართა გუნდ „ასანთი კოტოკოს" თავმჯდომარე გახლდათ.

აკრაში მომხდარი ტრაგედია ამ ერთი თვის მანძილზე უკვე მესამეა აფრიკელთათვის. მსგავსმა შემთხვევამ 11 აპრილს იოჰანესბურგში 43, ხოლო ლუბუმბასში 7 კაცი იმსხვერპლა.

ასეთი ტრაგედია აფრიკაში ადრეც ბევრჯერ დატრიალებულა და თუ ასე გაგრძელდა, იქნებ ფიფას კითხვაც კი გაუჩნდეს — ღირს კი აფრიკაში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჩატარება?

**გიორგი გამარდაშვილი**



განაში ისეთი ამბავი მოხდა, აფრიკელები მსოფლიოს ჩემპიონატს 2100 წელსაც ვერ ნახავენ



## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთის** ჩემპიონ „დეპორტივოს" „რაიო ვალეკანოს" ნახევარმცველ მიჩელის შეძენა გადაუწყვეტია და მადრიდულ კლუბს სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ამ ფეხბურთელის გადაბირება ადრე სხვა გუნდებსაც სურდათ, თუმცა მაშინ „რაიო ვალეკანო" მის გაყიდვაზე არ დათანხმდა. ახლა მასში ერთობ სოლიდურ თანხას სთავაზობენ და, როგორც ვარაუდობენ, მადრიდული კლუბი მიჩელს გაუშვებს. ნახევარმცველის აგენტი კი აცხადებს, რომ ძირითადი საკითხები გალისიურ კლუბთან უკვე შეთანხმებულია და ტრანსფერი სავარაუდოდ სეზონის ბოლოს განხორციელდება.

**ხორვატ თავდამსხმელ დავორ შუკერს მექსიკაში თამაში შესთავაზეს. ორი იქაური კლუბი „კრუზ ასული" და „ტაიგერსი" აქტიურად ცდილობს მის გადაბირებას და „ვესტ ჰემთან" მოლაპარაკებებიც დაიწყო. თავად შუკერს, რომელიც „ვესტ ჰემში" ლონდონის მეორე კლუბ „არსენალიდან" ჩაირიცხა, არაერთხელ განუცხადებია, რომ სეზონის ბოლოს „აპტონ პარკის" დატოვებას აპირებს, თუმც მექსიკაში გადასვლაზე მას ჯერჯერობით არაფერი უთქვამს. აქვე შეგახსენებთ, რომ ხორვატი „არსენალამდე" მადრიდის „რეალის" ღირსებას იცავდა.**

**იტალიელ** მეკარე კრისტიან აბიატის „ბარსელონა" ეპატიჟება. მილანელმა დაადასტურა, რომ კატალონიური კლუბიდან ბოლო პერიოდში მას რამდენჯერმე დაუკავშირდნენ. ამას წინათ იტალიაში გავრცელდა ცნობა, რომ 23 წლის მეკარე „მილანში" უკმაყოფილოა, რადგან სასტარტო შემადგენლობაში ველარ ხვდება და კლუბიდან წასვლას აპირებს. გოლკიპერმა კატეგორიულად დაუსვა ხელმძღვანელობას საკითხი, ან მათამაშეთ, ანაც გამიშვითო. ერთ-ერთი ინგლისური სააგენტოს ცნობით, აბიატის „არსენალშიც" ეპატიჟებიან.

**ფრანგმა ნახევარმცველმა ალან ბოგოსიანმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს „პარმას" დატოვება და სამშობლოში დაბრუნება სურს. მან დასძინა, რომ ზოგიერთი იქაური კლუბიდან უკვე მიიღო მიწვევა. „ჩემმა აგენტმა მითხრა, რომ „მონაკოსთან" აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს და მალე შესაძლოა შეთანხმებასაც მიაღწიოს, თავად სიამოვნებით ვითამაშებდი მარსელის „ოლიმპიკში", თუმცა მათი მენეჯერი ბერნარ ტაპი ჯერ არ დამკავშირებია" — განაცხადა 32 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც სეზონის დიდი ნაწილი ტრავმის გამო გამოტოვა და ახლა „პარმას" სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდება.**

**ბერძნული** „ანორთოსისის" მწვრთნელმა მიტობევიჩმა კლუბის ხელმძღვანელობას განუცხადა, რომ ხუთწლიანი მუშაობის შემდეგ პოსტის დატოვება განუზრახავს. გუნდი ახალ მწვრთნელს ეძებს და რამდენიმე კანდიდატი უკვე დაასახელა — ამავე კლუბის ყოფილი თავკაცი ბულგარელი გოლევი, უკრაინელი ოლეგ ბლოხინი, რომელიც ადრე „ნიქოზიას" ედგა სათავეში და რონი ველნი. ამ უკანასკნელის მიწვევა აეკ-საც სურს.

**ბოსნიელი თავდამსხმელი სერგი ბარბარესი სეზონის ბოლოს ეგებ „არსენალში" ვიხილოთ. „ჰამბურგის" 29 წლის მოთამაშის აგენტმა განაცხადა, რომ ლონდონური კლუბი ძლიერ არის დაინტერესებული ბოსნიელის შეძენით და მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ბარბარესის გადაბირება სხვა კლუბებსაც სურდათ, თუმცა „ჰამბურგმა" ადრე გამოაცხადა, რომ მოთამაშის გაყიდვას არ აპირებს. თავად ფეხბურთელის თქმით, ინგლისში და განსაკუთრებით „არსენალში" სიამოვნებით ითამაშებს, თუ „ჰამბურგი" მის გაშვებაზე დათანხმდა.**

**საუდეთის** „ალ ჰილალის" ნახევარმცველი ნავაფ ალ ცემიატი აზიის წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. შარშან მან კლუბის შემადგენლობაში აზიის საკლუბო და სუპერთასები მოიგო. აღსანიშნავია, რომ ეს ფეხბურთელი ახლა ტრავმირებულია და პარიზში მკურნალობს. აზიის საუკეთესო მწვრთნელად იაპონიის ნაკრების თავკაცი ტრუსიე მიიჩნიეს. კონტინენტის წლის უძლიერეს გუნდად — იაპონიის ნაკრები, საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ სინგაპურელი როიჩი მაედა დასახელეს.

**ესპანეთის მეორე დივიზიონში მოთამაშე მადრიდის „ატლეტიკომ" „გრანადას" მეკარე მანუელ პინდადო შეიძინა. გოლკიპერმა დედაქალაქურ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და მათ რიგებში მომავალი სეზონიდან ითამაშებს. „ატლეტიკო" ძალიან კარგი კლუბია. მოხარული ვარ, აქ რომ ჩავირიცხე და მოუთმენლად ველი სეზონის დაწყებას. ბავშვობიდან ვქომაგობდი ამ გუნდს და ვინმეს რომ ეთქვა, „ატლეტიკოში" ითამაშებო, ვერც წარმოვიდგენდი" — განაცხადა მეკარემ, რომლის სატრანსფერო ფასიც არცთუ მაღალია.**

## ისრაელი

**თასის 1/2 ფინალი**

**მაკაბი (ჰაიფა) 2:3დ.დ. (2:2) მაკაბი (ფეთახ თიკვა)**

1:0 იაკუბუ (58), 2:0 პრელია (65), 2:1 პოლცმანი (86), 2:2 ბარიენტე (89), 2:3 იჯაკო (115)

**ჰაპოელი (თელ ავივი) 0:2 მაკაბი (თელ ავივი)**

0:1, 0:2 დაგო (19, 23)

## მაკედონია

**თასის 1/2 ფინალი. II მატჩები**

სლოგა იუგომაგნატი — სკენდია (ტეტოვო) 5:0 (1:0); კარაორმანი (სტრუგა) (!) — პელისტერი (ბიტოლა) 1:3 (3:1, პენალტებით 4:3 მოიგო „პელისტერმა")

## სლოვაკეთი

**თასის ფინალი**

**ინტერი 1:0 რუჟომბეროკი**

1:0 შ. ნემეტი (90)


**იყიდება!**
ნახმარი
**კომპიუტერული ტექნიკა**
ტელ. 38-11-14, 39-48-29

**ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში**
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ/50 თეთრი)



ფრანჩესკო ტოტი

# თილისმა არ იყიდება
## მენდიეტა მილანში, გული ხურდაში

**იტალიური** სეზონი ხუთ ტურში დამთავრდება და როგორც ამბობენ, „რომა“ ოფიციალურად გაიფორმებს დიდი ხნის ნანატრ სკუდეტოს. მაგრამ შემდეგ? მორიგ ტიტულს ერთ ამდენს ხომ აღარ უნდა ელოდოს ამბიციებ გაამაგებული გუნდი?

თან, დახეთ, მწვრთნელად ფაბიო კაპელო ჰყავს, ის კი, როგორც წესი, ჩემპიონია.

ცხადია, არც კაპელო და არც კლუბის პრეზიდენტი ფრანკო სენსი არ აპირებენ მიღწეულით (უკაცრავად მისაღწევით) დაკმაყოფილებას, რისთვისაც იმთავითვე იჭერენ თადარიგს. თადარიგი კი მხოლოდ ახალი ფეხბურთელების შეძენას როდი ნიშნავს, ძველების შენარჩუნება ნაკლებ მნიშვნელოვანი სულაც არ არის.

ერთი სიტყვით, ფრანკო სენსიმ წინა კვირას, „იუვენტუსთან“ ფაქტობრივად გადამწყვეტი შეხვედრის გადამწყვეტი გოლის ავტორის, ვინჩენცო მონტელას რომში დატოვება დაისახა მიზნად და ფორვარდს ოთხ წელიწადში 4 მილიონი ამერიკული დოლარის ტოლფას იტალიურ ლირებს დაპირდა. რა უპასუხა მონტელამ ჩვენთვის ჯერ უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ მას ამ სეზონის ბოლოს ძველი კონტრაქტის ვადა ეწურება და ბოლო დროს ქარაგმულად გაიძახის, ეგებ, სხვა გუნდში გადავიდეო.

და განა მარტო „რომა“ ფიქრობს მომავალზე? მილანის „ინტერმაც“ დიდი მუშაობა გააჩაღა. „შავ-ლურჯმა“ კვაჭებმა ჯამში 7 მილიონ დოლარად სტამბოლის „გალათასარაის“ ფეხბურთელები, ემრე ბელოზოღლუ და ოქან ბურუქი შეიძინეს. აღსანიშნავია, რომ ამ მოთამაშეების შეძენას „ინტერი“ ნახევარი წელიწადი ცდილობდა, მაგრამ ვაჭრობა გაიწელა.

ახალ თურქებთან კონტრაქტი 1 ივლისიდან ამოქმედდება. ოქანი 27 წლის ნახევარმცველია, 1992 წლიდან ეროვნულ გუნდში მოთამაშე, ხოლო ემრე 20 წლისა გახლავთ და ამბობენ ყველაზე პერსპექტიული თურქი ფეხბურთელიაო. ის შემტევი ნახევარმცველია.

მილანელთა აქტიურობა მხოლოდ „ინტერით“ არ შემოიფარგლება. თვალები ფართოდ აქვთ დაჭყეტილი „მილანსაც“, რომელიც „ვალენსიასგან“ თვით გაისკა მენდიეტას ყიდვას აპირებს. მენდიეტას ამბავი იმანაც დააწინაურა, რომ მილანელთათვის მანამდე სასურველი მანუელ რუი კოშტა, როგორც ჩანს, კიდევ ერთი წლით დარჩება „ფიორენტინაში“.

ახლა კონტრაქტის თაობაზე: მენდიეტას „შავ-წითელი“ სალაროდან ხუთი წლის განმავლობაში 5 მილიონ დოლარს პირდებიან, მაგრამ ამაზე საინტერესო ის არის, რომ იტალიელები მენდიეტაში ოლივერ ბირჰოფის, არგენტინელი ანდრეს გულიელმინპიეტროს და ზედ 20 მილიონი გადახდას აპირებენ.

ბოლოს კი იქ მივიდეთ, საიდანაც დავიწყეთ — „რომაში“. ამ გუნდის თილისმამ და თავდამსხმელ-გამთამაშებელმა, ფრანჩესკო ტოტიმ 39,7 მილიონი დოლარის საფასურად 2005 წლამდე გააფორმა კონტრაქტი. ამ კონტრაქტში შედის ტოტის სარეკლამო საქმიანობაც.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ფეხბურთელი 1993 წლიდან ანუ 16 წლიდან „რომას“ ძირითად შემადგენლობაშია, თუმცა თავიდან, ბუნებრივია, იშვიათად ათამაშებდნენ.

**ბაჩუნა ძედია**

### პოლონეთი

25-ე ტური. გროცლინი — ოდრა 1:1; რაძიონკოვი — პოლონია 1:1; ვისლა — შლიონსკი 2:2; ზაგლებე — სტომილი 2:0; პლოცკი — რუხი 3:4; ლეგია — კატოვიცე 0:2; ვიძევი — პოგონი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 25 | 17 | 5 | 3 | 58:20 | 56 |
| ლეგია | 25 | 13 | 7 | 5 | 40:22 | 46 |
| პოგონი | 25 | 13 | 5 | 7 | 35:23 | 44 |
| პოლონია | 25 | 12 | 5 | 8 | 32:22 | 41 |
| ზაგლებე | 25 | 11 | 4 | 10 | 36:32 | 37 |
| კატოვიცე | 25 | 8 | 12 | 5 | 25:18 | 36 |
| ამიცა | 24 | 10 | 5 | 9 | 39:36 | 35 |
| რუხი | 25 | 10 | 5 | 10 | 40:39 | 35 |
| გროცლინი | 25 | 8 | 8 | 9 | 28:30 | 32 |
| ვიძევი | 25 | 9 | 5 | 11 | 31:37 | 32 |
| რაძიონკოვი | 25 | 9 | 3 | 13 | 23:39 | 30 |
| ოდრა | 25 | 7 | 7 | 11 | 28:41 | 28 |
| სტომილი | 25 | 8 | 4 | 13 | 20:37 | 28 |
| შლიონსკი | 25 | 7 | 6 | 12 | 25:34 | 27 |
| გურნიკი | 24 | 6 | 5 | 13 | 21:31 | 23 |
| პლოცკი | 25 | 6 | 4 | 15 | 27:47 | 22 |

### სლოვენია

თასის ფინალი. I მატჩი
**ოლიმპია 1:0 ნოვა გორიცა**
1:0 ციმეროტიჩი (20)
საპასუხო მატჩი გაიმართება 17 მაისს

### უნგრეთი

თასის 1/2 ფინალი
**ვიდეოტონი 1:0 ელორე (II)**
1:0 რობი (67)
ფინალში ერთმანეთს „ვიდეოტონი“ და „დებრეცენი“ შეხვდებიან

### ლიხტენშტაინი

თასის ფინალი
**ვადუცი 9:0 რუჯელი**
1:0 ვიგმენი (8), 2:0 სლიკისი (22), 3:0 იუჩილი (45), 4:0 ბოლვერინი (52), 5:0 იუჩილი (55), 6:0 ბოლვერინი (64), 7:0 იუჩილი (66), 8:0 სლიკისი (78), 9:0 ბოლვერინი (88)

# იყიდე, გაყიდე, რა, ვესტ ჰემია?
## ჰარი რედნაპის ქარვასლა დაიხურა

**1994 წელს** დაინიშნა მთავარ მწვრთნელად და გუშინწინ თავად გადადგა — წლეულს ქომაგები ვერაფრით გავახარეთო. სიმართლე რომ ითქვას, „ვესტ ჰემის“ ფანობა არც შარშან და შარშანწინ ყოფილა მეცხრე ცაზე და საერთოდ, ამ შვიდი წლის განმავლობაში აღმოსავლეთლონდონურ კლუბს არცერთი ჯილდო არ მოუგია. ერთი ეგ იყო, ორი წლის წინ უეფას თასზე გასვლის უფლება მოიპოვა და ისიც ინტერტოტოზე წარმატებული თამაშის წყალობით.



და მაინც, ჰარი რედნაპი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად ითვლება და ყველამ იცის, რომ უმუშევრად დიდხანს არავინ გააჩერებს. არც გულშემატკივრები არიან მასზე განაწყენებულნი — მათ მშვენივრად ესმით, რომ „ვესტ ჰემი“ არც უმდიდრესი „მანჩესტერ უინაიტედია“ და არც პრესტიჟული „ჩელსი“. ამ გუნდს არასდროს ჰქონია იმდენი ფული, თავისი მწვრთნელის ნებისმიერი კაპრიზი აესრულებინა. რედნაპი კი ეძებდა, ეძებდა, დღენიადაგ შემადგენლობის განახლებას ცდილობდა და იმას მაინც მიაღწია, რომ „ჩაქუჩებს“ მის ხელში გავარდნა არ დამუქრებია. წლეულს ესეც მოხდა და რედნაპიც გადადგა.

4 მილიონი გირვანქა — ასეთია „ვესტ ჰემის“ უძვირესი შენაძენი რედნაპის შვიდწლიანი მოღვაწეობის პერიოდში. ამ ფასად 1999 წლის იანვარში კამერუნელი მარკ-ვივიენ ფოე იყიდეს ფრანგული „ლანსიდან“. წელიწადნახევარში იგივე ფეხბურთელი იმავე „ლანსს“ უკვე 6 მილიონად დაუბრუნეს. ეს ლონდონელთა სატრანსფერო პოლიტიკის თვალსაჩინო მაგალითია.

ზუსტად 60 კაცი გადმოიბირა და ზუსტად 60 გაუშვა! ასეთია რედნაპის სატრანსფერო გარიგებათა სრული ნუსხა. თითქოს შთამბეჭდავი ციფრია, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ 60 ნაყიდი ფეხბურთელი კლუბს მთლიანობაში 53 მილიონ 400 ათასი გირვანქა დაუჯდა — დაახლოებით იმდენი, რასაც „ლივერპული“ მაიკლ ოუენის პოტენციურ მყიდველებს მოსთხოვს. ნუ დავიზარებთ და გაყიდულთა ფასებიც მოვიძიოთ: სულ 64 510 000 გირვანქა. რა გამოდის? რედნაპის პოლიტიკამ კლუბს სტაბილური თამაში და 11 მილიონ 110 ათასი გირვანქა მოგება მოუტანა. და ეს იმ დროს, როცა „ვესტ ჰემზე“ გაცილებით პოპულარული „მანჩესტერ სიტი“ და გაცილებით მდიდარი „მიდლსბრო“ ლიგებს შორის მისვლა-მოსვლით იყვნენ დაკავებულნი. ადგილობრივი ბიჭების (ფრენკ ლამპარდი, რიო ფერდინანდი) აღზრდაზე აღარაფერს ვამბობთ.

ქვემოთ რედნაპისეულ შვიდწლეულში განხორციელებული ტრანსფერის მხოლოდ მცირე ნაწილს გავიხსენებთ, თორემ ასოცივე გარიგება რომ ჩამოვთვალოთ, არც ადგილი გვეყოფა და არც მკითხველი დაინტერესდება დიდად.

| | იყიდეს | | | გაყიდეს | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარკ რიპერი | 1994 მაისი | ბრონდბიუ | 1,1 მილიონი | 1997 სექტემბერი | სელტიკი | 1,4 მილიონი |
| რობი სლეიტერი | 1995 აგვისტო | ბლექბერნი | 600 ათასი | 1996 სექტემბერი | საუთჰემპტონი | 250 ათასი |
| სტენ ლაზარიდისი | 1995 სექტემბერი | ვესტადელაიდა | 300 ათასი | 1999 ივლისი | ბირმინგემ სიტი | 1,5 მილიონი |
| სლავენ ბილიჩი | 1996 თებერვალი | კარლსრუე | 1,3 მილიონი | 1997 მაისი | ევერტონი | 4,5 მილიონი |
| მაიკლ ჰიუზი | 1996 ივლისი | სტრასბური | უფასო | 1997 სექტემბერი | უიმბლდონი | 1,6 მილიონი |
| ფლორინ რადუჩოუ | 1996 ივლისი | ესპანიოლი | 2,4 მილიონი | 1997 იანვარი | ესპანიოლი | 1,6 მილიონი |
| ჯონ ჰართსონი | 1997 თებერვალი | არსენალი | 3,3 მილიონი | 1999 იანვარი | უიმბლდონი | 7,5 მილიონი |
| ეიალ ბერკოვიჩი | 1997 ივნისი | საუთჰემპტონი | 1,75 მილიონი | 1999 ივლისი | სელტიკი | 5,75 მილიონი |
| დევიდ ანსუორსი | 1997 აგვისტო | ევერტონი | 1 მილიონი | 1998 ივლისი | ასტონ ვილა | 3 მილიონი |
| ენდი იმპი | 1997 სექტემბერი | ქუინზ პარკი | 1,2 მილიონი | 1998 ნოემბერი | ლესტერი | 1,6 მილიონი |
| ტრევორ სინკლერი | 1998 იანვარი | ქუინზ პარკი | 2,3 მილიონი | -------------- | ------------ | ----------- |
| მარკ-ვივიენ ფოე | 1999 იანვარი | ლანსი | 4 მილიონი | 2000 მაისი | ლანსი | 6 მილიონი |
| პაოლო დი კანიო | 1999 იანვარი | შეფ.უენსდი | 1,75 მილიონი | -------------- | ------------ | ----------- |
| პაულო ვანჩოპე | 1999 ივლისი | დერბი ქაუნთი | 3,5 მილიონი | 2000 აგვისტო | მანჩ.სიტი | 3,65 მილიონი |
| იგორ სტიმაჩი | 1999 აგვისტო | დერბი ქაუნთი | 600 ათასი | -------------- | ------------ | ----------- |
| დენიელ სიოლუნდი | 1999 ოქტომბერი | ბრომა (დანია) | 190 ათასი | 2000 ნოემბერი | ლივერპული | 1 მილიონი |

მას მერე „ვესტ ჰემმა“ იყიდა ფრედერიკ კანო (3,7 მილიონი), ნაიჯელ უინთერბერნი (უფასო), რიგობერტ სონგი (2,5 მილიონი), ტიტი კამარა (2,2 მილიონი), კრისტიან დეილი (1,75 მილიონი) და სვეტოსლავ ტოდოროვი (500 ათასი). გაყიდა მხოლოდ ერთი, მაგრამ როგორი — რიო ფერდინანდი 18 მილიონად „ლიდსში“ გაუშვა.

**გიგა ძოგახიძე**

# შუქურის ამბავი ქაბაბივით გემრიელად დასრულდა

**ციურიხიდან** მოსულმა სასიხარულო ცნობამ ჟანგბადის ბალიშივით მიუსწრო ფინანსურად მოგუდულ, ერთ დროს ფაფარ, ახლა კი ნერვებაშლილ „გალათასარაის“.

გუშინ შვეიცარიაში, ფიფას შტაბ-ბინაში საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს და „ინტერს“ თურქული კლუბის ჯიბეში 16 მილიონი მარკის ჩახრიალება დააკისრეს.



ჰაკან შუქური

საქმე კი ასე დაიწყო: ყოველ ზაფხულს, როგორც წესი, „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი გააღებს ფულსადენის ონკანს, შემდეგ მილანური გუნდის სელექციონერები მოიმარჯვებენ ტელეფონს და ახალგამომცხვარ ტალანტებს იტალიური კლუბის ოფისში შეკრებენ. ამ „გაუგებრობაში“ მოხვდა „გალათასარაის“ შუქურ-ვარსკვლავი ჰაკანი, რომლის მოღვაწეობაც „ინტერში“ ისეთივე ფინალით დასრულდა, როგორც ერთ დროს „ტორინოში“.

იტალიაში თურქი თავდამსხმელის გადაბარგებიდან დღემდე 11 თვე გავიდა და მორატის რატომღაც დაავიწყდა ფულის გადახდა. ალბათ იმიტომ, რომ შუქურს ვერც მინდორზე ხედავდა და ხანდახან ვერც სათადარიგოთა სკამზე.

სამაგიეროდ, „გალას“ მეპატრონეებს კარგად ახსოვდათ ეს მბავი და საქმის გასარჩევად სათანადო ორგანოებსაც მიმართეს. ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ სამართალმა თურქული ქაბაბი მიირთვა და ალბათ უახლოეს დღეებში „ჯიმ-ბომის“ მოლარე ხელფასებსაც დაარიგებს.

გარდა ამისა, მომავალი სეზონიდან სტამბოლში გადაინაცვლებს და „წითელ-ყვითელ“ მაისურას მოირგებს „ინტერიდან“ „ვიჩენცაში“ განათხოვრებული, ამ სეზონში 6 გოლის გამტანი 22 წლის სიერალეონელი თავდამსხმელი მოჰამედ კალონი, რომელიც, როგორც ჩანს, მილანურმა კლუბმა ფულის დასტას გააყოლა დესერტად.

გადაიხადეთ ვალები და არ გექნებათ პრობლემები.

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS ბელგრადიდან

სურათები შფოთიანი ბალკანეთის საფეხბურთო ცხოვრებიდან.
ბელგრადში მაყურებლებმა ქექეს ერთმანეთი...

## იუგოსლავია

### თასის ფინალი
**პარტიზანი 1:0 ცრვენა ზვეზდა**

1:0 ილიჩი (65)

**ოთხშაბათს** იუგოსლავიის თასის ფინალში საშა ილიჩის ერთადერთი გოლით ბელგრადის „პარტიზანმა“ თანაქალაქელი „ცრვენა ზვეზდა“ დაამარცხა.

თუ იუგოსლაველთა საკლუბო ფეხბურთზე რამე გსმენიათ, აუცილებლად გეცოდინებათ, რასაც ნიშნავს ბელგრადული დერბი. „რეალი“ — „ბარსელონა“ და „სელტიკი“ — „რეინჯერსი“ ახლოსაც ვერ მივლენ „პარტიზან“ — „ცრვენა ზვეზდასთან“ დაღვრილი სისხლის რაოდენობით. ვერ ვიხსენებთ, ბოლოს როდის ჩამთავრდა ამათი დაპირისპირება პოლიციის ჩარევის გარეშე.

ამ მატჩის მონაგარი, საშა ილიჩის გოლის გარდა, ექვსი პოლიციელისა და თერთმეტი გულშემატკივრის გატეხილი თავია. ამ თვრამეტი დაზარალებულიდან მხოლოდ შვიდი წავიდა შინ თავისი ფეხით, დანარჩენები კი ექიმებმა გაუყენეს საავადმყოფოს გზას.

ქვებით, ჯოხებით, ბოთლებითა და ათასი სხვა საგნით შეიარაღებულ ფანებს პოლიციამ ცრემლსადენი გაზი შეაგება და ოდენ ამით დაამშვიდა. ცრემლსადენი გაზი, მოგეხსენებათ, ქვიან და უქვო ადამიანს ვერ არჩევს და მართლაც ფეხბურთის საყურებლად მისული ხალხის უმეტესობამ მატჩის დასრულებამდე ამჯობინა სტადიონიდან გაცლა.

მინდორზე კი განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. თავიდან მატჩის სადავეები „ცრვენა ზვეზდამ“ იგდო ხელთ, მაგრამ გოლად კი არა, სახიფათო საგოლე მომენტებადაც ვერ აქცია. მიხაილო პიანოვიჩის ორი დარტყმა ახლო მანძილიდან — ერთი მცირედით აცილებული და მეორეც პარტიზანელი მეკარე რადოვან რადაკოვიჩის მოგერიებული — პირველ ტაიმში „ცრვენა ზვეზდას“ მეტი არაფერი გაუკეთებია. რაც შეეხება მეტოქეს, მან პირველი სახიფათო იერიში 41-ე წუთზე განახორციელა.

შესვენების მერე „პარტიზანმა“ ტემპს უმატა და თავში ნახსენები საშა ილიჩის გოლი მოიმკო, რომელიც ფეხბურთელმა საჯარიმოს გარედან გაიტანა.

დარჩენილ ოცდახუთ წუთში „ცრვენა“ ბევრს ეცადა, მაგრამ პარტიზანთა დაცვის გაუვალ კედელს აწყდებოდა და დამარცხდა.

იუგოსლავიის დაშლის შემდეგ „პარტიზანმა“ მესამედ მოიგო ქვეყნის თასი.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე დამარცხებულთა მწვრთნელმა სლავოლუბ მუსლინმა, ქუთაისის „ტორპედოს“ ძველმა ნაცნობმა, თავისი გუნდის თამაში დაიწუნა, მაგრამ მეტოქესაც კბილი გაჰკრა, მათ ჩვენზე უკეთ არ უთამაშიათ, რის გამოც ვერ ვიტყვი, რომ დამსახურებულად მოიგესო.

## ხორვატია

### თასის ფინალი. I მატჩი
**ჰაიდუკი 0:2 დინამო**

0:1 შოკოტა (40), 0:2 მიკიჩი (57)

*საპასუხო მატჩი გაიმართება 23 მაისს*

**ხორვატიის** თასის პირველი ფინალური მატჩის დასრულებამდე ორი წუთი რჩებოდა, თუმცა მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა მხოლოდ ოცდაორი წუთის მერე გაისმა. საქმე ის გახლავთ, რომ მოედანზე ქვების წვიმა წამოვიდა და მსაჯი იძულებული გახდა თამაში შეეწყვიტა.

ქვების წვიმა სადღაც ტრიალ მინდორში რომ წამოვიდეს, ბუნების ამოუცნობ მოვლენასთან გვექნება საქმე, მაგრამ როცა ეს ამბავი სტადიონზე ხდება, ესე იგი ქომაგები ხულიგნობენ. არეულობის მოთავენი სპლიტელი ფანები იყვნენ, რაკილა მათი „ჰაიდუკი“ 0:2 აგებდა ზაგრების „დინამოსთან“.

ხულიგნები, სულ ორმოცდაათი კაცი, პოლიციამ წყლის ჭავლით დაშალა და თამაშიც გაგრძელდა, თუმცა ბოლო ორ წუთში ალარაფერი შეცვლილა.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS სპლიტიდან

სპლიტში არც პოლიციამ დაკლო ხელი



გეორგე ჰაჯი

24 აპრილს ლეგენდარულმა რუმინელმა გეორგე ჰაჯიმ ბუქარესტში თავის გამოსათხოვარ მატჩში ითამაშა. საფეხბურთო კარიერას კი 25 ივნისს დაამთავრებს. თურქული „გალათასარაის“ ნახევარმცველს ეროვნულ გუნდში 125 მატჩი ჩაუტარებია და 35 გოლი გაუტანია.

სოფელში, გაჭირვებაში გაზრდილი ბიჭი მსოფლიო დონის ვარსკვლავად იქცა და „კარპატელი მარადონაც“ შეარქვეს.

გამოსათხოვარი მატჩის შემოსავალი კონსტანცის ობოლ ბავშვთა სახლს გადასცეს. შავიზღვისპირა კონსტანცა ჰაჯისთვის პირველი დიდი ქალაქი იყო. მას ტრადიცია ჰქონია, სამობაოდ ოჯახთან ერთად აუცილებლად მოინახულებს ხოლმე ობოლ ბავშვებს და გვარიანადაც ეხმარება მათ: „ისინი ობლები არიან და ზრუნვა სჭირდებათ. მე კარგად ვიცი მათი პრობლემები, რადგან თავადაც ძალიან მძიმე ბავშვობა მქონდა“ — ასე ამბობს ჰაჯი. კაცი, ვისაც საფეხბურთო საზოგადოება თავხედად და გადარეულად იცნობს. გთავაზობთ ჟურნალ „უორლდ სოკერის“ ინტერვიუს გეორგე ჰაჯისთან.

# კარპატის მთებში იბადებოდნენ და მერე...

**— ბევრი იფიქრეთ და ფეხბურთიდან წასვლა მაინც გადაწყვიტეთ.**

— რას ვიზამ, ასაკი არჩევანს აღარ მიტოვებს. „ნახვამდის“ მაშინ უნდა თქვა, როცა მინდორზე 90 წუთის თამაში შეგიძლია. ასე უფრო ღირსეულად გამოგივა. თორემ ბოლოს სათადარიგოდ და მაყურებელთა სამასხროდ გადაიქცევი.

**— დაიღალეთ?**

— 23-24 წლის მოთამაშეებს ვუყურებ, რომლებიც თანამედროვე ფეხბურთის გიჟური რიტმისგან იტანჯებიან. აბა, ჩემზე რაღა ვთქვა, უკვე 36-ის ვარ.

**— „გალათასარაიზე“ ვთქვათ. ახლა ის უფრო წარმატებულ კლუბად აღიქმება, ვიდრე ფატიჰ თერიმის დროს.**

— საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ შარშან ჩვენ „არავინ“ ვიყავით. როცა ძლიერ გუნდებს ვუგებდით, ამას მოულოდნელობად მიიჩნევდნენ. დღეს ვითარება შეიცვალა: მეტოქეები გულდასმით სწავლობენ „გალას“ თამაშს, ეშინიათ და გამოსავალს ეძებენ. ჩვენც შევიცვალეთ, მივხვდით, რომ ნებისმიერი სიმაღლის დაძლევა ძალგვიძს. თანაც უმაღლეს დონეზე თამაშის დიდი გამოცდილებაც მივიღეთ.

**— თერიმზე რას იტყვით?**

— თურქეთში დიად მწვრთნელად თვლიან და ამ აზრს ფეხბურთელებიც ვიზიარებთ. ხუთ თვეში „ფიორენტინა“ დიდებულ გუნდად აქცია. აბა, სხვა რომელი უცხოელი მოახერხებს ამას. თერიმი განსაკუთრებული მწვრთნელია, რომელსაც ნებისმიერ გუნდთან მუშაობა შეუძლია.

**— ახალგაზრდა რუმინელი ბიჭების კერპი ხართ. თქვენ თუ გყავდათ კერპი?**

— ჭაბუკობისას საერთაშორისო ფეხბურთის ცქერა ჩემთვის დიდი ფუფუნება გახლდათ. ხოლო ვინც მინახავს, საუკეთესოდ იოჰან კრუიფი მიმაჩნია. 1994-ში „ბარსელონაში“ სწორედ იმიტომ გადავედი, რომ მას კრუიფი წვრთნიდა. ძირითადში ყოველთვის არ მათამაშებდნენ, მაგრამ მაინც საუკეთესო მოგონებები დამრჩა. კრუიფი დიდებული პიროვნებაა.

თანამემამულეთაგან კი ანგელ იორდანესკუ მომწონდა. ჩინებული ცაციის პატრონი, შემქმნელი ფეხბურთელი. მერე „სტიაუაში“ და ნაკრებში ჩემი მწვრთნელი იყო, რაც ასევე ძალიან მსიამოვნებს.

**— ისეთი რამ თუ არსებობს, ბოლო ოცი წლის ფეხბურთში რომ არ მოგწონთ?**

— დღეს ყველაფერი ფიზიკური მომზადებითა და სისწრაფით იზომება. მაგრამ ინდივიდუალური ოსტატობა? თუმცა, ბოლო დროს ფეხბურთი ფესვებს უბრუნდება. იტალია კი კვლავაც საუკეთესოდ რჩება თამაშის ხარისხისა თუ ორგანიზაციის ასპექტში. მათსავით მატჩისთვის მომზადება არავის შეუძლია. შესაძლოა, ბოლო წლების ევროთასების შემხედვარეთ ჩემი სიტყვები უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ფეხბურთი გამოუცნობი რამ გახლავთ. მერწმუნეთ, მთელს მსოფლიოს დღესაც თეთრი შურით შურს იტალიელების.

**— „გალათასარაის“ თემას დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, ვინ უფრო ძლიერია, მარიო ჟარდელი თუ ჰაქან შუქური?**

— ეს დელიკატური საკითხია. ორივეს ჰქონიათ ჩავარდნებიც და აღზევებებიც. ჟარდელს „გალასთვის“ კონვეირივით გააქვს, მაგრამ როცა მარჩელო ლიპი „ინტერის“ მწვრთნელი იყო, მარიო არ ისურვა. ამბობდა, ცოტას მოძრაობსო. სამაგიეროდ, ჰაქანი აიყვანა, რომელიც მეტს მოძრაობს, მაგრამ ნაკლები გააქვს.

ჰაქანის გოლები ხშირად გადამწყვეტი გამომდგარა, მაგრამ სტაბილურობა აკლია, თავდამსხმელისთვის კი ეს მთავარი თვისებაა. თუ ამ პრობლემას დაძლევს, „ინტერშიც“ ხშირად გაიტანს.

**— „ოქროს ბურთი“ რატომ ვერასდროს მიიღეთ?**

— იმიტომ, რომ რუმინელი ვარ.

**— ნუთუ ამას ხმოსანთათვის რაიმე მნიშვნელობა აქვს?**

— დიახ. 25 წლამდე „სტიაუაში“ ვთამაშობდი, რომელიც მაშინ ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა. მაგრამ რუმინული კლუბი იყო და ეს ჩემს საწინააღმდეგოდ მუშაობდა.

**— თქვენი თანამემამულე ადრიან მუტუ „ინტერმა“ 2,5 მილიონ დოლარად შეიძინა. მაშინ, როცა სხვა აღმოსავლეთევროპელებში, ვთქვათ, ანდრეი შევჩენკოში „მილანმა“ 25 მილიონი გადაიხადა, ხოლო მატეა კეჟმანში „ეინდჰოვენმა“ 15 მილიონი. საიდან ამხელა სხვაობა?**

— იმიტომ, რომ „სტიაუა“ დიდი კლუბი აღარ არის. ჩამოდიან რუმინეთში, ფეხბურთელს ერთხელ შეხედავენ და ცხადია, ობიექტურ წარმოდგენას ვერ იქმნიან. ბიჭს პერსპექტიულთა რიცხვში ჩაწერენ, სადაც ასობით მისნაირია. ფიქრობენ, მასთან კონტრაქტის გაფორმება ჯერ სარისკოაო და ფასიც ამის ბრალია.

შევჩენკო და კიევის „დინამოს“ სხვა ფეხბურთელები კი ჩემპიონთა ლიგაში ბევრს თამაშობენ, ამიტომ მათი შეფასება გაცილებით იოლია. ასეა, „სტიაუა“ რომ ადრინდელივით ბრწყინავდეს ევროპაში, რუმინელი ვარსკვლავები გაცილებით ძვირი ეღირებოდნენ.

**— შესაძლებელია კი ასეთი რამ?**

— ეს რუმინული კლუბების პრეზიდენტებზე და მათ გეგმებზეა დამოკიდებული.

**— თქვენი ნაკრებიდან წასვლა რუმინელებმა, ალბათ ძალიან განიცადეს.**

— ეროვნულ გუნდს 17 წელიწადი ვემსახურე და ვფიქრობ, შემიძლია თავს ვუთხრა „გეყოფა“. ყოველ მესამე დღეს 90 წუთის თამაში ძალიან მიჭირს, ნაკლები დროით კი მინდორზე გასვლა არ მსურს. რუმინელებს ჩინებული ჰაჯი ახსოვთ და არ მინდა იმიჯი შევილახო.

**— ვითომ შემცვლელს გამოგიძებნიან. მაინც ვინ იქნება ის?**

— ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელია. მათ გვარებს შეგნებულად არ ვიტყვი. მერე ცხვირი არ აიწიონ.

**— ერთი მაინც გვითხარით...**

— კარგით. ალინ სტოიკა.

**— რა უნდა გააკეთოს ფეხბურთელმა, ახალი ჰაჯი რომ გახდეს?**

— მომთმენი და მიზანმიმართული უნდა იყოს. მერე ისეთი გუნდი გამონახოს, სადაც ძირითადში ათამაშებენ, ოსტატობას აუმაღლებენ და სწორ გზაზე დააყენებენ. ეს ყველაფერი მე „სტიაუაში“ მქონდა — დიდ გუნდში. ბედნიერი ვარ, რომ იქ მოვხვდი.

**— ისევ თურქული ფეხბურთის შესახებ ვთქვათ. იქ ხომ ზოგიერთს ზღაპრულ ფულს უხდიან.**

— დიახ. მაგრამ იგივე შეიძლება ესპანეთზე და იტალიაზე ვთქვათ. ანდა ის კონტრაქტი გავიხსენოთ, ბექემი რომ ჩალიჩობს...

**— რომელიმე ვარსკვლავს თურქეთში გადასვლას ურჩევდით?**

— რატომაც არა. თურქეთში ფეხბურთის დონე ყოველდღე იზრდება. ხუთი წლის წინ რომ ჩამოვედი, ყველაფერი სხვაგვარად იყო. დღეს მათი კლუბები გაცილებით კარგადაა ორგანიზებული.

**— უცხოელთაგან ყველაზე მეტად ვინ შეეწია თურქებს?**

— გერმანელები. პირველები ხომ ისინი იყვნენ, ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც.

**— ოცი წლის მანძილზე უამრავი ჯილდო მოიგეთ. რაზე გწყდებათ გული?**

— ალბათ, არაფერზე. უბრალოდ, დასანანია.

**— რა?**

— რომელიმე ძლიერ იტალიურ კლუბში რომ არ ვითამაშე. „მილანი“ მეპატიჟებოდა. სხვებიც...

**— მომავალში რას აპირებთ?**

— მწვრთნელი გავხდები.

**— ახალგაზრდული გუნდებიდან დაიწყებთ?**

— არა. როგორც მოთამაშემ, რაღაც დონეს მივაღწიე და ქვემოდან დაწყება აღარ ღირს.

დასაწყისი იხ. „სარბიელი" №70, №75, №80



თეიმურაზ კუხიანიძე



ილია გაბლიანი



ჯუმბერ მეძმარიაშვილი

# საფლავები

## ტრაგიკულ ამბავთა ქართული ქრონიკა



მწვერვალ „პობედას" მასივი

**უცხო** მთებში ქართველი მთამსვლელებისთვის თავსდამტყდარი პირველი უბედურება მწვერვალ „პობედასთანაა" დაკავშირებული. მაშინ მასზე დიდი გამარჯვების მერე, ჩამოსვლისას დაიღუპნენ სახელგანთქმული ქართველი მთამსვლელები: ილიკო გაბლიანი, თეიმურაზ კუხიანიძე და ჯუმბერ მეძმარიაშვილი. ისინი ამ მწვერვალის რიგით 25-ე, 26-ე, 27-ე მსხვერპლნი შეიქნენ.

ტრაგედიათა სიმრავლის გამო „პობედას" შუა აზიის ყველაზე სახიფათო მწვერვალს უწოდებენ. მეტიც, ქართველთა ტრაგედიამდე საბჭოთა კავშირის სხვა არცერთ მწვერვალზე არ დაღუპულა იმდენი მთამსვლელი, რამდენიც „პობედაზე". იქ მერეც არაერთი ტრაგედია დატრიალებულა და ალბათ მეტიც დაიღუპებოდა, რომ მასზე ასვლები არ აეკრძალათ.

საქმე ის იყო, რომ „პობედა" ტიანშანზე, კოკშაალ-ტაუს ქედის აღმოსავლეთ ნაწილზე, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის საზღვარზე იდგა. საბჭოთა კავშირმა იმის სულელური შიშით, რომ ჩვენი მთამსვლელები „პობედაზე" ასვლის მერე ჩინეთში არ გაგვექცნენო, მასზე ასვლები აკრძალა და მისკენ მიმავალი ხეობის „ჭიშკარი" რამდენიმე წლით ჩარაზა.

მაგრამ ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე შვიდიათასიანის, „პობედა" მხოლოდ ამგვარი ისტორიით როდი გამოირჩევა. მთამსვლელები და სწავლულები, მათ შორის ბორგეზე, ბროხჰელერი, მერცბახერი, ცურბრიგენი, სემიონოვი, სევენცევი და იგნატიევი ამ მწვერვალის რაიონს ჯერ კიდევ 1860 და 1900 წლებს შორისაც იკვლევდნენ. ისინი ყურადღებას ძირითადად აპყრობდნენ ხან-თენგრის, ხოლო სამხრეთით აყუდებული დიდი მთის ბუმბერაზობას, მის სიმაღლეს სათანადოდ ვერ აფასებდნენ. თუმცა, იგი მათ მზერას იტაცებდა და სურათებსაც უღებდნენ.

1929 და 1936 წლებში, როცა ტიანშანის უმაღლეს მწვერვალად მიჩნეული ხან-თენგრი (6995 მ.) დალაშქრეს, მთამსვლელებმა მის სამხრეთით დაინახეს აშკარად უფრო მაღალი მთა, ვიდრე თავად იდგნენ. თუმცა, 1943 წლამდე ზუსტად არც მისი სიმაღლე იცოდნენ და არც ადგილმდებარეობა, ხოლო 1958 წლამდე — არც მასზე პირველამსვლელთა სახელები.

1938 წელს მასზე პირველები ავიდნენ. ლეონიდ გუტმანი, ევგენი ივანოვი და ალექსანდრ სიდორენკო, მაგრამ მაშინ მათ არ იცოდნენ სად და რა სიმაღლის მწვერვალი დალაშქრეს. ირგვლივ ყველაფერი ნისლში იყო შთანთქმული. მწვერვალიდან, რომელზეც ისინი იდგნენ, დასავლეთით მიემართებოდა თოვლიანი ქედი, რომელიც ჯერ ოდნავ დაბლა ეშვებოდა, მერე ისევ მაღლდებოდა. მთამსვლელებმა უამინდობის გამო იქით აღარ გააგრძელეს გზა და ჩათვალეს, რომ საშუალედო პიკზე იდგნენ. მართალია, მათთან ჰქონდათ რომელიღაც თვითმფრინავიდან მოხსნილი, ძველი ალტიმეტრი, მაგრამ მთამსვლელებმა მის მაჩვენებელს არ დაუჯერეს და კორექტირების შემდეგ ჩათვალეს, რომ ისინი 6930 მეტრის სიმაღლის უსახელო მწვერვალზე იდგნენ. მას პირველამსვლელთა უფლებით „ლენინური კომკავშირის 20 წლისთავი" უწოდეს.

1943-44 წლებში ტიან-შანის უმაღლეს მწვერვალად სავარაუდოდ მიჩნეული პიკის სიმაღლე კიდევ ერთხელ გამოითვალეს და ტოპოგრაფმა რაპასოვმა დაადგინა, რომ ასეთი მოსაზრება მცდარი არ ყოფილა. მწვერვალის სიმაღლე 7439 მეტრი აღმოჩნდა. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ჯარების წარმატებათა აღსანიშნავად მწვერვალს „პობედა" უწოდეს. მასზე პირველად 1958 წელს ავიდნენ. უფრო სწორედ, მაშინ „პობედაზე" მოლაშქრეთ ეგონათ, რომ პირველამსვლელები იყვნენ, სინამდვილეში კი ასეთები, როგორც უკვე ვიცით, იყვნენ გუტმანის ჯგუფის წევრები, რომლებმაც 1938 წელს ნისლში ვერ გაარკვიეს, სად ავიდნენ.

ასე რომ, „ლენინური კომკავშირის 20 წლისთავის" პიკი საერთოდ არ არსებულა.

„პობედაზე" პირველად ასვლა, როგორც მის მონაწილეებსა და სხვებსაც ეგონათ, 1949 წელს უშედეგოდ სცადეს. 1955 წელს კვლავ მიადგნენ ამ მწვერვალს, რაც მთამსვლელებს ძალზე ძვირად დაუჯდათ. მაშინ ორი ჯგუფიდან ერთ-ერთი, ყაზახეთისა, აღმოსავლეთის მწვერვალამდე 300 მეტრით ქვემოთ მოხვდა ისეთ ავდარში, როგორიც ტიან-შანისთვისაც კი დიდი იშვიათობა იყო. მაშინ სამკაციანმა ჯგუფმა მაშველთა მოსახმობად დაშვება დაიწყო, მაგრამ მათგან ერთი, სუსლოვი, იმდენად გადაიღალ-გამოიფიტა, რომ ქანცგაწყვეტილი დავარდა და სული განუტევა. ჯგუფის მეორე წევრს კარნიზი ჩაენგრა და ზვავთან ერთად 400 მეტრი ჩამოიქროლა. იმ ბუღრაობაში სასწაულებრივად გადარჩა, მაგრამ ზურგჩანთა და სათვალე დაკარგა. უსათვალოდ დარჩენილი დაბრმავდა, მაგრამ ყინვარამდე მაინც ჩააღწია, იქ კი ჩავარდა ნაპრალში, სადაც ყინულოვან წყალში მთელი 26 საათი გაატარა.

როგორც იტყვიან, მას ძაღლის ბედი ჰქონია, რადგან კვლავ გადარჩა, ზემოთდარჩენილთა დასახმარებლად კი მეორე ჯგუფის წევრები ვლადიმერ რაცეკის მეთაურობით დაიძრნენ, მაგრამ 6700 მეტრის სიმაღლეზე მხოლოდ ორი მთამსვლელის გვამს მიაგნეს, დანარჩენი ცხრა კი უკვალოდ გამქრალიყო.

თერთმეტი დაღუპული! ასე დამთავრდა 1955 წლის იერიში „პობედაზე".

1956 წელს 50 წლის ვიტალი აბალაკოვის მეთაურობით კვლავ მიიტანეს იერიში „პობედაზე". ის ათ მთამსვლელთან ერთად ლაშქრავს მწვერვალს და ზეიმობს პირველასვლას, როგორც ეს მას და მის თანაგუნდელებს ჰგონიათ.

1958 წელს იგორ ეროხინის მეთაურობით ძლიერი საბჭოთა გუნდი, რომელშიც ოთხი ქალი და ამდენივე ჩეხოსლოვაკიელი მთამსვლელია, ჩონტარენის ულელტეხილიდან „პობედას" აღმოსავლეთ მწვერვალზე (დოსტუკის პიკი) ადიან. მასზე პირველამსვლელები აღმოჩნდნენ: ჩეხოსლოვაკიელები — ვლადიმერ კუიტა, დალიმილ ფორეიტნიკი, მიროსლავ ილევი, ვლასტიმილ შმიდი და რუსი ქალები — ია სოკოლოვა, ანა ტიხონოვა და სვეტლანა შჩუკინა. ექსპედიციის მეთაური ექვს თანაგუნდელთან ერთად თოთხმეტ დღეში აკეთებს აღმოსავლეთის ქედის ტრავერსს და მთავარი მწვერვალის ჩრდილოეთის ფერდობიდან უბედური შემთხვევის გარეშე ეშვება.

ამ ექსპედიციის შემდეგ ირკვევა „პობედაზე" ნამდვილ პირველამსვლელთა ვინაობა, რომლებიც ჩრდილოეთის ფერდობიდან მოლაშქრე ლეონიდ გუტმანის ჯგუფის წევრები აღმოჩნდნენ.

1959 წელს „პობედა" პიოტრ კარპოვისა და ვლადიმერ რაცეკის მეთაურობით მასზე მოლაშქრე ტაშკენტელი მთამსვლელების თავს ისევ ტრაგედიას ატეხს. 7100 მეტრის სიმაღლეზე ასულნი ავდარში ხვდებიან, რის გამოც დროებით ქვემოთ ეშვებიან და ეწევიან ქანცგაწყვეტილ დამხმარე ჯგუფის წევრებს. ისინი იმდენად არიან ძალაგამოცლილნი, რომ დიდი გაჭირვებით ძლივს ახერხებენ დღეში მხოლოდ 100 მეტრით დაშვებას. ამიტომ ოთხი მათგანი იყინება, იღუპება და „პობედა" თავის მსხვერპლთა რაოდენობას თოთხმეტამდე ზრდის.

1960 წელს პობედაზე ისევ დიდი ტრაგედია ტრიალებს — კირილ კუზმინის 32-კაციანი გუნდი ჩრდილოეთის მწვერვალზე ასვლას ცდილობს. 5300 მეტრზე მათ თავს ატყდება ზვავი, რომელიც 29 კაცს 400 მეტრით ქვემოთ მოაქანებს. 19 მთამსვლელი ახერხებს ზვავიდან თავის დაღწევას, ათი კი სამუდამო სასუფეველს იქ პოულობს.

მომდევნო წელს კირილ კუზმინი ოთარ გიგინეიშვილის მეთაურობით ქართველთა ექსპედიციას შეუამხანაგდა და მათთან ერთად კვლავ „პობედაზე" წავიდა. 23 აგვისტოს იგი ილია გაბლიანთან, თეიმურაზ კუხიანიძესთან, ჯუმბერ მეძმარიაშვილთან და ორ მიხეილ ხერგიანთან ერთად რთულ კლდოვან-ყინულოვანი 160-მეტრიანი ბასტიონის დაძლევის შემდეგ 23 აგვისტოს ადის „პობედას" დასავლეთით განშტოებულ ამ 6920 მეტრის სიმაღლის უსახელო პიკზე. მწვერვალზე ისინი პირველამსვლელები არიან და მას ვაჟა ფშაველას სახელს არქმევენ.

სამწუხაროდ, აქ ორიდან ერთ-ერთი მიხეილ ხერგიანი შეუძლოდ ხდება, საბაზოსკენ ბრუნდება და მას მეორე ხერგიანი აცილებს, დანარჩენები კი გზას აგრძელებენ და 26 აგვისტოს ყველანი „პობედას" მთავარ მწვერვალზე არიან.

მათ განზრახული ჰქონდათ მწვერვალის თხემის ტრავერსი, რომელიც აღმოსავლეთის პიკზე ასვლით უნდა დაეგვირგვინებინათ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მათ ასასვლელი აღარსად ჰქონდათ, რადგან მწვერვალის მთელი მასივი წარმოადგენს სამკილომეტრიან თხემს, რომელიც პრაქტიკულად სწორია.

ასე იყო თუ ისე, მთამსვლელებმა ამ ჩანაფიქრზე ხელი აიღეს, რათა დაწეოდნენ ხერგიანებს და ჩამოსვლაში დახმარებოდნენ. დაშვებისას, მწვერვალის დასავლეთის განშტოების მახლობლად, მათ 6500 მეტრის სიმაღლეზე შემოაღამდათ და ბანაკი დასცეს. როცა ინათა და გზის გასაგრძელებლად მზადება დაიწყეს, ილია გაბლიანი კლდის შვერილზე ჩამოჯდა და მზეს მიეფიცხა.

სამწუხაროდ, იქიდან აღარც ამდგარა — ღვიძლის ავადმყოფობამ გაუხსენა, მწვავედ შეუტია და...

საბჭათა კავშირის სამგზის ჩემპიონის, ილია გაბლიანის უეცარმა აღსასრულმა თავზარი დასცა მის მეგობრებს, მაგრამ რას იფიქრებდნენ ისინი, რომ თავადაც „პობედას" პიკის ფერდობებზე დაასრულებდნენ სიცოცხლეს...

თოკმა უმტყუნა საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონ თეიმურაზ კუხიანიძეს.

სამგზის ჩემპიონი ჯუმბერ მეძმარიაშვილი გადაჩეხილი მეგობრისკენ დაეშვა და თვითონაც მოსწყდა.

მარტოდ დარჩენილ კირილ კუზინსაც ალბათ იგივე ბედი ელოდა, ექსპედიციის დანარჩენი წევრები მასთან რომ არ ასულიყვნენ.

— „5000 მეტრ სიმაღლეზე ქართველი გოლიათი ავთანდილ ახვლედიანი შემომხვდა — იგონებს გაბლიანის, მეძმარიაშვილისა და კუხიანიძის დაღუპვის ერთადერთი მოწმე კირილ კუზმინი კრებულში „დამარცხებული მწვერვალები". ჩვენი ტრაგედიის ამბავი რომ შეიტყო, სახეზე ხელები აიფარა და თოვლში ჩაჯდა. მხრები უცახცახებდა ქვითინისგან".

თეიმურაზ კუხიანიძე და ჯუმბერ მეძმარიაშვილი მეგობრებმა თბილისში ჩამოასვენეს. ისინი ერთმანეთის გვერდით მიაბარეს დიდუბის პანთეონის მიწას, ილიკო გაბლიანის ცხედარი კი „პობედამ" ჩაიკრა ყინულის გულში, 7000 მეტრის სიმაღლეზე. იგი კლდესა და ლოდს შორის, თოვლში ჩაასვენეს მეგობრებმა, ქვემოთ კი, მწვერვალის ძირში, კლდეზე დაამაგრეს ქართულ-რუსულად ამოტვიფრული მემორიალური დაფა, მეტი კი ველარ შესძლეს, რადგან იმ სიმაღლიდან მისი ჩამოსვენება მათ ძალებს აღემატებოდა.

მას შემდეგ „პობედამ" კიდევ მრავალი მთამსვლელი შეიწირა. ილიკო გაბლიანის გვერდით კიდევ ერთი რუსი ალპინისტი მიაბარეს „პობედას" და მწვერვალის ძირში გაჩნდა სხვა მემორიალური დაფებიც.

იმ ტრაგედიის მერე ქართველთა ასვლა პობედაზე, მიზეზთა გამო, მრავალი წლის განმავლობაში ველარ მოხერხდა. მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ ავიდა იქ აფი გიგანი. იგი აღმოჩნდა პირველი და ჯერჯერობით ბოლო, ვინც თავისი ნათესავის ცხედარი იხილა და იქ პანაშვიდიც თავისებურად გადაუხადა, მწვერვალის ძირში, იმ მემორიალურ დაფასთან კი სანთლებიც აანთო და მისი და მისი მეგობრების ხსოვნას ჭიქაც წაუქცია.

**ავთანდილ გურასაშვილი**

*(გაგრძელება იქნება)*



აფი გიგანი ილია გაბლიანის, თეიმურაზ კუხიანიძისა და ჯუმბერ მეძმარიაშვილის მემორიალურ დაფასთან. იქვე (მარცხნივ) 1989 წლის 16 აგვისტოს „პობედაზე" დაღუპული ინგლისელი დევიდ ჯეიმს სექსტონის მემორიალური დაფაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუპერლიგა. «ოთხთა ფინალი». 11-13 მაისი. პარიზი

# ვინ იქნება ოთხში ერთი?

## დღეს სუპერლიგის ნახევარფინალებია

## მაკაბი–ცსკა
## პანათინაიკოსი–ეფესი

დღეს პარიზში, „ბერსის" სპორტკომპლექსში ევროპის უპირველესი საკლუბო ტურნირის, სუპერლიგის „ოთხთა ფინალი" იწყება. პირველ ნახევარფინალში, თბილისის დროით საღამოს ცხრა საათზე თელ ავივის „მაკაბი" და მოსკოვის ცსკა ითამაშებენ, მერე კი ათენის „პანათინაიკოსი" სტამბოლის „ეფესს" დაუპირისპირდება.

მეორე ნახევარფინალი შარშანდელი ევროლიგის ნახევარფინალის გამეორებაა. ერთი წლის წინ, სალონიკში, „პანათინაიკოსმა" 81:71 მოუგო „ეფესს" და ფინალში გავიდა, სადაც მერე „მაკაბის" სძლია. ასე რომ, არ არის გამორიცხული, შარშანდელი ფინალიც განმეორდეს, მით უმეტეს, რომ ათენელები და თელავიველები თავთავიანთ წყვილში ფავორიტებად მოიაზრებიან.

„პანათინაიკოსს" სასიამოვნო მოგონება აკავშირებს პარიზთან, კერძოდ კი „ბერსის" სპორტკომპლექსთან: 1996 წელს ათენელებმა სწორედ იქ მოიგეს ევროლიგა და პირველად მოიპოვეს ყველაზე პრესტიჟული ევროსაკლუბო ტიტული. საერთოდ, „პანათინაიკოსი" ორჯერ ფლობდა ევროპის ჩემპიონთა თასს (1996, 2000), „მაკაბიც" ორჯერ (1977, 1981), ცსკა — ოთხჯერ (1961, 1963, 1969, 1971), ხოლო „ეფესი" ჯერჯერობით ერთხელ ნახევარფინალისტობით თუ დაიკვეხნის (2000).

ფინალი კვირას, 13 მაისს გაიმართება.

### მაკაბი
თელ ავივი, ისრაელი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 ნადავ ჰენფელდი | ფორვარდი | 33 | 200 | ისრაელი |
| 5 მარკ ბრისკერი | უკანა ხაზი | 32 | 195 | ისრაელი |
| 6 დერიკ შარფი | უკანა ხაზი | 30 | 183 | ისრაელი |
| 7 ნათანიელ ჰაფმანი | ცენტრი | 26 | 212 | აშშ |
| 8 ენტონი პარკერი | ფორვარდი | 26 | 198 | აშშ |
| 9 გურ შელეფი | ფორვარდი | 27 | 201 | ისრაელი |
| 10 ტალ ბურშტეინი | უკანა ხაზი | 21 | 198 | ისრაელი |
| 11 ელად სავიონი | ფორვარდი | 23 | 199 | ისრაელი |
| 12 ველიბორ რადოვიჩი | ფორვარდი | 29 | 202 | ისრ.-იუგ. |
| 13 რადისლავ ჩურჩიჩი | ცენტრი | 36 | 206 | იუგოსლავია |
| 14 არიელ მაკდონალდი | უკანა ხაზი | 29 | 191 | სლოვ.-აშშ |
| 15 დავიდ შტერნლაითი | ცენტრი | 28 | 206 | ისრაელი |

მწვრთნელი: პინი გერშონი (ისრაელი)

### ცსკა
მოსკოვი, რუსეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 რასტი ლარუ | უკანა ხაზი | 28 | 187 | აშშ |
| 6 იადგარ კარიმოვი | ცენტრი | 20 | 210 | რუსეთი |
| 7 იგორ კუდელინი | უკანა ხაზი | 29 | 196 | რუსეთი |
| 8 ნიკოლაი პადიუსი | უკანა ხაზი | 21 | 195 | რუსეთი |
| 9 ნიკიტა მორგუნოვი | ფორვარდი | 26 | 211 | რუსეთი |
| 10 ვლადან ალანოვიჩი | უკანა ხაზი | 34 | 192 | ხორვატია |
| 11 გინტარას ეინიკისი | ცენტრი | 32 | 208 | ლიტვა |
| 12 ანდრეი ფეტისოვი | ფორვარდი | 29 | 208 | რუსეთი |
| 13 ანდრეი კირილენკო | ფორვარდი | 20 | 206 | რუსეთი |
| 14 დმიტრი დომანი | ფორვარდი | 27 | 198 | რუსეთი |
| 15 ალექსანდრ პეტრენკო | ფორვარდი | 25 | 204 | რუსეთი |
| ალექსეი სავკოვი | უკანა ხაზი | 22 | 195 | რუსეთი |

მწვრთნელი: ვალერი ტიხონენკო (რუსეთი)

### ყველა მაკაბი — ცსკა

| | | |
|---|---|---|
| 16.12.1976 | თელ ავივი | მაკაბი — ცსკა +:- |
| 17.02.1977 | ვირტონი | ცსკა — მაკაბი 79:91 |
| 28.01.1981 | ბრიუსელი | მაკაბი — ცსკა 85:74 |
| 29.01.1981 | ბრიუსელი | ცსკა — მაკაბი 83:81 |
| 12.01.1983 | ბრიუსელი | ცსკა — მაკაბი 78:69 |
| 13.01.1983 | ბრიუსელი | მაკაბი — ცსკა 84:80 |
| 16.01.1985 | ანტვერპენი | ცსკა — მაკაბი 79:67 |
| 17.01.1985 | ანტვერპენი | მაკაბი — ცსკა 87:81 |
| 12.01.1989 | მოსკოვი | ცსკა — მაკაბი 92:97 |
| 09.03.1989 | თელ ავივი | მაკაბი — ცსკა 94:90 |
| 15.12.1994 | თელ ავივი | მაკაბი — ცსკა 92:89 |
| 16.02.1995 | მოსკოვი | ცსკა — მაკაბი 87:78 |
| 26.09.1996 | თელ ავივი | მაკაბი — ცსკა 77:78 |
| 14.11.1996 | მოსკოვი | ცსკა — მაკაბი 89:80 |
| 30.09.1997 | მოსკოვი | ცსკა — მაკაბი 71:63 |
| 20.11.1997 | თელ ავივი | მაკაბი — ცსკა 87:69 |

### პანათინაიკოსი
ათენი, საბერძნეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 ფრაგისკოს ალვერტისი | ფორვარდი | 27 | 206 | საბერძნეთი |
| 5 გიორგოს კალაიძისი | უკანა ხაზი | 25 | 195 | საბერძნეთი |
| 6 მიხაელ კოხი | უკანა ხაზი | 35 | 190 | გერმანია |
| 7 ჯონი როჯერსი | ფორვარდი | 38 | 207 | ესპანეთი |
| 8 ანტონის ფოცისი | ფორვარდი | 20 | 204 | საბერძნეთი |
| 9 ნანდო ჯენტილე | უკანა ხაზი | 34 | 193 | იტალია |
| 10 დეიან ბოდიროგა | ფორვარდი | 28 | 204 | იუგოსლავია |
| 11 დერილ მიდლტონი | ფორვარდი | 35 | 202 | ესპანეთი-აშშ |
| 12 ჟელკო რებრაჩა | ცენტრი | 29 | 211 | იუგოსლავია |
| 13 პატ ბერკი | ცენტრი | 28 | 208 | ირლანდია |
| 15 გიორგოს ბალოიანისი | უკანა ხაზი | 30 | 196 | საბერძნეთი |
| იანის როდოსტოლლუ | უკანა ხაზი | 18 | 191 | საბერძნეთი |

მწვრთნელი: ჟელკო ობრადოვიჩი (იუგოსლავია)

### ეფესი
სტამბოლი, თურქეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 დამირ მულაომეროვიჩი | უკანა ხაზი | 27 | 194 | ხორვატია |
| 5 ერდალ ბიბო | ფორვარდი | 24 | 197 | თურქეთი |
| 6 ომერ ონანი | უკანა ხაზი | 23 | 194 | თურქეთი |
| 7 ვლადო შჩეპანოვიჩი | უკანა ხაზი | 26 | 198 | იუგოსლავია |
| 9 ენდერ არსლანი | უკანა ხაზი | 18 | 185 | თურქეთი |
| 10 ქერემ თუნჩერი | უკანა ხაზი | 22 | 190 | თურქეთი |
| 11 ალფერ ილმაზი | ფორვარდი | 26 | 197 | თურქეთი |
| 12 ჰუსეინ ბეშოქი | ცენტრი | 26 | 212 | თურქეთი |
| 13 მეჰმეთ ოქური | ფორვარდი | 22 | 210 | თურქეთი |
| 14 პრედრაგ დრობნიაკი | ცენტრი | 26 | 211 | იუგოსლავია |
| 15 ქაია პეკერი | ცენტრი | 21 | 207 | თურქეთი |

მწვრთნელი: ოქტაი მაჰმუდი (თურქეთი)

### ყველა პანათინაიკოსი — ეფესი

| | | |
|---|---|---|
| 25.11.1993 | ათენი | პანათინაიკოსი — ეფესი 67:82 |
| 27.01.1994 | სტამბოლი | ეფესი — პანათინაიკოსი 68:59 |
| 21.10.1998 | ათენი | პანათინაიკოსი — ეფესი 77:63 |
| 26.12.1998 | სტამბოლი | ეფესი — პანათინაიკოსი 53:80 |
| 18.04.2000 | სალონიკი | პანათინაიკოსი — ეფესი 81:71 |

## სლოვენია

# სლოვანს დებიუტი არ ეყო

### პლეი ოფი

ნახევარფინალი (ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| **ოლიმპია** | **1** |
| **პივოვარნა** | **0** |

**ოლიმპია 127:88 პივოვარნა**

| | |
|---|---|
| **კრკა** | **1** |
| **სლოვანი** | **0** |

**კრკა 82:70 სლოვანი**

**კრკა: ანზულოვიჩი (7), იევტოვიჩი, დონჩიჩი (19), პეტროვი (6), დევისონი (7), გრუმი (17), დრობნიაკი (8), კორტნი (18)**

**სლოვანი: ნოვაკი (8), ლაკოვიჩი (21), ჟუპელი, უგრეხელიძე (16 წუთი, 4 ქულა, 1 პასი), კოვაჩი (3), პავიჩი (22), ბოისა (22 წუთი, 6 ქულა, 3 მოხსნა), მარავიჩი, კოკალი, ცქიტიშვილი (23 წუთი, 6 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი)**

**სლოვენიაში** საპლეიოფო ციებცხელება დაიწყო. ქართველთა „სლოვანი", რომელმაც ექვსეულში „პივოვარნას" აჯობა და „ოლიმპიას" მეტოქეობა თავიდან აიცილა, ნახევარფინალურ სერიაში ნოვო მესტოს „კრკას" დაუპირისპირდა. მიმდინარე ჩემპიონატის ოთხ ურთიერთშეხვედრაში სლოვანელებს მეტოქე მხოლოდ ერთხელ დაემარცხებინათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტომო მაჰორიჩი თავის საშწყოსთან ერთად ნოვო მესტოში მხოლოდ მოსაგებად ჩავიდა. ამის საფუძველს მწვრთნელს თამაშის დებიუტიც აძლევდა, მაგრამ გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე მატჩი საბოლოოდ მისი გუნდის დამარცხებით დასრულდა და შედეგად „სლოვანი" სერიაში 0:1 ჩამორჩა.

„სლოვანის" შემადგენლობაში მოთამაშე ოთხი ქართველიდან კოტე ტულუშის გარდა მატჩში ყველამ მიიღო მონაწილეობა. ამათგან ნიკა ცქიტიშვილმა, რომელმაც ყველაზე მეტი, 23 წუთი დაჰყო მოედანზე, თავის გუნდს 6 ქულა შესძინა. ასევე 6 ქულის მოპოვება მოახერხა ვლადიმერ ბოისამაც, რომელიც დაცვაში გაცილებით უკეთესად ირჯებოდა. რაც შეეხება დავით უგრეხელიძეს, იგი 16 წუთში 4 ქულას გამორჩა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სტუმართა გუნდში ქებას მხოლოდ ლაკოვიჩი და პავიჩი იმსახურებდნენ, რომლებმაც თავისიანებს შესაბამისად 22 და 21 ქულა მოუტანეს.

არადა, „სლოვანმა" თამაში ჩინებულად დაიწყო და სირენიდან ხუთი წუთის შემდეგ 15:5 იგებდა, მაგრამ მასპინძლები მალევე მოეგნენ გონს. რამდენიმე სწრაფი შეტევის შედეგად მათ სათამაშო უპირატესობა იგდეს ხელთ და პირველი მეოთხედის ბოლოსკენ დაწინაურდნენ კიდეც. ამის მიუხედავად, სტუმრებმა ათწუთეული თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს — 21:20. ამან ნოვომესტოელები გამოაფხიზლა. სლოვენიის ჩემპიონებმა საქმეს უფრო სერიოზულად მოჰკიდეს ხელი და „სლოვანს" ხშირად მდევრის როლში ამყოფებდნენ. მატჩის მიწურულს მასპინძლები უფრო ზუსტნი იყვნენ და გაიმარჯვეს კიდეც — 82:70.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრაში „კრკა" ფავორიტად ითვლებოდა, სტუმართა მწვრთნელისთვის ეს წაგება მოულოდნელი აღმოჩნდა. მისი თქმით, „სლოვანს" არაერთი მაღალი დონის მოთამაშე ჰყავს და იმის ძალაც შესწევს, რომ განმეორებით მატჩში მეტოქე დაამარცხოს. ასეთ შემთხვევაში კი ფინალისტის ვინაობა მესამე მატჩში გადაწყდება, რომელიც ნოვო მესტოში გაიმართება.

**ირაკლი ბერტაია**

## საფრანგეთი

XXX ტური

**ბეზანსონი — პო ორტეზი 66:110, სტრასბური — დიჟონი 82:77, ვილერბანი — ანტიბი 97:84, შალონი — ბურგი 85:60, მონპელიე — შოლე 81:74, ლე ავრი — ევრე 71:60, გრაველინი — ნანსი 98:100, რასინგი — ლე მანი 80:81**

# ძლიერი ფორტე

**გამარჯვების** დღეს, 9 მაისს დასრულდა საფრანგეთის ჩემპიონატის რეგულარული სეზონი და პლეი ოფის მონაწილეებიც საბოლოოდ დაწყვილდნენ. ჯერ დასკვნითი ტურის რამდენიმე მატჩის შესახებ ვთქვათ ორიოდ სიტყვა და მერე საპლეიოფო დუეტების შანსებიც შევაფასოთ.

როგორც იქნა, გამარჯვების გემო გაიხსენა „ვილერბანმა". ჩემპიონატის ლიდერმა ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ საკუთარ „ასტრობალში" „ანტიბს" აჯობა, თუმცა ეს მოსალოდნელივით იოლად მაინც ვერ გააკეთა. „მწვანეებმა" თავიდან ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლაში დაჯაბნეს მეტოქეები და მე-16 წუთზე 20 ქულიან უპირატესობასაც (50:30) მიაღწიეს. მესამე მეოთხედში ზღვისპირელებმა შეძლეს ანგარიშში სხვაობის შემცირება და ბოლო მეოთხედი რომ დაიწყო, 71:85 აგებდნენ. ამ დროს მათ აქცენტი სამქულიანებზე გადაიტანეს, რომლებსაც მანამდეც საკმაოდ წარმატებულად ისროდნენ (52 პროცენტი). ჰოდა, ხუთიოდ წუთში „ვილერბანი" უკვე ოდენ ხუთ ქულასღა იგებდა (85:80). მასპინძელთა თავკაცმა გრეგ ბენიომ, კიდევ არ წავაგოთო და ქუსლნატკენი ბილ ედვარდსიც კი დააბრუნა მოედანზე. ამერიკელმა ლეგიონერმაც გაამართლა და „ვილერბანმა" რეგულარული სეზონი გამარჯვებით დააგვირგვინა.

მეტად საინტერესო მატჩი გაიმართა სტრასბურში, რომელსაც წინა ტურში „ვილერბანის" მძლეველი „დიჟონი" სტუმრობდა. დიჟონელთაგან ერთობ გამოირჩა ბერგერსენი, რომელიც თამაშის ყველა კომპონენტში მშვენივრად ირჯებოდა. სწორედ მისი მეოხებით დაწინაურდნენ მე-8 წუთისთვის სტუმრები რვა ქულით (19:11). იმ უპირატესობით, რომელიც კრის სინგლტონის შეგირდებმა შემდეგ ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლაში მოიპოვეს, აგრეთვე ლარსონის ზუსტი სამქულიანებით შეძლეს გამოლვიძებული ჯენინგსის აქტიურობის დათრგუნვა და ტაიმი 46:36 მოიგეს. მასპინძლებმა მეორე ტაიმშიღა შეიტანეს გარდატეხა თამაშში, რაც ფორტეს ზუსტი შორეული სროლების შედეგია (19 ქულა) და 28-ე წუთზე ანგარიშიც გათანაბრდა — 55:55. ფორტემ მატჩის მიწურულიც ძლიერად ჩაატარა და „სტრასბურს" მოაგებინა, თუმცა ალაზასელები მეოთხე ადგილს მაინც ვერ ასცდნენ და მეოთხედფინალში სწორედ „დიჟონთან" მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა.

მესამე ადგილზე გავიდა „ლე მანი", რომელმაც ბოლო წამებზეღა გამოგლიჯა გამარჯვება „რასინგს". მეტოქეებმა თავიდან ძალიან ხისტად დაიწყეს დაცვაში თამაში და ამიტომ იყო, რომ ანგარიში ძალიან ნელა იზრდებოდა. თუმცა მერე ორივე გუნდმა საკმაოდ მოაშიშვლა უკანა ხაზი და შეტევებიც უფრო ხშირად წარმატებით მთავრდებოდა. დიდი სხვაობით წინ ვერავინ გაიჭრა. მხოლოდ ერთხელ დაწინაურდა „ლე მანი" 7 ქულით (26-ე წუთზე 54:47). ოღონდ სტუმრები ხშირად ჯარიმდებოდნენ და მესამე მეოთხედის ბოლოს უკვე თავად აღმოჩნდნენ მდევრის როლში — 60:62. დასკვნითი მეოთხედი უაღრესად დაძაბული იყო. საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე პარიზელები 80:78 იგებდნენ, მაგრამ ასჩერიჩმა სამქულიანი ჩააგდო და „ლე მანმა" 81:80 მოიგო. ახლა ეს გუნდი „ნანსის" გაეჯიბრება და ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსიც აქვს.

„რასინგი" „ვილერბანს", „შალონი" კი „პო ორტეზს" ხვდება მეოთხედფინალში და შემდეგ წრეში რეგულარულის პირველ-მეორე უპრობლემოდ გავაო, ამბობენ. ყველაზე დაძაბული, რა თქმა უნდა, „სტრასბური" — „დიჟონი" უნდა იყოს.

და ბოლოს, „ლე ავრმა" „ევრეს" ჯობნა შეძლო და პრო B-ს მეორე-მერვე ადგილებზე გასულ გუნდებთან პრო A-ს ერთი საგზურისთვის საჭიდაოდ სწორედ იმდღევანდელი მეტოქე გაუშვა.

**გაგი გურული**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ვილერბანი** | 30 | 24 | 6 | 2507:2174 | 54 |
| **პო ორტეზი** | 30 | 22 | 8 | 2547:2244 | 52 |
| **ლე მანი** | 30 | 22 | 8 | 2589:2470 | 52 |
| **სტრასბური** | 30 | 21 | 9 | 2518:2287 | 51 |
| **ნანსი** | 30 | 19 | 11 | 2416:2333 | 49 |
| **დიჟონი** | 30 | 18 | 12 | 2314:2183 | 48 |
| **შალონი** | 30 | 18 | 12 | 2185:2073 | 48 |
| **რასინგი** | 30 | 16 | 14 | 2337:2268 | 66 |
| **შოლე** | 30 | 14 | 16 | 2379:2344 | 44 |
| **ბურგი** | 30 | 13 | 17 | 2303:2414 | 43 |
| **გრაველინი** | 29 | 12 | 17 | 2449:2475 | 41 |
| **ანტიბი** | 30 | 11 | 19 | 2384:2414 | 41 |
| **მონპელიე** | 30 | 10 | 20 | 2373:2574 | 40 |
| **ევრე** | 30 | 7 | 23 | 2246:2532 | 37 |
| **ლე ავრი** | 29 | 7 | 22 | 2245:2543 | 36 |
| **ბეზანსონი** | 30 | 5 | 25 | 2116:2580 | 35 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი (ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ბასკო | 2 |
| სტუ-ჯეოსელი | 0 |

10 მაისი. ბათუმი

**ბასკო 112:78 სტუ-ჯეოსელი**

26:19, 30:17, 27:27, 29:15

**ბასკო:** როჯერსი (19), ბეჟანიშვილი (18), ორმოცაძე (2), ვ. ნაცვლიშვილი (32), კილაძე (10); მ. მარკოიშვილი (10), გ. ნაცვლიშვილი (10), დროჟანოვი (1), ნიკოლაძე (3), კეშელავა (3), საყვარელიძე (3), აბრამიძე (1)

**სტუ-ჯეოსელი:** ხოშტარია (35), დავითულიანი (13), ლოსაბერიძე, ოთიურიძე (4), მინაშვილი (6); კორძაძე (1), ჩუბინიძე (6), ბ. ბერიშვილი (7), კეიდია (2), მდივანი (4), მიქაძე, სულაძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

# ბასკო ჩემპიონია!

## შამპანურის ზღვა ბათუმში

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

**„ბასკომ“** საქმის სახვალიოდ გადადება არ ისურვა და ზედიზედ მეორედ გაჩემპიონება ორ მატჩში მოახერხა.

არადა, თბილისური მატჩიდან გამომდინარე, უჩვეულო არც არაფერი მომხდარა. ზღვისპირელები ხომ შინ უძლეველნი არიან და ეს იოლად დაამტკიცეს კიდეც.

საფინალო ინტრიგა მაინც სულ სხვაა და არც ის იქნებოდა მოულოდნელი, სტუ-ს გვარიანად მოენდომებინა და ეგებ „ბასკოს“ უძლეველობის მითიც დაემსხვრია. ბრძოლის ჟინი ნაღდად არ აკლდათ სტუდენტებს, მაგრამ მონდომება ერთია, შედეგი კი მეორე. ჰოდა, „ბასკოს“ კლასი გუშინაც ნათლად წარმოჩინდა.

თამაში საკმაოდ მძიმედ დაიწყო და სასტარტო მღელვარებამ ორივე გუნდზე იმოქმედა, თუმცა ბასკოელმა ვაკო ბეჟანიშვილმა მინაშვილს ჯარიმა დასტყუა და ორი საჯარიმოდან ერთი ზუსტი სროლით პირველი ქულა გააკეთა. იქვე ვახტანგ ნაცვლიშვილმა ასევე ერთი საჯარიმოთი და ვალერი კილაძემ „ბასკო“ 4:0 დააწინაურეს.

სტუ მედგრად დაუხვდა მეტოქეს და ალეკო დავითულიანის და ვახტანგ მინაშვილის სროლებით გაათანაბრა ანგარიში, აქ კი ბეჟანიშვილმა პირველი სამქულიანი გამოაცხო და ამას შემდეგ სტუდენტებს გათანაბრების შანსი არც მისცემიათ.

მეოთხედის შუაწელში სტუდენტთა დამრიგებელმა ნუგზარ ჭეიშვილმა წუთშესვენება რომ გამოაცხადა, „ბასკო“ უკვე ხუთი ქულით იყო წინ გაჭრილი. თითქოს მწვრთნელის დარიგება სტუმრებს მოუხდათ და ძირითადად დავითულიანის გამოისობით სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა — 17:15.

ამჯერად უკვე ზურაბ ტომარაძემ აიღო ტაიმ-აუტი და მანუჩარ მარკოიშვილიც ჩინებულად ათამაშდა. მან ჯერ თავად ჩააგდო, ხოლო მოგვიანებით ორმოცაძეს მისცა ზუსტი პასი. მეოთხედის დასრულებამდე 20 წამით ადრე კი როჯერსმა გაიბრწყინა და „ბასკოს“ წინსვლა ხუთქულიანი გახადა.

დარჩენილ დროში სტუ-მ ბურთის დაჭერა და ბოლო წამისთვის შეტევა განიზრახა, მაგრამ კორძაძემ უხეირო პასი გადააწოდა თანაგუნდელს და კვლავ მარკოიშვილმა ზედ სირენის ხმაზე ჩააგდო ბურთი კალათში — 26:19.

მეორე მეოთხედის დასაწყისში ტემპი გაიზარდა, სწრაფ თამაშში თავიდან სტუმრებმა იხეირეს და სხვაობაც ცოტა შეამცირეს, მაგრამ „ბასკოს“ რიგებში ისევ ბეჟანიშვილი გამოირჩა, რომლის ზედიზედ ექვსმა ქულამ სტუ-ს ჩამორჩენა ათ ქულამდე გაზარდა — 36:26.

მატჩის ბედი კი ბოლო ორ წუთში გაირკვა, როცა „ბასკომ“ ეს მონაკვეთი 10:0 მოიგო და მეოთხედის მიწურულს სხვაობა უკვე ოცი ქულით გამოიხატა — 56:36.

სტუ-მ ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა და ყველაზე ძლიერი წინააღმდეგობა მეტოქეს მესამე მეოთხედში გაუწია. ჩინებულად ათამაშდა ირაკლი ხოშტარია, რომელმაც ქულათა სოლიდური მონაგარის ნახევარი ამ მეოთხედში დააგროვა.

სამაგიეროდ, მასპინძელთა რიგებში ვახტანგ ნაცვლიშვილი და განსაკუთრებით როჯერსი ათამაშდნენ მძლავრად. თამაშიც სანახაობრივად უკეთესი და გაცილებით დაძაბული გახდა.

ხოშტარიას მცდელობით სტუ თამაშის გადარჩენას შეეცადა. სხვაობაც 13 ქულამდე შემცირდა, მაგრამ სტუდენტებს ძალა აღარ ეყოთ. ვახტანგ და გიგი ნაცვლიშვილებმა, როჯერსთან ერთად, შეძლეს მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა და „ბასკო“ კვლავაც ოცი ქულით დაწინაურდა — 83:63.

სტუდენტებს ბოლო მეოთხედში თამაშის შემობრუნების ყოველნაირი იმედი გადაეწურათ და „ბასკომაც“ დაუძლურებულ მეტოქეს პირწმინდად აჯობა. ცხადი გახდა ჩემპიონის ბედიც და ბოლო წუთებში მატჩი ინერციითღა მიმდინარეობდა. მასპინძლებმა არც მაყურებელი დაივიწყეს და ბევრი ლამაზი ეპიზოდიც აჩუქეს.

„ბასკომ“ ხელახალი ზეობა შთამბეჭდავი თამაშით დაასრულა და მეორე საფინალო მატჩის ანგარიშსაც სოლიდური სახე მისცა — 112:78.

სირენის ხმა და შამპანურის ზღვაც დაიღვარა მოედანზე. დაჯილდოება შთამბეჭდავი გამოუვიდათ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის თავკაცებს. ვერცხლის და ოქროს მედლები მოთამაშეებს და მწვრთნელებს თავად ფედერაციის პრეზიდენტმა გოგი ქათამაძემ გადასცა და საკალათბურთო სეზონიც ამით დასრულდა.

ჩემპიონი კვლავაც „ბასკოა“. მან ეს სეზონი ჩინებულად განვლო და მის პირველობაში ეჭვი არც არავის შეუტანია. აი, სტუ-მ კი მართლაც ბევრს მიაღწია. ამ ახალგაზრდული გუნდისთვის მეორე ადგილი არცთუ ურიგო შედეგია. ამ ეტაპზე ეს სტუდენტთათვის მაქსიმუმია, გაისად კი მათი სახით „ბასკოს“ უთუოდ ძლიერი კონკურენტი ეყოლება.

**მატჩის შემდეგ**

***ნუგზარ ჭეიშვილი, სტუ-ს მთავარი მწვრთნელი:*** „ჩვენი უმთავრესი მიზანი მაინც ფინალში გასვლა იყო, მეტი კი უკვე ველარ შევძელით. თანაც სამრაუნდიანმა ნახევარფინალმაც ძალა წაგვართვა, აღსადგენად კი დრო არ გვეყო. მართალია, ამ მატჩში იყო მომენტი, როცა თამაშის ხსნა შეგვეძლო, მაგრამ „ბასკო“ ის გუნდი არ არის, ასეთი შანსი რომ გამოგაყენებინოს.

ვულოცავ ბათუმელთა მართლაც ჩინებულ გუნდს ჩემპიონობას და მომავალ წარმატებებს ვუსურვებ.“

***ზურაბ ტომარაძე, „ბასკოს“ მთავარი მწვრთნელი:*** „რა მეთქმის, ბიჭებმა მოინდომეს, საქმეს სერიოზულად მიუდგნენ და შედეგიც საკადრისი მიიღეს.

სტუ-ს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მატჩი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. სტუდენტებმა კორექტულობის ფარგლებში ემოციები არ დაიშურეს, ბრძოლაც მძაფრი გახადეს და ღირსეულად წააგეს.

ვულოცავ მათ ვერცხლის მედლების მოპოვებას. განსაკუთრებით სტუ-ს პრეზიდენტ მამუკა კაციტაძეს, რომელიც ძალიან ბევრს აკეთებს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთის ტრადიციების აღორძინებისთვის.“



ბასკოელი ამროსი ორმოცაძე (ბურთით) თავისუფალ პარტნიორს ეძებს

[illegible] ბათუმიდან



„ბასკოს“ ამერიკელი ჯეფ როჯერსი, რუსი სერგეი დროჟანოვი და კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი საქართველოს ჩემპიონის თასით

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## კროკო

### გერმანია. ბუნდესლიგა. 33-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ჰანზა-მიუნხენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 002 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 18.30 | 003 | ჰერტა-ლევერკუზენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 18.30 | 004 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 3,4 | 3,4 | 1,85 |
| 18.30 | 005 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 1,8 | 3,5 | 3,4 |
| 18.30 | 006 | შტუტგარტი-შალკე | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 18.30 | 007 | უნტერჰახინგი-დორტმუნდი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 18.30 | 008 | კიოლნი-ვერდერი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 18.30 | 009 | კოტბუსი-ჰამბურგი | 1,75 | 3,4 | 3,6 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 33-ე ტური

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | ალემანია-ნიურნბეგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 011 | ფიურტი-მიონხენგლადბახი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 012 | ქემნიცი-არმინია | 4,0 | 3,4 | 1,65 |
| 18.00 | 013 | ზაარბრიუკენი-დუისბურგი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 18.00 | 014 | ოსნაბრიუკი-კიკერსი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 18.00 | 015 | ულმი-როიტლინგენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 016 | ობერჰაუზენი-ვალდჰოფი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 017 | მაინცი-ალენი | 2,5 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 018 | ზანქტ პაული-ჰანოვერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 019 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 19.00 | 020 | ლიდსი-ბრედფორდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |

### ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 021 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 022 | ბირმინგემი-პრესტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

### ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 023 | უიგანი-რედინგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 024 | სტოკი-უოლსოლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. I მატჩები

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 025 | ბლეკპული-ჰარტლპული | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 026 | ჰალი-ლეიტონი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. 33-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 027 | გენგამი-ტრუა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.00 | 028 | ლიონი-სტრასბური | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 029 | ნანტი-სენტ ეტიენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.00 | 030 | ბორდო-სედანი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 031 | ოსერი-რენი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 032 | ტულუზი-მეცი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 23.00 | 033 | პსჟ-ლილი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.00 | 034 | მონაკო-ლანსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 035 | მარსელი-ბასტია | 1,55 | 3,4 | 5,3 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. 37 -ე ტური

11 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 036 | ბოვე-სოშო | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| 23.00 | 037 | ნიცა-მონპელიე | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 23.00 | 038 | აიაჩო-მარტიგი | 1,85 | 2,8 | 4,0 |
| 23.00 | 039 | ლავალი-ლორიანი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 23.00 | 040 | ნანსი-ლე მანი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 23.00 | 041 | კრეტეი-ლე ავრი | 1,85 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 042 | ვასკეალი-გენიონი | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 043 | ნიორი-შატორუ | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 044 | ნიმი-კანი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 045 | კაენი-ანჟე | 1,35 | 3,6 | 6,5 |

### იტალია. სერია A. 30-ე ტური

11 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 046 | ფიორენტინა-იუვენტუსი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 23.30 | 047 | ინტერი-მილანი | 2,6 | 2,8 | 2,6 |

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 048 | ბარი-ვიჩენცა | 2,9 | 3,2 | 2,0 |
| 18.00 | 049 | ბრეშა-ბოლონია | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 18.00 | 050 | ნაპოლი-ლაციო | 3,8 | 3,1 | 1,85 |
| 18.00 | 051 | რეჯინა-პარმა | 3,4 | 2,9 | 2,1 |
| 18.00 | 052 | რომა-ატალანტა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 053 | უდინეზე-პერუჯა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 054 | ვერონა-ლეჩე | 1,8 | 3,0 | 4,2 |

### იტალია. სერია B. 34-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 055 | ანკონა-ტრევიზო | 1,7 | 3,0 | 4,0 |
| 18.00 | 056 | ჩიტადელა-რავენა | 1,45 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 057 | კოზენცა-სამპდორია | 2,3 | 2,6 | 3,1 |
| 18.00 | 058 | ემპოლი-სალერნიტანა | 1,65 | 2,8 | 5,6 |
| 18.00 | 059 | ჯენოა-პიაჩენცა | 2,8 | 2,5 | 2,7 |
| 18.00 | 060 | მონცა-კიევო | 4,2 | 2,9 | 1,75 |
| 18.00 | 061 | პესკარა-ტერნანა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 18.00 | 062 | სიენა-კროტონე | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 063 | ვენეცია-პისტოიეზე | 1,3 | 3,6 | 9,0 |

### იტალია. სერია C1/a. 34-ე ტური

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 064 | არეცო-ჩეზენა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 19.00 | 065 | კარარეზე-ალძანო | 2,0 | 2,5 | 3,0 |
| 19.00 | 066 | კომო-პიზა | 1,3 | 3,3 | 9,0 |
| 19.00 | 067 | ლივორნო-ალბინოლეფე | 1,4 | 3,3 | 7,5 |
| 19.00 | 068 | ლუკეზე-ალესანდრია | 1,8 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 069 | მოდენა-ლეკო | 1,2 | 3,1 | 9,0 |
| 19.00 | 070 | რეჯინა-ლუმეცანე | 2,0 | 2,8 | 3,4 |
| 19.00 | 071 | სპალ-სპეცია | 2,5 | 2,8 | 2,2 |
| 19.00 | 072 | ვარეზე-ბრეშელო | 1,9 | 2,7 | 3,0 |

### იტალია. სერია C1/b. 34-ე ტური

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 073 | აველინო-მესინა | 2,6 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 074 | ბენევენტო-ფ.ანდრია | 1,75 | 2,5 | 5,0 |
| 19.00 | 075 | კატანია-ვიტერბეზე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 19.00 | 076 | ფერმანა-ნოჩერინა | 2,0 | 2,8 | 2,6 |
| 19.00 | 077 | ლოდიჯანი-ჯულიანოვა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 19.00 | 078 | აკილა-ატლეტიკო | 1,8 | 3,0 | 3,0 |
| 19.00 | 079 | პალერმო-ასკოლი | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| 19.00 | 080 | ტორესი-დი სანგრო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 19.00 | 081 | სავოია-პეზარო | 1,5 | 3,0 | 7,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 34-ე ტური

11 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 082 | დეპორტივო-ალავესი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 083 | ვილარეალი-სოსიედადი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 084 | მალაგა-ვალენსია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 085 | ბილბაო-ვალიადოლიდი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 21.00 | 086 | მალიორკა-სელტა | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 21.00 | 087 | ნუმანსია-ოსასუნა | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.00 | 088 | ბარსელონა-რაიო ვალეკანო | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 22.00 | 089 | ლას პალმასი-სარაგოსა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 090 | რეალი-ესპანიოლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.15 | 091 | რასინგი-ოვიედო | 1,9 | 3,1 | 3,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 37-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 092 | ატლეტიკო-სევილია | 2,0 | 2,9 | 3,4 |

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 093 | ბეტისი-ალბასეტე | 1,55 | 3,0 | 6,5 |
| 16.00 | 094 | უნივერსიდადი-მურსია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 21.00 | 095 | კორდობა-სალამანკა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 21.00 | 096 | ფეროლი-ლეგანესი | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 21.00 | 097 | კომპოსტელა-სპორტინგი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| 21.00 | 098 | ხაენი-ხეტაფე | 1,75 | 3,0 | 3,8 |
| 22.00 | 099 | ელჩე-ესტრემადურა | 1,8 | 3,0 | 3,8 |
| 22.00 | 100 | უელვა-ლევანტე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 23.00 | 101 | ტენერიფე-ეიბარი | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| 23.00 | 102 | ბადახოსი-ლეიდა | 1,35 | 3,5 | 8,0 |

### პორტუგალია. I ლიგა. 32-ე ტური

11 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 103 | სპორტინგი-ფერეირა | 1,25 | 5,0 | 9,0 |

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 104 | პორტუ-ლეირია | 1,25 | 5,0 | 9,0 |

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 105 | ფარენსე-მარიტიმუ | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 106 | გიმარაეში-კამპომაიორენსე | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 20.00 | 107 | ალვერკა-ბელენენსეში | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 108 | ავეში-ამადორა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.00 | 109 | ბეირა მარი-ბრაგა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 110 | ჟილ ვისენტე-ბენფიკა | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 01.00 | 111 | სალგეირუში-ბოავიშტა | 4,2 | 3,3 | 1,7 |

### პორტუგალია. II ლიგა. 32-ე ტური

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 112 | აკადემიკა-რიუ ავე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 113 | ლეცა-ოვარენსე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 114 | იმორტალი-ფელგეირაში | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 20.00 | 115 | ვარზიმი-ნასიონალი | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| 20.00 | 116 | ფრეამუნდე-სანტა კლარა | 5,3 | 3,5 | 1,5 |
| 20.00 | 117 | ლამაში-შავეში | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 20.00 | 118 | მარკუ-მაია | 2,4 | 3,0 | [illegible] |
| 20.00 | 119 | პენაფიელი-ლავალი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 20.00 | 120 | ესპინიუ-სეტუბალი | 2,6 | 2,9 | 2,5 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. 32-ე ტური

11 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 121 | როზენდალი-პსვ | 5,3 | 3,8 | 1,45 |
| 23.00 | 122 | სიტარდი-ტვენტე | 1,7 | 3,4 | 3,6 |

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 123 | ტილბურგი-გრონინგენი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 22.30 | 124 | ჰერენვენი-ვიტესი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 22.30 | 125 | გრააფსხაპი-ვალვაიკი | 2,3 | 3,3 | 2,6 |

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 126 | აიაქსი-ფეიენოორდი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 17.30 | 127 | სპარტა-ალკმაარი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 17.30 | 128 | უტრეხტი-როდა | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.30 | 129 | ნაიმეგენი-ბრედა | 2,1 | 3,1 | 3,2 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. 32-ე ტური

11 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 130 | ვენლო-დენ ჰააგი | 2,6 | 3,0 | 1,95 |

12 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 131 | ვეენდამი-დენ ბოსხი | 2,7 | 3,4 | 2,0 |
| 22.00 | 132 | ტელსტარი-მაასტრიხტი | 1,55 | 3,6 | 5,0 |
| 22.00 | 133 | დორდრეხტი-კამბური | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 22.00 | 134 | ჰელმონდი-ემენი | 1,65 | 3,5 | 4,2 |
| 22.00 | 135 | ჰერაკლესი-იგლსი | 2,5 | 3,4 | 2,3 |
| 22.00 | 136 | ეინდჰოვენი-ვოლენდამი | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 22.00 | 137 | ზვოლე-ექსელსიორი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.00 | 138 | ოსი-ჰაარლემი | 1,75 | 3,3 | 3,5 |

### ბელგია. I დივიზიონი. 33-ე ტური

13 მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 139 | მუსკრონი-სტანდარდი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.00 | 140 | გენტი-ლუვიე | 1,45 | 3,8 | 5,0 |
| 23.00 | 141 | გენკი-ბეერსხოტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 142 | ანდერლეხტი-მეხელენი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 23.00 | 143 | შარლერუა-სენტ ტრუიდენი | 1,85 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 144 | ბევერენი-ვესტერლო | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 145 | ლიერსი-ბრიუგე | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 23.00 | 146 | ანტვერპენი-აალსტი | 1,9 | 3,4 | 3,1 |
| 23.00 | 147 | ლოკერენი-ჰარელბეკე | 1,65 | 3,6 | 3,4 |

**ჩეხეთი. 28-ე ტური**

**11 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 148 | ლიბერეცი-სიგმა | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 149 | ბლშანი-სპარტა | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 19.30 | 150 | ბანიკი-ტეპლიცე | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.30 | 151 | ბოჰემიანსი-პრჟიბრამი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.30 | 152 | პლზენი-ბრნო | 3,6 | 3,4 | 1,75 |
| 19.30 | 153 | სინოტი-ჟიჟკოვი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.30 | 154 | დრნოვიცე-იაბლონეცი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 22.00 | 155 | სლავია-ბუდეიოვიცე | 1,2 | 5,6 | 10,0 |

**პოლონეთი. 26-ე ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 156 | სტომილი-რაძიონკოვი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 157 | რუხი-ვისლა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.30 | 158 | პოლონია-გროცლინი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 20.00 | 159 | ამიცა-პლოცკი | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 20.00 | 160 | ოდრა-ვიძევი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 20.00 | 161 | პოგონი-გურნიკი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 20.00 | 162 | შლიონსკი-ლეგია | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 20.00 | 163 | კატოვიცე-ზაგლებე | 2,0 | 2,9 | 3,6 |

**თურქეთი. 32-ე ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 164 | ისთანბული-იოზგათი | 1,9 | 3,2 | 3,3 |
| 21.00 | 165 | ქოჯაელი-ანთალია | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 21.00 | 166 | დენიზლი-იეთფა | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 167 | ბურსა-ადანა | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 168 | სამსუნი-რიზე | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 169 | გენჩლერბირლიგი-ბეშიქთაში | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 21.00 | 170 | ერზურუმი-ფენერბაჰჩე | 7,5 | 4,0 | 1,25 |
| 21.00 | 171 | გალათასარაი-ანკარაგიუჯიუ | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 21.00 | 172 | გაზიანთეფი-ტრაბზონი | 1,55 | 3,4 | 5,0 |

**შოტლანდია. 37-ე ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 173 | დანფერმლაინი-მოზერუელი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 19.00 | 174 | სენტ ჯონსტონი-დანდი იუნ. | 2,5 | 3,4 | 2,3 |
| 19.00 | 175 | სენტ მირენი-აბერდინი | 1,85 | 3,4 | 3,4 |
| 19.00 | 176 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 177 | სელტიკი-დანდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 22.05 | 178 | ჰიბერნიანი-ჰართსი | 1,85 | 3,2 | 3,4 |

**ავსტრია. 34-ე ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 179 | ადმირა-რაპიდი | 3,1 | 3,2 | 2,0 |
| 18.30 | 180 | აუსტრია-ბრეგენცი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 18.30 | 181 | ზალცბურგი-რიდი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.30 | 182 | შტურმი-გრაცერი | 1,65 | 3,3 | 4,4 |
| 22.30 | 183 | ლინცერი-ტიროლი | 3,1 | 3,2 | 2,0 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-11 ტური**

**11 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 184 | გრასჰოპერი-ციურიხი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 185 | ლოზანა-სენტ გალენი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.30 | 186 | სერვეტი-სიონი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 187 | ლუგანო-ბაზელი | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-11 ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 188 | არაუ-ლუცერნი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 189 | ვინტერთური-ბელინცონა | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 20.30 | 190 | ვილი-ივერდონი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 22.30 | 191 | ქსამაქსი-იანგ ბოისი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-11 ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 192 | კრინსი-ბადენი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.30 | 193 | თუნი-სოლოთურნი | 1,45 | 3,6 | 5,6 |
| 22.30 | 194 | დელემონი-კარუჟი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 22.30 | 195 | ლოკარნო-ვანგენი | 1,75 | 3,2 | 4,0 |

**დანია. 28-ე ტური**

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 196 | ბრიონდბიუ-ორჰუსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 197 | აკადემისკი-ჰადერსლევი | 1,25 | 4,0 | 7,5 |
| 18.00 | 198 | მიდტიულანდი-ლიუნგბიუ | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 18.00 | 199 | ვიბორგი-ოდენსე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 20.05 | 200 | ჰერფიოლგე-კოპენჰაგენი | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**14 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 201 | სილკებორგი-ოლბორგი | 1,6 | 3,5 | 4,7 |

**რუსეთი. მე-9 ტური**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 202 | სატურნი-როსტსელმაში | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 16.00 | 203 | ფაკელი-როტორი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 16.00 | 204 | დინამო-სპარტაკი | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| 16.00 | 205 | კრილია-ჩერნომორეცი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 16.00 | 206 | ტორპედო-სოკოლი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 16.00 | 207 | ალანია-ზენიტი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 16.00 | 208 | ანჟი-ლოკომოტივი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 209 | ზილ-ცსკა | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**შვედეთი. მე-6 ტური**

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 210 | სუნდსვალი-ტრელებორგი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 20.00 | 211 | ჰალმსტადი-ჰელსინგბორგი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.00 | 212 | იორგრიტე-ნორჩიოპინგი | 1,8 | 3,3 | 3,6 |

**14 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 213 | ელფსბორგი-ჰამარბი | 2,1 | 3,2 | 2,9 |
| 22.00 | 214 | მალმიო-გოიტებორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 215 | იორებრო-ჰეკენი | 1,85 | 3,3 | 3,5 |

**ნორვეგია. მე-6 ტური**

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 216 | ოდ გრენლანდი-ბრანი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 21.00 | 217 | ბრინი-რუსენბორგი | 5,6 | 3,6 | 1,45 |
| 21.00 | 218 | ლილესტრიომი-ბოდიო გლ. | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 21.00 | 219 | ლინი-სტაბეკი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 21.00 | 220 | სოგნდალი-ვიკინგი | 3,5 | 3,3 | 1,85 |
| 21.00 | 221 | ტრომსიო-მოსი | 1,55 | 3,5 | 4,7 |
| 23.05 | 222 | სტრიომგოდსეტი-მოლდე | 3,8 | 3,3 | 1,75 |

**ფინეთი. გადადებული მატჩი**

**11 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 223 | ჰიკ-ვაასა | 1,35 | 4,0 | 7,5 |

**ფინეთი. მე-5 ტური**

**14 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 224 | ჰიკ-ატლანტისი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.30 | 225 | ინტერი-ვაასა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 226 | ჯაზი-კუოპიო | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.30 | 227 | ლაჰტი-ტამპერე | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 20.30 | 228 | მიუპა-იოკერიტი | 1,55 | 3,5 | 4,7 |
| 20.30 | 229 | როვანიემი-ჰაკა | 3,5 | 3,2 | 1,9 |

**ინგლისი. თასის ფინალი**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 230 | არსენალი-ლივერპული | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**საბერძნეთი. თასის ფინალი**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 231 | ოლიმპიაკოსი-პაოკ | 1,45 | 3,5 | 6,0 |

**შვედეთი. თასის 1/2 ფინალი**

**11 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 232 | ელფსბორგი-გაისი | 1,4 | 3,8 | 7,0 |

**კალათბურთი. 1/8 ფინალი**

**11 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 801 | ტორონტო-ფილადელფია | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 07.30 | 802 | საკრამენტო-ლეიკერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 803 | დალასი-სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 1,8 |

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 804 | შარლოტი-მილუოკი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 24.00 | 805 | ტორონტო-ფილადელფია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 02.30 | 806 | საკრამენტო-ლეიკერსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**14 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 807 | სან ანტონიო-დალასი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**კალათბურთი. სუპროლიგა. 1/2 ფინალი (პარიზში)**

**11 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 808 | მაკაბი-ცსკა | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 809 | პანათინაიკოსი-ეფესი | 1,35 | 12,0 | 2,5 |

**კალათბურთი. სუპროლიგა. ფინალი (პარიზში)**

**13 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 810 | | ʌ | ʌ | ʌ |

**ჰოკეი. 1/2 ფინალი**

**12 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 901 | კოლორადო-სენტ ლუისი | 1,65 | 4,0 | 2,8 |

**ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (გერმანიაში).**

**1/2 ფინალი**

**12 მაისი**

18.00 .................................................. 903

22.00 .................................................. 904

**ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (გერმანიაში).**

**მატჩი III ადგილისთვის და ფინალი**

**13 მაისი**

18.00 .................................................. 905

22.00 .................................................. 906

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | | |
| | **12 მაისი** | | | | | | | | | |
| 18.30 601 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1,8 | 12,0 | 30,0 | 3,5 | 6,0 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 11,0 |
| 18.30 602 | ჰერტა-ლევერკუზენი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 5,0 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.30 603 | შტუტგარტი-შალკე | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 5,0 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 18.30 604 | უნტერჰახინგი-დორტმუნდი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 5,0 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 18.30 605 | კიოლნი-ვერდერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 5,0 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| | **იტალია. სერია A** | | | | | | | | | |
| | **11 მაისი** | | | | | | | | | |
| 23.30 606 | ინტერი-მილანი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| | **12 მაისი** | | | | | | | | | |
| 18.00 607 | რეჯინა-პარმა | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 18.00 608 | უდინეზე-პერუჯა | 2,9 | 11,0 | 22,0 | 4,0 | 5,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 609 | ვერონა-ლეჩე | 2,7 | 11,0 | 22,0 | 3,8 | 4,7 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | | | | |
| | **12 მაისი** | | | | | | | | | |
| 21.00 610 | მალაგა-ვალენსია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 21.00 611 | მალიორკა-სელტა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 21.00 612 | ნუმანსია-ოსასუნა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 22.00 613 | ლას პალმასი-სარაგოსა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.15 614 | რასინგი-ოვიედო | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# აივერსონი აივერსონის წინააღმდეგ

**აღმოსავლეთი**

9 მაისი

| | |
|---|---|
| ფილადელფია | 1 |
| ტორონტო | 1 |

**ფილადელფია 97:92 ტორონტო**

**ფილადელფია: აივერსონი (54), სნოუ (10), მუტომბო (9 ქულა, 9 მოხსნა, 5 დაფარება)**

**ტორონტო: კარტერი (28), დევისი (19 ქულა, 10 მოხსნა), ე. ვილიამსი (15), ოკლი (12)**

„ერთადერთი ადამიანი, ვისაც ჩემი შეჩერება შეუძლია მე ვარ. ამას ყოველთვის ვგრძნობდი და ახლაც ვგრძნობ“ — ამბობდა მატჩის შემდეგ „ფილადელფია სიქსერზის“ ლიდერი ალენ აივერსონი. იგი იმ დღეს საუცხოო გუნებაზე გახლდათ, საკუთარ თავს ხელს არ უშლიდა და მისი შორიდან თუ გარღვევაზე ნასროლი ბურთები პანტაპუნტით ცვიოდა „ტორონტოს“ კალათში. მატჩი რომ მიიწურა, აივერსონს ყულაბაში 54 ქულა ჰქონდა, ამდენი ქულა კი პლეი ოფის ერთ თამაშში არც ერთ ფილადელფიელს არ მოუხვეჭია. აივერსონმა ხუთი ქულით გააუმჯობესა 1970 წელს ბილი კანინგემის მიერ დამყარებული რეკორდი, რომელსაც ამაოდ ეპოტინებოდნენ ჯულიუს ირვინგი, მოზეს მელოუნი, ჩარლზ ბარკლი და სხვა ლეგენდები.

ამ რეაქტიული 183-სანტიმეტრიანი კაცის უხვქულიანი მონაგარი დღეს ალარავის აკვირვებს, აივერსონისთანა საშუალო შედეგიანობა ამ ბოლო ათ წელში ჯორდანის გარდა არავის ჰქონია. თუმც ისიც საგულისხმოა, რომ მას თამაშიდან სროლების ჩაგდების საკმაოდ დაბალი პროცენტი აქვს, ბევრი ქულის გაკეთებას ბევრ სროლასაც ახარჯავს, რისთვისაც არაერთხელ გაუკრიტიკებიათ. ამჯერად აივერსონზე არავის უთქვამს, სროლები გააფუჭაო, ან კი ვინ რას იტყოდა, ალენმა 39 სროლიდან 21 ჩააგდო და ცხრა საჯარიმოდან ყველა გამოიყენა. „იგი შეუდარებელი იყო — თქვა „ფილადელფიას“ მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა, რომელსაც ამგვარი სიტყვები ურჩი შეგირდის მიმართ არცთუ ხშირად ემტება — ასე ძლიერად რომ არ ეთამაშა, დღეს უეჭველად წავაგებდით“.

„ტორონტო რეპტორზი“ ასოციაციის ერთი საშუალო გუნდია, თუმც ღონიერ „ფილადელფიას“ წლეულს სისხლი გაუშრო — რეგულარული სეზონის ჩათვლით ხუთი შეხვედრიდან ოთხი მოუგო. სერიაშიც „დინოზავრებმა“ გახსნეს ანგარიში. ამ თამაშის პირველმა მეოთხედმაც მთელ თუ არა, ნახევარ ფილადელფიას გადაუტრიალა გული, რადგან მათმა ჯილამ, „სიქსერზმა“ უხეიროდ დაიწყო მატჩი და როდესაც საწყისი თორმეტწუთეული მიიწურა, სტუმრები სოლიდურად, 31:21 იყვნენ წინ.

აივერსონი არც აქამდე გარჯილა ურიგოდ, მეორე მეოთხედში ხომ სულ გადაირია და ამ თორმეტწუთეულში ერთბაშად 20 ქულა გაუხერხა თავისიანებს. „ფილადელფიამ“ კი მეოთხედი 28:16 მოიგო და წელშიც გაიმართა, მერეც ძირითადად ის ლიდერობდა.

მეორე ნახევარი ლამის ქულა-ქულაში წარიმართა. აივერსონმა მესამე მეოთხედში ცოტა შეისვენა და რამდენიმე სროლაც გააფუჭა. ჩანდა, ბოლოსთვის ინახავდა ძალებს, რადგან ცხადი იყო, მასპინძელთა კუდში მდევარი „ტორონტო“ ბოლო წამებამდე თავგამოდებით იბრძოლებდა. მეოთხე მეოთხედმაც მოატანა და აივერსონი კვლავ აფეთქდა. იგი პირდაპირ სასწაულებს სჩადიოდა. ამ თორმეტწუთეულში „ფილადელფიას“ პირველი სამი ქულა სხვებმა მოუტანეს, მერე კი მხოლოდ აივერსონი აგდებდა. მან თავისიანებს ზედიზედ 19 ქულა (!) შემატა და მატჩის ბოლო წუთზე ორი საჯარიმოც ზუსტად შეასრულა, რის შემდეგაც „სიქსერზი“ 96:89 დაწინაურდა და ფაქტობრივად გამარჯვებულიც გამოვლინდა. თამაშის დამსწრე ორმა ათეულმა ათასმა კაცმა ხანგრძლივი ოვაცია გაუმართა თავის კერპს და ლამის მის მიერ ჩაგდებულ ყოველი ბურთის შემდეგ ითხოვდა, აივერსონი სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ დაესახელებინათ.



REUTERS

ფილადელფია — ტორონტო. „ფილადელფიას“ ქულათა ნახევარზე მეტი ალენ აივერსონისაა

მატჩის დამთავრებამდე 14 წამით ადრე მასპინძელმა ჯორჯ ლინჩმა ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო და ეს იყო „სიქსერზის“ ბოლო ქულა. აღსანიშნავია, რომ ლინჩის მიერ აცილებული საჯარიმო იმ დღეს ერთადერთი იყო, მასპინძლებმა რომ გააფუჭეს.

სერიის მომდევნო ორ მატჩს 11 და 13 მაისს „ტორონტო“ უმასპინძლებს.

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| სან ანტონიო | 3 |
| დალასი | 0 |

**დალასი 90:104 სან ანტონიო**

**დალასი: ნოვიცკი (15), ბაკნერი (14 ქულა, 12 მოხსნა), ჰოვარდი (12 ქულა, 10 მოხსნა)**

**სან ანტონიო: რობინსონი (19 ქულა, 14 მოხსნა), დანკანი (18 ქულა, 14 მოხსნა), ელიოტი (17)**

„დალას მავერიქსს“ ბოლო 13 წელია, პლეი ოფის ამ ეტაპზე არ უთამაშია. ამდენად, ტეხასელები ამ სეზონით უცილობლად კმაყოფილნი უნდა იყვნენ, მაგრამ წარმოუდგენელია, „მავერიქსის“ მხცოვანი და სახელგავარდნილი თავკაცი დონ ნელსონი 9 მაისს თავის შეგირდთა გარჯით ნასიამოვნები დარჩენილიყო. ტეხასურ დერბიში „სან ანტონიომ“ ზედიზედ მესამედ აჯობა „დალასს“ და ამასთან, სტუმრად გაცილებით შთამბეჭდავად იმარჯვა, ვიდრე შინ ორჯერ. სტუმრებმა ყველა კომპონენტში აშკარად დაჯაბნეს მასპინძლები, რომლებიც ხანდახან ისე დაბნეულად ირჯებოდნენ, ნბა-ში შემთხვევით მოხვედრილ ქუჩის მოთამაშეებს მოგჰგონებდნენ. ამ სერიის მეორე მატჩში „დალასმა“ თამაშიდან სროლების 34,2 პროცენტი ჩააგდო, რაც ამ გუნდისთვის პლეი ოფების ყველა დროის ანტირეკორდია. „მავერიქსი“ 9 მაისსაც საცოდავად უტევდა მეტოქის კალათს და ახლა სროლების 34,7 პროცენტი ჩააგდო. თანაც, მასპინძლებმა მესამე მეოთხედში ოდენ 11 ქულა გააკეთეს, რაც აგრეთვე კლუბის ყველა დროის ანტირეკორდის გამეორებაა. „დალასს“ ამდენივე ქულა მოუგროვდა ამ სერიის პირველი თამაშის ერთ-ერთ მეოთხედში. „შესაძლოა ეს იყო ჩვენი ყველაზე ცუდი თამაში მთელ სეზონში. ცუდად ვისროდით. უფრო ცუდად ვიცავდით თავს და [illegible], საზიზღრად ვითამაშეთ. რეგულარული სეზონის თამაშების ნახევარი ასე რომ ჩაგვეტარებინა, პლეი ოფში ცხვირს არავინ შეგვაყოფინებდა. მომავლისთვის ვეცდებით, უკეთ მოვემზადოთ, სამწუხაროდ, დღესდღეობით თითქმის აღარა გვაქვს წარმატების შანსი“ — ამბობდა ნამატჩევს ძლეულთა თავკაცი დონ ნელსონი.

მართალია, „სან ანტონიო“ წამყვანი უკანახაზელის, დერიკ ანდერსონის გარეშე თამაშობდა, რომელმაც „დალასთან“ პირველ შეხვედრაში მხარი იტკინა და სამ კვირას გამოტოვებს, მაგრამ სანანტონიოელებს უკვე გაუნელდათ მისი არყოფნით გამოწვეული შიში. ანდერსონის შემცვლელმა ანტონიო დანიელსმა მეორე მატჩი ჩაატარა სასტარტო ხუთეულში და კვლავაც ნაყოფიერად ილვაწა — თავისიანებს 13 ქულა შეაწია. იგი მშვენივრად მოერგო გუნდს და სულაც არ დაურღვევია ბალანსი, ასე რომ, „დეზებს“ შეუძლიათ, თავი დაიმშვიდონ.

რაც შეეხება თავად შეხვედრას, ის მეტ-ნაკლებად დაძაბულად მხოლოდ პირველ ტაიმში მიმდინარეობდა და ეს ნახევარიც „სან ანტონიომ“ 48:43 მოიგო. თითქოს მთავარი ბრძოლები წინ იყო, მაგრამ სხვაგვარად კი მოხდა. „სფურზმა“ მეორე ტაიმი 21:6 გაქცევით დაიწყო, ხოლო ჯამში მესამე მეოთხედი 30:11 მოიგო. სტუმრები ერთი ხანობა ბოლო მეოთხედშიც განაგრძობდნენ მასპინძელთა დაწიოკებას და მაშინღა მოეშვნენ, როდესაც სხვაობამ 28 ქულას უწია. და თუ „მავერიქსმა“ ოდენ 14 ქულით წააგო, მხოლოდ იმიტომ, რომ სტუმართა დამრიგებელმა გრეგ პოპოვიჩმა ბოლო რვა წუთი ბ[illegible]რთი და მოედანი თავის შეგირდთა შორის ყველაზე უარესებს დაუთმო.

მეოთხე შეხვედრასაც დალასში გაიმართება 12 მაისს და არაა გამორიცხული, სერიაში ეს ბოლო მატჩიც აღმოჩნდეს.

**ირაკლი ფირცხვილი**

ჰოკეი

NHL. სტენლის თასი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# პოტვინს წერტილი აღმოუჩინეს

9 მაისი

**აღმოსავლეთი**

| | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი | 4 |
| ტორონტო | 3 |

**ნიუ ჯერსი 5:1 ტორონტო (0:1 4:0 1:0)**

**0:1 ტომასი 10(6), 1:1 ნემჩინოვი 22(1), 2:1 ელიაში 28(4), 3:1 ელიაში 30(5), 4:1 სტივენსი 35(1), 5:1 მედენი 51(2)**

რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდებით, ნჰლ-ის ჰოკეის მომხიბვლელობა იმაშია, რომ წინასწარ ვერაფერს იწინასწარმეტყველებ და ეს მხოლოდ შედეგს როდი ეხება. თვით მატჩის მსვლელობის დროსაც კი არ იცი, როდის და როგორ შეტრიალდება თამაში. იქნებ ყველაფერი თავდაყირა დადგეს ან სულაც არაფერი შეიცვალოს... განა ვინმე იფიქრებდა, რომ პირველი პერიოდის შემდეგ ამ შეხვედრაში ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა. პირველ პერიოდში ხომ ტორონტო აკონტროლებდა სიტუაციას. მართალია, თავიდან მასპინძლები აქტიურობდნენ და ბობი ჰოლიკს მეორე წუთზე ანგარიშის გახსნაც შეეძლო, მაგრამ თამაში თანდათან გათანაბრდა და გაირკვა, რომ წინა ორი მატჩისგან განსხვავებით, ნიუჯერსელთა წამყვან, ჯეისონ არნოტის სამეულს საქმე არ მისდის. ტორონტოელთა თავკაცმა ამჯერად მათ წინააღმდეგ საუკეთესო ჩეკერები, დარსი ტაკერის ტრიო ათამაშა და მათ კლანჭებში მოქცეულმა „ეშმაკთა“ ლიდერებმა უმალ იგრძნეს, რომ კომბინაციების თავისუფლად გათამაშების საშუალება არ ექნებოდათ. ამიტომ განერვიულდნენ, ჯერ არნოტი დაჯარიმდა სრულიად უმიზეზოდ და კანადელთა ლიდერებმა უმალ გამოიყენეს რიცხვმრავლობა.

ცხადია, სტივ ტომასმა შეაგდო მათს სუნდინის დახმარებით. მერეც ახლოს იყო ტორონტო მიზანთან, მაგრამ მარტინ ბროდომ და დაცვამ რის ვაივაგლახით იხსნეს კარი. შესაბამისად მასპინძელთა შემართებამ იკლო და თამაში ამ სერიის მეოთხე შეხვედრას დაემსგავსა, როცა ტორონტო მშვიდად იცავდა საკუთარი კარის მისადგომებს და თავის შანსს კონტრშეტევებში ეძებდა. და ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, სტუმრებს მეორე პერიოდის დასაწყისშიც ასე რომ გაეგრძელებინათ, მაგრამ უკვე მეორე წუთზე ბერეზინ — ანტროპოვ — კოროლიოვის ტრიომ დაცვაში დაბრუნება ვერ მოასწრო და ალექსანდრ მოგილნიმ და სერგეი ნემჩინოვმა შეტევაში შექმნილი რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს... მონასტერიც ამის შემდეგ აირია. სტუმრებმა რატომღაც ნერვიულობა დაიწყეს, ხოლო ნიუ ჯერსიმ მისთვის ჩვეული ინტუიციით უმალ იგრძნო ეს და მეტოქეთა იმედები რამდენიმე წუთში გააცამტვერა. პარტნიორებმა ზედიზედ ორჯერ გაიყვანეს ელიაში კარგ პოზიციაზე და ჩეხმაც ოსტატური დარტყმებით კერტის ჯოზეფს შანსი არ დაუტოვა. აღსანიშნავია, რომ მეორე შემთხვევაში საბოლოო ჩინებული გადაცემა გუნდის კაპიტანმა სკოტ სტივენსმა გააკეთა, რომელიც ამ შეხვედრაში განსაკუთრებით აქტიურობდა. ხოლო როცა ჯოზეფმა იმავე სტივენსის არცთუ ისეთი რთული დარტყმა ვერ მოიგერია, ნათელი გახდა, რომ კონფერენციის ფინალში ტორონტოს ვეღარ ვიხილავდით. მართალია, მეორე თამაშში კანადელებმა ანალოგიურ სიტუაციაში ლამის იხსნეს თავი და ნიუ ჯერსიმ მხოლოდ ოვერტაიმში მიაღწია გამარჯვებას, მაგრამ მეშვიდე მატჩში ამგვარი რამ არასდროს ხდება. მართლაც ნიუ ჯერსის უპირატესობის შენარჩუნება აღარც გასჭირვებია. „ეშმაკებმა“ ზედიზედ მეორედ გადაულობეს გზა ტორონტოს“. ამ გუნდის მესვეურებმა დიდძალი ფული დახარჯეს, იმისთვის, რომ თასი მოეპოვებინათ, მაგრამ ერთი, თუნდაც ბრწყინვალე მათს სუნდინის ძალისხმევა საერთო მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4 |
| ლოს ანჯელესი | 3 |

**კოლორადო 5:1 ლოს ანჯელესი (1:0 0:1 4:0)**

**1:0 ბლეიკი 19(4), 1:1 ემერსონი 39(2), 2:1 დრური 44(7), 3:1 ნიემინენი 46(3), 4:1 ჰოდინი 52(1), 5:1 შეიდუკი 57(4)**

„ეს რაღაც ცუდი სიზმარი და ღვთის რისხვა იყო და კიდევ კარგი, რომ საბოლოოდ ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა“ — მეშვიდე თამაშის ერთ-ერთმა გმირმა რობ ბლეიკმა ალბათ მატჩის შემდეგ უფრო შეიგნო, თუ რა კრახს გადაურჩა მისი ახალი გუნდი. მართლაც რომ აუხსნელი მოვლენები მოხდა ამ სერიაში მეოთხე შეხვედრის შემდეგ, რომელშიც კოლორადომ მოიგო და თითქოს კონფერენციის ფინალშიც გავიდა. ზედიზედ ორი მატჩის (თავის ორი ოვერტაიმით) განმავლობაში შაიბამ ვერაფრით მონახა ადგილი მეტოქის კარში, მეკარე ფელიქს პოტვინი კი ყველაფერს იგერიებდა. ფსიქოლოგიური უპირატესობა უკვე ლოს ანჯელესის იყო. მით უმეტეს, რომ ყველა, თითქოსდა კოლორადოელთა ჯინაზე, წინა პლეი ოფებს იხსენებდა. წარსულიდან კი „ევეელანშს“ მოსაგონარი კარგი არაფერი ჰქონდა — ზედიზედ სამჯერ გუნდმა სწორედ მეშვიდე თამაშში წააგო სერია. ორჯერ ეს დალასთან მოხდა, ხოლო 1998-ში კოლორადო ედმონტონთან სერიაში ასევე 3:1 იგებდა, შემდეგ კი ბრწყინვალე ჯოზეფის წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა.

და აი, ლოს ანჯელესთან მეშვიდე შეხვედრაც კოლორადო დიდი მონდომებით უტევდა, მომენტებს მრავლად ქმნიდა, მაგრამ პოტვინი კვლავ საიმედოდ იდგა, გოლს არ უშვებდა. განსაკუთრებით ცდილობდა საკიკი, ორი ასპროცენტიანი შანსიც მიეცა, მაგრამ. მხოლოდ პერიოდის ბოლოს წინა წუთზე, ექსლოსანჯელესელი ბლეიკის უძლიერესი დარტყმის შემდეგ შეფრინდა შაიბა ცხრიანში და პოტვინის ჯადომაც, რომელიც 182 წუთზე მეტხანს გრძელდებოდა, დაკარგა ძალა. ამის შემდეგ თითქოს მასპინძლებს ფრთები უნდა შესხმოდათ, მით უმეტეს, რომ მეორე სამეულში ისინი უკეთ ირჯებოდნენ, მაგრამ გოლი აღარ გადიოდა. ლოს ანჯელესიც გათამამდა და კოლორადოელები ორჯერ ძლივს იხსნა. ბოლოსწინა წუთი კი კოლორადოელთა მეკარე პატრიკ რუასთვის ლამის საბედისწერო შეიქნა. ნელსონ ემერსონის დარტყმა ძლიერი კი იყო, მაგრამ მეკარე შაიბას ხედავდა და დისტანციაც საკმაო იყო. 1:1 — საქმეს ცუდი პირი უჩანდა (რა თქმა უნდა, მასპინძელთათვის). ფავორიტთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ გაჭიანურებულმა უიღბლობამ ისინი მოთმინებიდან არ გამოიყვანა და გუნდი გადარჩა. იგი იხსნა კრის დრურიმ, რომლის 17 საპლეიოფო შაიბიდან 7 გამარჯვებისა იყო. პეტერ ფორსბერგმა მორიგი მოხერხებული პასი გააკეთა და ფორვარდმა ზუსტად იმავე კუთხეში გაუშვა შაიბა. ამის შემდეგ კოლორადო შეუჩერებელი გახდა და სტუმართა კარში კიდევ ორი გოლი გავიდა, თან ისევ მარცხენა ზედა კუთხეში. აი, თურმე სად ყოფილა პოტვინის სუსტი წერტილი...

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

კოლორადო — ლოს ანჯელესი. კოლორადოელი შონ ჰოდინის (№25) დარტყმულ შაიბას მეკარე ფელიქს პოტვინმა თვალიღა გააყოლა

# საყვარელ ქალაქში, საყვარელი მწერლის

**ბავშვთა** ქალაქ „მზიურის" კორტებზე მიმდინარეობს ნოდარ დუმბაძის სახელობის ტრადიციული საჩოგბურთო ტურნირი მოზარდთა შორის.

ჩვენი სახელოვანი მწერლის სახელობის შეჯიბრი უკვე მეოთხედ იმართება. ტურნირი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ეგიდით და მისი პრეზიდენტის ლეილა მესხის მხარდაჭერით ტარდება. ტურნირის ორგანიზება „მზიურის" საჩოგბურთო სკოლის ხელმძღვანელობამ ითავა. რაც შეეხება ფინანსურ უზრუნველყოფას, ამას ბავშვთა დღესასწაულების მოწყობის ცენტრი „არლეკინო" და ბავშვთა ქალაქ „მზიურის" დირექცია კისრულობს.

ტურნირი 54 მოზარდ ჩოგბურთელს მასპინძლობს, რომელთა თავშეყრა წარსულში ცნობილი ჩოგბურთელის, დღეს კი არანაკლებ სახელოვანი მწვრთნელის, თეიმურაზ კაკულიას დამსახურებაა. სამწუხაროდ, თავად კაკულია ვერ ადევნებს თვალყურს თავის შეგირდების თამაშს, ვინაიდან რამდენიმე დღის წინ ავტოავარიაში მოჰყვა, თუმცა საბედნიეროდ, საშიში არაფერია და ბატონი თეიმურაზიც მალე დაუბრუნდება საყვარელ საქმეს.

ვაჟთა შორის ჩემპიონი ხუთ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდება: 1985-86, 87-88, 89-90, 91-92, 93-94 წლებში დაბადებულთა შორის. გოგონები კი ვაჟებთან შედარებით ერთით ნაკლებ, ოთხ ასაკობრივ ჯგუფში გამოავლენენ საუკეთესოებს. სუსტი სქესის წარმომადგენლებიდან მხოლოდ 85-86 წლებში დაბადებული ჩოგბურთელები არ მონაწილეობენ ამ ტურნირში.

ფინალები კვირას, 13 მაისს, ჩატარდება და მათ დასრულების შემდეგ თავგამოჩენილი ჩოგბურთელებს სამახსოვრო პრიზებიც გადაეცემათ.

**ბაჩო სვანიძე**

# დამირეკე, ტელეფონო!



REUTERS ფოტოები

მარატ საფინი წლეულს ვერ ბრწყინავს

**მასტერსის სერია**
**რომი (იტალია)**
**თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $**

როლან გაროსის დაწყებამდე სულ ორიოდ კვირაა დარჩენილი და ქალი თუ ვაჟი ჩოგბურთელები სეზონის მეორე დიდი სლემის ტურნირისთვის გამალებულად ემზადებიან. პრობლემა ისაა, რომ ATP-ის ბევრ ბობოლას მარადიულ ქალაქში ყოფნა ძალიან ცოტა ხანს გაუგრძელდა.

ორშაბათს იტალიის დედაქალაქის თავზე შეკრებილი შავი ღრუბლები ტურნირის შარშანდელი ჩემპიონის, მაგნუს ნორმანის გუნება-განწყობას დიახაც რომ ზუსტად შეეფერებოდა. თებერვლიდან მოყოლებული 24 წლის შვედი მეორე წრეს ვერსად გასცილებია და ნავსი ვერც ამჯერად გატეხა: სანამ წვიმა მატჩების უმეტესობას მომდევნო დღისთვის გადაიტანდა, მან 30 წლის მასპინძელ ვინჩენცო სანტოპადრესთან 4:6, 3:6 წაგება მოასწრო.

ნორმანი თითქოს წინდაწინვე განწირულად გამოიყურებოდა, პირველივე მატჩ-პოინტზე თავისი რიგით 30-ე უნებლიე შეცდომა დაუშვა და თავი რომ ჩაქინდრა, სტადიონიდან გასვლამდე აღარ აუწევია. „ვარჯიშის დროს ურიგოდ არ ვირჯები, მაგრამ კორტზე მთავარ მსაჯს როგორც კი დავინახავ, ლამისაა შიშისგან გავშეშდე. საკუთარი ძალების რწმენამ დამტოვა და ალბათ, კარიერის უმძიმეს კრიზისში ვიმყოფები. მშობლები და მწვრთნელი მუდამ მამხნევებენ, მაგრამ მეგობრები გვერდით არ მიდგანან, ჩემი მობილური დუმს" — ასეთი განცხადებების შემდეგ კაცი შვედს ფსიქოლოგთან მისვლას თუ ურჩევდა.

ნორმანს ცოტა ის თუ მოუოხებდა გულს, რომ სულ მალე მისი ბედი გამარჯვების ბევრმა სხვა პრეტენდენტმაც გაიზიარა. საფრანგეთის ღია პირველობის 1999-ის ჩემპიონმა ანდრე აგასიმ ესპანელი ალექს კალატრავას წინააღმდეგ შვედზე ერთით ნაკლები გეიმის მოგებაც კი მოახერხა.

ხოტორა ლასვეგასელი გათამაშების დასაწყისში ურიგოდ არ ირჯებოდა, მაგრამ დამაგვირგვინებელ დარტყმას საოცარი სტაბილურობით გზავნიდა აუტში. კალატრავამ ხშირი საჩუქრები შესანიშნავად შეირგო და 6:3, 6:3 იმარჯვა: „საკუთარი თავით კმაყოფილი, რა თქმა უნდა, არ ვარ, თუმცა კატასტროფული არაფერი მომხდარა. პარიზამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და ვფიქრობ, მანამდე საუკეთესო ფორმაში ჩავდგები."

ალბათ, არავინ ისე არ ოცნებობს როლან გაროსზე ტრიუმფზე, როგორც პიტ სამპრასი. 29 წლის ამერიკელის 13 დიდი სლემის ტიტულისგან შემდგარ კოლექციას სწორედ ეს ერთი მთავარი ჯილდოლა აკლია და მაშინ ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელის სტატუსშიც ველარავინ შეედავება.

„პისტოლ პიტმა" წლეულს მარტიდანვე დაიწყო მზადება პარიზული თავგადასავლისთვის, მაგრამ აშკარად გადაამლაშა და ზედმეტი ვარჯიშისგან სასუნთქი ორგანოები დაიზიანა. შედეგად უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონს წინდაწინ საგულდაგულოდ დაწყობილი ყველა გეგმა აერია, მონტე კარლოს მასტერსის სერიის ტურნირის გამოტოვება და რამდენიმე კვირით იძულებით შესვენება მოუხდა.

მაინცდამაინც ოპტიმისტურად პიტს ვერც რომაული გასეირნება განაწყობს. 22 წლის ებრაელი ჰარელ ლევი ამერიკელმა მეორე ხელში კი დაჩაგრა, მაგრამ კამიკაძესავით გამუდმებით ბადესთან გასვლის მცდელობისთვის პირველ-მესამე სეტებში მწარედ დაისაჯა 5:7, 6:2, 4:6.

„დღეს ჩემს დიდი ხნის კერპს ვეთამაშებოდი და ძალიან ვნერვიულობდი, ასე რომ, საკუთარი გარჯით ორმაგად კმაყოფილი დავრჩი. ასე კარიერაში არც ერთ მოგებას არ გავუხარებივარ" — განაცხადა ლევიმ, რომელიც მიხვრა-მოხვრით და უპრეტენზიო ჩაცმულობით სამპრასს გვარიანად წააგავს.

„ცოტა მეტი მოთმინება აშკარად არ მაწყენდა. ჯერაც ბევრ რამეზე უნდა ვიმუშაო, კიდევ ვივარჯიშო, მაგრამ ამავე დროს მწამს, რომ ამ საფარზე ნებისმიერთან გამკლავება შემიძლია" — იხტიბარი არ გაიტეხა ამერიკელმა.

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა მარატ საფინმა რომში ბოლო ორი თვის მანძილზე პირველი გამარჯვება იზეიმა, შვედი იონას ბიორკმანი 6:2, 3:6, 7:5 დაამარცხა. ოღონდ, ეს იყო და ეს — მეორე წრეში 21 წლის რუსს შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა აკრეფინა გუდა-ნაბადი.

საფინმა დუბაიში მიღებული ზურგის ტრავმა ბოლოს და ბოლოს მოირჩინა და გასულ პარასკევს ახალი მწვრთნელის, ლეგენდარული მატს ვილანდერის ხელმძღვანელობით სრული დატვირთვით დაიწყო ვარჯიში. ესოდენ მცირე სათამაშო პრაქტიკა რუსს აშკარად უშლიდა ხელს ხეირიანად თამაშში და მისი აღშფოთება, როგორც ყოველთვის, ჩოგანმა იწვნია საკუთარ თავზე.

ფედერერმა დაძაბულ შეხვედრაში მესამე სეტის ტაი-ბრეიკში იმარჯვა — 4:6, 6:4, 7:6 (7:5), საფინმა კი ბოლოს პრესკონფერენციაზე განაცხადა: „როგორ შეიძლება ჩემი და ფედერერის შედარება, ჩვენ ხომ სულ სხვადასხვა შედეგები გვაქვს? მე მეტი ტიტული, დიდი სლემის ტურნირი მაქვს მოგებული... დღეს წავაგე, მაგრამ რაც მთავარია, ჯანმრთელობას აღარ ვუჩივი და იმედია, როლან გაროსამდე მთელი ძალით ავთამაშდები."

როგორც ეტყობა, რუსს ვარსკვლავური ავადმყოფობის პირველი ნიშნები დაეტყო: 19 წლის ფედერერი საფინის მსგავსი მიღწევებით ჯერჯერობით ვერ დაიტრაბახებს, მაგრამ ნიჭით რუსს იოტისოდენადაც არ ჩამოუვარდება. თქვენს მონა-მორჩილს აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონთან პირადადაც კარგა ხანს უსაუბრია და გარწმუნებთ, შარშან ამ დროს მსგავს განცხადებას მისგან ნამდვილად ვერ გაიგონებდით.

**მეორე წრე: გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:1, 6:1; ხაკობო დიასი (ესპანეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (6, რუსეთი) 7:6 (7:3), 1:6, 7:5; ლეიტონ ჰიუიტი (7, ავსტრალია) — ტომი ჰაასი (გერმანია) 7:5, 6:3; ხუან კარლოს ფერერო (8, ესპანეთი) — მარსელო რიოსი (ჩილე) 6:1, 6:3; ჟულიან ბუტე (საფრანგეთი) — ტიმ ჰენმანი (8, ინგლისი) 2:6, 6:3, 6:4; ალექს კორეჩა (10, ესპანეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:7 (4:7), 6:2, 6:4; სებასტიან გროჟანი (12, საფრანგეთი) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 7:5, 3:6, 7:5; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — ტომას ენკვისტი (13, შვედეთი) 7:6 (7:4), 4:6, 6:3; ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — გილერმო კორია (არგენტინა) 6:3, 2:6, 7:5.**

**ბერლინი**
**გერმანიის ღია პირველობა**
**თიხნარი. საპრიზო 1,2 მილიონი $**

მარტინა ჰინგისს მსოფლიოს პირველ ჩოგნობაში ერთბაშად ორი მოცილე — ვინუს უილიამსი და ჯენიფერ კაპრიატი კი გამოუჩნდა, მაგრამ შვეიცარიელი უბრძოლველად არაფრის დათმობას არ აპირებს: „ფიზიკურად შესანიშნავად ვარ მომზადებული და თიხნარის სეზონზე დიდ იმედებს ვამყარებ. ეს დღეები ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი და დარწმუნებული ვარ, ეს შედეგსაც გამოიღებს."

პირველი დაბრკოლება იტალიელი ტატიანა გარბინის სახით მარტინამ იოლად დასძლია — საათზე ნაკლებში 6:2, 6:3 მოიგო. დედის, მელანი მოლიტორის მწვრთნელობიდან დათხოვნის შემდეგ ჰინგისს ტურნირებზე სპარინგ-პარტნიორი დევიდ ტეილორი დაჰყვება, რომელიც როლან გაროსის შემდეგ მისი სრულუფლებიანი მოძღვარიც შეიძლება გახდეს (ეს, ეტყობა, იმაზე იქნება დამოკიდებული, ბოლოს და ბოლოს მოიგებს თუ არა ტურნირს შვეიცარიელი).

„ბედს არ ვუჩივი. დედაჩემის გარეშე ცოტა იმიტომ გამიძნელდა, რომ ყველაფერზე ზრუნვა და ყველაფრის ორგანიზება თავად მიხდება, ტელეფონი კი გამუდმებით რეკავს, თუმცა ყველაფერ ამას ურიგოდ არ ვართმევ თავს."

**მეორე წრე: ვინუს უილიამსი (2, აშშ) — კარინა ჰაბშუდოვა (სლოვაკეთი) 6:3, 6:3; ჯენიფერ კაპრიატი (3, აშშ) — ელენა დოკიჩი (ავსტრალია) 7:5, 3:6, 6:4; ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:3, 6:1; ამანდა კუტცერი (5, სამხრეთ აფრიკა) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 7:5, 1:6, 6:4; კონჩიტა მარტინესი (6, ესპანეთი) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:3, 3:6, 7:6 (9:7); [illegible] შნაიდერი (გერმანია) — ნატალი ტოზია (7, საფრანგეთი) 4:6, 7:5, 7:5.**

**ავთანდილ სვანიძე**



# პრივალოსანი

**მძიმე** წონაში მსოფლიოს ახალმა ჩემპიონმა, ჰასიმ რაჰმანმა ლენოქს ლუისს საჩუქარი უძღვნა — დამნოკაუტებელმა დანოკაუტებულს შეუთვალა, ტაისონს შენზე წინ არ დავაყენებ, ჯერ რემატჩი მინდაო. ასეთია ცნობა, რომელიც რაჰმანის მშობლიური ქალაქის გაზეთმა, „ბალტიმორ სანმა" გამოაქვეყნა.



ჰასიმ რაჰმანი HBO-მ დაითრია

რაჰმანი, რომლის მეტსახელიც გახლავთ „როკი" ანუ კლდე, აქამდე მსხვილ სატელევიზიო კომპანიებს არ აინტერესებდათ, ახლა კი პირველ მდიდრულ კონტრაქტთან არის ახლოს. მისი პარტნიორი ხდება HBO, ხოლო ხელშეკრულების მთლიანი საფასური 17 მილიონ დოლარს აღწევს. ოფიციალურად ცნობილი არ არის, მაგრამ გამოსულ ხმათა თანახმად HBO-ს ორთვიანი ბრძოლა მოუგია მთავარ კონკურენტ, „შოუთაიმთან".

ამრიგად, HBO-მ ყველაფერი გადაწყვიტა. მოგეხსენებათ, ეს ტელეკომპანია ლენოქს ლუისის პარტნიორიცაა და შესაბამისად უპირველეს ყოვლისა რაჰმან-ლუისის ბრძოლას ეშურება.

როგორც ამბობენ, ხსენებული საჩემპიონო ბრძოლა 18 აგვისტოსთვის იგეგმება. მას ლას ვეგასში გამართავენ. 18 აგვისტო კი სწორედ ის თარიღი გახლავთ, რომელიც ლუისის ბანაკს აძლევს ხელს.

ხოლო რაჰმანს HBO-მ ასეთი პირობა დაუდო: ლუისთან ბრძოლისთვის 14 მილიონი დოლარი, პლუს კიდევ სამი ბრძოლის გარანტია.

ახლა კი გავიხსენოთ, რას ეშურებოდა მაიკ ტაისონი და მისი პარტნიორი ტელეკომპანია „შოუთაიმი". როგორც კი ჰასიმ რაჰმანი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ტაისონის ბანაკმა გადაწყვიტა, ბალტიმორელი მოკრივე მოეთაფლა და ლუისთან რემატჩამდე რაჰმან-ტაისონის ბრძოლა გამართულიყო. ამის მიზანი ის გახლდათ, რომ რაჰმანის ძლევაში აბსოლუტურად დარწმუნებული ტაისონი ლუისთან შეხვედრის გვერდის ავლით მოიპოვებდა (დაიბრუნებდა) მსოფლიოს უდავო ჩემპიონის ტიტულს, ხოლო შემდეგ ლუისს ან დაემალებოდა ანაც თუ ოდესმე შეხვდებოდა, „შოუთაიმისთვის" სასურველი პირობებით. არადა, მოგეხსენებათ, ტაისონისა და ლუისის ბრძოლა, თეორიულად, 100-ზე მეტი მილიონის მომტანი იქნება და სწორედ ამ თანხის გამო ებრძოდნენ ერთმანეთს „შოუთაიმი" და HBO.

**WBA-მ ანუ კრივის მსოფლიო ასოციაციამ ამ დღეებში თავისი რეიტინგი გამოაქვეყნა. ამ რეიტინგის თანახმად WBA-ს, WBC-ს და IBF-ის ქვემძიმე წონოსანი ჩემპიონი როი ჯონსი უმცროსი, WBA-სა და WBC-ს ქვე-ველტერის წონოსანი ჩემპიონი კოსტია ძიუ და WBA-სა და IBF-ის ქვესაშუალო წონოსანი ჩემპიონი ფელიქს ტრინიდადი „სუპერჩემპიონებად" გამოცხადდნენ, რაც ჩვეულებრივ ტიტულზე მეტად შეფასდა.**

**რას იძლევა ეს პრაქტიკულად? იმას, რომ ზემოხსენებული სამი წონა ფაქტობრივად თავიდან დასაპყრობად გამოცხადდა, ანუ ამ წონებში ჩემპიონები თან არიან, მაგრამ ვინაიდან ისინი სუპერჩემპიონებიც გახლავან, თან არც არიან.**

**ეს ყველაფერი კი ხელ-ფეხს უხსნის სხვა მოკრივეებს, რომლებიც როი ჯონსის, კოსტია ძიუსა და ფელიქს ტრინიდადის სიძლიერის გამო აქამდე ჩრდილში იყვნენ. მაგალითად ქვემძიმე წონა მოვიტანოთ. აქ ნომერ პირველად გამოცხადდა WBA-ს 1994 წლის ჩემპიონყოფილი ლუ დელ ვალე, რომელიც ახლა მეორე ნომრად მიჩნეულ ბრუნო ჟირარდს უნდა ეკრივოს.**

**თქვენი** ნებართვით დაბლა, ბუზის ანუ ინგლისურად ფლაის წონაშიც ჩავიხედოთ. უფრო სწორად, მსუბუქი ბუზის, ლაით ფლაის წონაზე გვექნება საუბარი. ამ წონის ყოფილმა დიდოსტატმა, WBA-ს ჩემპიონყოფილმა კეიჯი იამაგუჩიმ პროგნოზი თქვა, პრეტენდენტი გერი პენალოსა ტიტულს მოიპოვებსო. თუმცა გერი პენალოსას ტიტულის მოპოვებამდე სხვა ბრძოლაა: ახლანდელი ქამრის მფლობელი მასამორი ტოკუიამა სეულში ინ ჯოოს უნდა ეჩხუბოს, ხოლო პენალოსას მათ შორის გამარჯვებულთან მოუწევს რინგზე გასვლა.

„ნამდვილად არ ველოდი, პენალოსა ასეთი ძლიერი თუ იქნებოდა. მას განსაკუთრებული სიძლიერის დარტყმა ჰქონია" — განაცხადა იამაგუჩიმ.

შეგახსენებთ, რომ მსუბუქი ბუზის წონა 49 კილოგრამს ეწოდება, თუმცა ეს კატეგორიათა შორის ყველაზე დაბალი როდია. მის ქვევით ჩალისწონოსნები ანუ 47-კილოიანი და 700-გრამიანი კაცები იბრძვიან.

**WBC-ს ყოფილ ჩემპიონს ზე საშუალო წონაში, დეივ ჰილტონს ორ გოგონაზე სექსუალური შეტევისთვის შვიდი წელი მიუსაჯეს. მოკრივე მარტის შემდეგ ციხეშია, ხოლო გასულ კვირას ტიტული ჩამოართვეს.**

**ჰილტონს კიდევ გაუმართლა, თორემ 14 წლიანი პატიმრობა შეიძლებოდა „გამოემუშავებინა".**

**ცნობილმა** პრომოუტერმა, დონ კინგმა ზესაშუალო წონის სენსაციად აღიარებულ ავსტრალიელ ენტონი მუდინეს, რომელსაც მეტსახელად „კაცს" უწოდებენ, კონტრაქტი შესთავაზა. კონტრაქტი, რომელიც დონ კინგს სურს, სამწლიანია, მრავალ მილიონ დოლარს მოიცავს და მასშივე შედის ბრძოლა WBA-ს ჩემპიონ ბაირონ მიჩელთან.

მაგრამ თანხმაა მუდინე? აი, რას ამბობს ის:

„დიახ, კინგმა კარგად იცის, რომ მე „ფული" ვარ და მისთვის ბევრი რამის მოტანა შემიძლია. კინგამდე სხვებიც მთავაზობდნენ თავზე მილიონების დაყრას, მე კი ყველას ერთი და იგივე პასუხით ვისტუმრებდი: ბიჭებო, ეგ თქვენი საფულეები ჯიბეში ჩაიდეთ, მე ჯერ ჩემს ხალხს დაველაპარაკები-მეთქი. ახლა კინგიც მომადგა. ვატყობ, გადარეულია ისე უნდა კონტრაქტზე ხელი რომ მოვუწერო. აშკარაა, გრძნობს, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონი ვარ, მაგრამ ერთია: მას სხვათაგან განსხვავებული და რამდენ სანტრანს... არაფერი უთქვამს. დანარჩენი კი ყველაფერი ვიცი."

**ტუტა სიხარულიძე**




ბადრი კეთილაძის ფოტოები

# ორი ქამარი

ამ შაბათს მედისონ „სკვერ გარდენში“ დიდი კრივია — სასწორზე საშუალო წონის ორი ქამარი დევს. დღევანდელობის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე, პუერტორიკოელი ფელიქს ტრინიდადი ბალტიმორელ უილიამ ჯოპის შეხვდება. ერთი მხრივ ფედერაციის (იბფ) ჩემპიონი, მეორე მხრივ კი ასოციაციისა (ვბა). ვნახოთ, ვინ ვის წაართმევს ქამარს.



REUTERS ნიუ იორკიდან

# დედოფლის დაბადების დღე



მთელმა საქართველომ იცის — ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი სამოცისა შესრულებულა. მის სპორტულ ტიტულებსა და საზოგადო ღვაწლზე ლაპარაკი უადგილოც კია. ხვალ ოპერაში დიდი ჩემპიონის და ჭადრაკის დედოფლის საუბილეო საღამოა, თბილისის ქუჩებს კი უკვე ერთი კვირაა, ვაკიდან თავისუფლების მოედნამდე ტრანსპარანტები ამშვენებს: „ქალბატონო ნონა, გილოცავთ იუბილეს!“. თავად იუბილარი კი მოუცლელია — სხვადასხვა ტელეფონზე აწკრიალებულ მისალოც ზარებს ბოლო არა აქვს. საკვირველი ის იქნებოდა, რომ პქონოდა.

# დოლგორმაას ილეთი



მოხდენილი ილეთები და თავად ძიუდოს არსი ამ მსოფლიო ჭიდაობას ფოტორეპორტიორთა ერთ-ერთ საყვარელ სახეობად აქცევს. მონღოლეთის დედაქალაქ ულანბატორში მიმდინარე აზიის ჩემპიონატზე ქალთა შეჯიბრია: იქაური გოგო, დოლგორმაა მავან ყაზახ მოწინააღმდეგეს ამარცხებს ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში.

# ახალი კაცი

წლეულს ჩავარდნილ „ბოსტონ ბრუინზს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს. მსოფლიო ჰოკეის ლეგენდარულ კლუბს ამიერიდან ბობ ფტორეკი უხელმძღვანელებს. ფტორეკი, რომელიც ადრე „ლოს ანჯელეს კინგზსა“ და „ნიუ ჯერსი დევილზს“ წვრთნიდა, უკვე შეხვედრია მოთამაშეებს და საგაისო გეგმებზეც უსაუბრია. ფოტოზეც ის მომენტია აღბეჭდილი, როგორ ელაპარაკება ახალი თავკაცი ჯეისონ ალისონსა და სერგეი სამსონოვს.



REUTERS ბოსტონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge